# საერთო გაზეთი

№42 (681)
ოთხშაბათი
21 დეკემბერი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ღია წერილი
## გვანცა ხარჩილავას

ჩემო ძმისწულო, ქიაჩის მონასტრის სახლი შენს პირველ ობუჯში, ძელიცხოველია, იგივე ილორი, იგივე სვეტიცხოველი. ხოლო თავად სვეტიცხოველი სამოთხის ორი ხის — კეთილ-ბოროტისა და სიცოცხლის ხის ერთ სხეულში შედუღაბებაა, შენივთება ხემარადად. შენი შორეული წინაპრები — ხარჩილები, ამ ქიაჩის მონასტრის მღვდელმსახურები იყვნენ ოდითგანვე, მწიგნობრები, სინდის-ნამუსის ხალხი.

შენი რედაქტორად კურთხევა ჩემგანაა, ძმისშვილო, რადგანაც არა მხოლოდ გენეტიკურად — გარეგნობით, გონებრივადაც გაჭრილი ვაშლივით ჩამოჰგავხარ აწ ნათელში მყოფ მამაშენს — საქართველოს ზეზეურ გმირს, დიდებულ ვახტანგ ხარჩილავას. შენ, უკვე დედა, იოლ საქმეს არ შედგომიხარ ქედით, რომელიც, ქართულ ფრთიან სიტყვას თუ დავიმოწმებთ, ცხრა ულელ-ხარკამეჩს გადაწონის საჭიროების შემთხვევაში. საჭიროება კი ჰქონდა, აქვს და ექნება სულმუდამ მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილ საქართველოს. ამ ტვირთს დავითის ასულამდე აიეტ მეფის და კირკე, იგივე ცირცეა აღასრულებდა საკუნეების განმავლობაში. წუთისოფელი ასე უქნია გამჩენს, ერთს მეორე ენაცვლება, როგორც ამანათრბენშია, რა-



თა ჩირაღდანმა დანიშნულების ადგილას ჩაუმქრალად, დროზე მიუსწროს ყინვით დაშაშრულ საზოგადოებას.

ჩვენ კანტიკუნტად შევეხმიანებით ხოლმე ერთმანეთს დისტანციურად, გაზეთის სპეციფიკაზე, მის ავანჩავანზე. მახარებს შენი ბრძნულად ყურისმგდებელი თვინიერება და განსაკუთრებით ის, რომ, აჰა, მერამდენე ნომერი გამოსაჩინოვდა მრევლში შენი ხელდასხმულობით და ჯერ ერთხელაც არ გიცდია, მამაშენის მკითხველს ხმამაღლა დალაპარაკებოდი. ეს დიდი ადამიანური განძია, ძმისშვილო! კვლავაც ბიბლიას მოვიშველიებ: არის ქვების შეგროვების დრო და არის ქვების სროლის დრო. ჯერხანობით შენი მამითადი, შენი რედაქტორული ასპარეზი — ერისშვილი მშობლის გაზეთის კვალში მიდევნებაა.

გამოჩნდა მის ფურცლებზე საინტერესო ახალი სახელები. ძველი ავტორების პატროფილურ ხმამქუხარებას მართებული ცეცხლი და ალმური მოუმრავლდა. მეუბნებიან პრესის საქმეში ჩახედულები, მაგარი ვინმე ჩანს ვახტანგის გვანცა-ო. ჯერ ისინი ვახტანგის ასულად მოგიხსენიებენ. ესეც გულთან მისატანი სასიხარულო ამბავია ჩემთვის. მაგრამ თუ პერიოდიკათა ისტორიას გადავავლებთ თვალს, ვერც კი დავასახელებ გაზეთს ჩვენს სინამდვილეში, რომლის სიცოცხლე შვილს გაეგრძელებინოს, თანაც ქალიშვილს. დადუმდა ქედუხრელი „იბერია-სპექტრი“; ფრთები დაკეცა უკომპრომისო „აღდგომამ“; გამოყრუვდნენ მშვინვარე „საქართველოს სამრეკლოს“ ზარები და ამისთანა საომარ ლელოში, ამისთანა ხეებით ჩახერგილი „დიდგორის“ ორომტრიალში „საერთო გაზეთი“ კვლავაც სამშობლოს სახელმწიფოებრივი სიფხიზლის, ქართული ფასეულობების უკომპრომისო მოდარაჯეობის ბაირახტრია.

გური ოტობაია



დროა, საქართველო გამოცხადდეს მშვიდობის სახლად. ჩვენი იდეოლოგიური კონცეფცია არის მშვიდობა და ვინც საქართველოში მშვიდობას ემუქრება, ის საქართველოს ემუქრება განადგურებით. ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას ქვეყანაში და ჩვენ უნდა გადავრჩეთ, ეს ჩვენი ვალია და ეს ვალი თანამედროვე ქართულმა საზოგადოებამ აუცილებლად უნდა მოიხადოს. ვახტანგ ხარჩილავა. „სგ“ №28. 2022წ.

„საერთო გაზეთი“ - გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო ცივილიზაციათა და კულტურათა შემკრები და გამაერთიანებელი გზაჯვარედინია



*ძვირფასო მკითხველო, „საერთო გაზეთის“ ეს ნომერი 2022 წლის შემაჯამებელი გამოცემაა.*

*წლევანდელი წელი რთული და წინაალმდეგობებით აღსავსე იყო ჩვენი ქვეყნისთვის. განსაკუთრებით რთული ჩვენი გაზეთისთვის აღმოჩნდა — უკურნებელ სენს ებრძოდა გაზეთის დამაარსებელი და ჩვენი უცვლელი რედაქტორი ვახტანგ ხარჩილავა. გაზეთის ბოლო ნომერი მისი რედაქტორობით ოთხშაბათს, 14 სექტემბერს გამოვიდა, მეორე დილით კი ის გარდაიცვალა.*

*ამ ქვეყნიდან წავიდა ადამიანი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო, მისი სათაყვანებელი საქართველო, სტკიოდა მისი საწუხარი, მისი სიხარული კი ახარებდა და სიცოცხლეს უხანგრძლივებდა.*

*ვახტანგ ხარჩილავა, თავისი ბასრი კალმით, შეუდრეკლად და უკომპრომისოდ ამხელდა და ებრძოდა შინაურ თუ გარეულ მტრებს, თვალს არ ხუჭავდა უკანონობასა და უსამართლობაზე, ყოველთვის ხალხის სათქმელს ამბობდა... ბატონ ვახტანგს ძალიან სურდა, რომ მისი და ჩვენი დედასაქართველო ჭეშმარიტად თავისუფალი და დამოუკიდებელი ყოფილიყო, სამართალს ეზეიმა და ამის მისაღწევად თავს არ ზოგავდა. ბევრი მისი პუბლიკაცია წინასწარმეტყველებად იქცა...*

*„დამოუკიდებლობა არ არის ერთჯერადი აქტი, ერთხელ რომ მოიპოვებ და მერე სულ დამოუკიდებელი ხარ. დამოუკიდებლობა მარადიული, უწყვეტი პროცესია, რომლისთვისაც ყოველდღე უნდა იბრძოლო და რომელიც ყოველდღე უნდა მოიპოვო“, — ეს მნიშვნელოვანი და საგულისხმო ფრაზა ბატონი ვახტანგის ერთ-ერთი წერილის ამონარიდია და მის შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს.*

*ვახტანგ ხარჩილავა ის ბედნიერი ადამიანი იყო, ვისაც უფალმა სამშობლოს უდიდესი სიყვარულის ნიჭი დაამადლა და, მასაც მთელი არსებით უყვარდა თავისი საქართველო, რაც მის პოეტურ თუ პუბლიცისტურ თხზულებებში ნათლად გამოსჭვივის.*

*გადავწყვიტეთ, მკითხველისთვის 2022 წელს „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებული ვახტანგ ხარჩილავას წერილებიდან ფრაგმენტები შეგვეთავაზებინა. შედეგმა გაგვაოცა — თითქოს ერთი ახალი პუბლიკაცია წავიკითხეთ...*

*ჩვენო ძვირფასო მკითხველო, მადლობელი ვართ, რომ წლების განმავლობაში ჩვენი გაზეთის ერთგულნი დარჩით და არ გვიღალატეთ, მადლობელნი ვართ, რომ ჩვენთვის ყველაზე მძიმე წუთებშიც ჩვენთან იყავით და ხართ. ჩვენო კარგებო, გისურვებთ, რომ მომავალ 2023 წელს, საქართველოს სიმშვიდე, თქვენს ოჯახებს - სიკეთე, სიხარული, ჯანმრთელობა, ხვავი და ბარაქა დაბედებოდეს.*

*ჩვენ კი, „საერთო გაზეთის“ რედაქციის თანამშრომლები, გპირდებით, რომ კვლავ ვახტანგ ხარჩილავას მიერ გაკვალული გზით განვაგრძობთ სვლას, არც მტრებს და არც უსამართლობას არ შევეპუებით, ვიდრე საქართველო ისეთი არ იქნება, როგორზეც ბატონი ვახტანგი ოცნებობდა.*

*დამოუკიდებელ, თავისუფალ და მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებას გისურვებთ, ერთგულო მკითხველებო!*

„საერთო გაზეთი“

შობა-ახალ წელს გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

ყოფილიყოს ეს წელი მშვიდობის, წარმატებების, წინსვლისა და განვითარების წელი.

რაც მთავარია — 2022 წელს საქართველოსა და მთელ მსოფლიოს ეზეიმოს პანდემიის დამარცხება.

ვფიქრობ, 2022 წელი განსაკუთრებული მნიშვნელობის წელი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

ველოდები, რომ ამ წელიწადს „ნაცმოძრაობა“ რამდენიმე პარტიად დაიშლება და ამით დამთავრდება ამ კრიმინალური ძალის თვრამეტწლიანი პარპაში ქართულ პოლიტიკაში.

ველოდები, რომ 2022 წელი ეროვნული თანხმობისა და ერთიანობის წელი იქნება, ოღონდ არა იმ ფორმითა და იმ დემაგოგიური შინაარსით, რომელსაც ნაციონალი ფარისევლები და თვალთმაქცები დებენ ამ უმნიშვნელოვანეს იდეაში.

ეროვნული თანხმობა და ერთიანობა ნამდვილად საჭიროა, მაგრამ არა იმისთვის, რომ ჯალათებს შევურიგდეთ, არამედ იმისთვის, რომ მთელი ერი შეთანხმდეს: მკვლელებთან, ქვეყნის მოღალატეებთან და გამყიდველებთან შერიგება და შეგუება არ შეიძლება!

ასეთი შერიგება, შერიგება კი არა კაპიტულაციაა!

თანხმობის მოტივით კაპიტულაციისკენ გვიბიძგებენ ვიღაც-ვიღაცები და ამას ისე აკეთებენ, თითქოს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დიდ ეროვნულ საქმეს უყრიდნენ საფუძველს.

ეროვნული თანხმობა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ბოლომდე აღდგება სამართლიანობა და დამნაშავეები ერისა და ქვეყნის წინაშე ჩადენილი იმ უმძიმესი დანაშაულების გამო აგებენ პასუხს, რომლებიც, ჯერჯერობით, საგამოძიებო ორგანოების თაროებზეა შემოდებული.

მთავრობის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები გვაფიქრებინებს, რომ 2022 წელს სათანადო ჩარჩოებში მოექცევა საქმიანობა იმ ბიზნესწრეებისა, რომლებიც თავიანთი წრეგადასული სიხარბით და ზემოგების მიღებისკენ მანიაკალური სწრაფვით საფრთხეს უქმნიან და ამუხრუჭებენ ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებას, დამატებითი პრობლემების წინაშე აყენებენ სოციალურად ისედაც შეჭირვებულ მოსახლეობას.

განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა საავთიაქო ბიზნესში, ჯანდაცვის სფეროში, რომლებიც, ფაქტობრივად, მაფიური კლანების სათარეშო ასპარეზად იქცა.

ვფიქრობ, ხელისუფლებამ უფრო ხისტი და მკვეთრი ზომები უნდა მიიღოს ამ დარგებში არსებული სერიოზული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

და ბოლოს: დროა, „ქართულმა ოცნებამ“ იფიქროს ქართული სახელმწიფოს ახალ ჰიმნზე, ახალ დროშაზე, ახალ ღერბზე, თორემ „სააკაშვილის ჰიმნით, სააკაშვილის დროშით, ვერ გაიმარჯვებს ქვეყანა სააკაშვილთან ომში“.

სარედაქციო სვეტი N1. 2022

მოგეხსენებათ, „უდანაშაულო“ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით დიდი „შუმოკია“ ატეხილი საქართველოში.

ამ სამარცხვინო, ამაზრზენ ყაყანს და გნიასს რომ ვუყურებ, ერთი რამ ძალიან მაკვირვებს და მაოცებს, სად არის ის ათიათასობით და ასიათასობით ადამიანი, რომლებზეც სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ ცხრა წლის განმავლობაში ძალადობდა?

● ადამიანების გაუბედურების ხარჯზე აშენებულ სახელმწიფოში, გარდა სინდისგარეცხილი არამზადებისა, ვერავინ იქნება ბედნიერი.

ასე რომ, სააკაშვილისა და ნაციონალების უტიფარი ლაყბობა, თითქოს ისინი ახალი ყაიდის ქართულ სახელმწიფოს აშენებდნენ, სრული ფარისევლობა და დემაგოგიაა.

სახელმწიფოს კი არა, ისინი აშენებდნენ უმკაცრესი რეჟიმის საკონცენტრაციო ბანაკს, საიდანაც მილიონებს და მილიარდებს ქაფავდნენ.

იმას, რაც 2003–2012 წლებში საქართველოში ხდებოდა, ქართულ ფაშიზმს უწოდებენ, თუმცა ეს არ არის მთლად ზუსტი ტერმინი.

სინამდვილეში, ფაშიზმი ის იდეოლოგიაა, რომელიც ყველაზე მაღლა სახელმწიფოსა და ნაციის ინტერესებს აყენებს, სადაც ყველაფერი სახელმწიფოსა და ერის წინსვლისა და განვითარებისკენ უნდა იყოს მიმართული.

ნაციონალები, ანუ ქართველი ფაშისტები, მათი ფიურერის, სააკაშვილის, ხელმძღვანელობით, პირიქით იქცეოდნენ და ოხვენციმსა და დახაუს ქართველებსვე უწყობდნენ.

გერმანელი ფაშისტები გერმანელ ერს წმინდა სისხლის ყველაზე ცივილიზებულ ერად წარმოაჩენდნენ, ქართველი ფაშისტები, როგორც ვთქვით, საპირისპიროდ იქცეოდნენ.

ნაციონალები ფაშისტები რომ ყოფილიყვნენ, რა გვიჭირდა? ფაშისტები კი არა, ესენი ჩვეულებრივი კრიმინალები და ბანდიტები არიან, რომლებსაც ასევე კრიმინალი და ბანდიტი სააკაშვილი უდგათ სათავეში.

ეს არის სიმართლე, რომლის თქმა ამ ცხრა წლის განმავლობაში ვერა და ვერ მოხერხდა და ვერც მოხერხდება, სანამ „ნაცმოძრაობის“ დროს რეპრესირებული ადამიანები ერთ დიდ ორგანიზაციად არ გაერთიანდებიან და იმ კრიმინალური სისტემის გასამართლებას და იმ პოლიტიკური ძალის აკრძალვას არ მოითხოვენ, რომელმაც ეს სისტემა შექმნა. „ნაცმოძრაობის“ გადაკეთება, მისი გაკეთილშობილება, მისთვის ცოდვების ჩამორეცხვა შეუძლებელია.

მას ისეთი დანაშაულები აქვს ჩადენილი, რაც დროის ხანდაზმულობას არ ექვემდებარება.

სხვა გამოსავალი არ არსებობს — ქართული ნიურნბერგის პროცესი უნდა შედგეს და ამ პროცესზე მთავარი ბრალმდებლები „ნაცმოძრაობის“ დროს რეპრესირებული ადამიანები უნდა იყვნენ.

იმას, რაც დღეს საქართველოში ხდება, თავმოყვარე ერს ვერ გაუბედავდნენ.

პოდა, ჩვენც არ გაკაპედვინოთ!

№1. 2022

♦ ♦ ♦

საქართველოს სააკაშვილით „პერედოზიროვკა“ ჭირს... მეც უკვე ყელში ამომივიდა ამ კაცზე წერა და ლაპარაკი, მაგრამ რა ვქნათ, არ გვანებებს ეს ადამიანი თავს და თავისი დემაგოგიური განცხადებებით და სასამართლოზე წარმოთქმული „მოხსენებებით“ გვაიძულებს, კვლავ და კვლავ მასზე ვწეროთ და ვილაპარაკოთ

● 13 იანვარს სასამართლო პროცესზე სააკაშვილის საათნახევრიან გამოსვლას რომ ვუყურე, დავრწმუნდი: ეს კაცი ფიზიკურად აბსოლუტურად ჯანმრთელია, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ექიმი, რომელიც ირწმუნებოდა, რომ სააკაშვილი მძიმედ არის ავად – უსინდისოდ ტყუოდა.

ხომ არ დადგა დრო, ქართულმა სახელმწიფომ სისხლის სამართლის საქმეები აღძრას იმ ორგანიზაციებისა და იმ ექიმების წინააღმდეგ, რომლებიც მიზანმიმართულად, წინასწარი განზრახვით ქმნიდნენ ყალბ სამედიცინო დასკვნებს, რომ შეცდომაში შეეყვანათ როგორც ქართველი, ასევე საერთაშორისო საზოგადოება და ამით საშუალება მიეცათ მსჯავრდებული სააკაშვილისთვის, თავი აერიდებინა და დროზე ადრე გათავისუფლებულიყო სასჯელის მოხდისაგან?

● შეიძლება სწორი იყოს მისი პირადი ექიმისა და ასევე სხვა ექიმების დიაგნოზი, რომ სააკაშვილს სერიოზული პრობლემები აქვს ტვინში, რაც მის „საეტაპო მოხსენებებშიც“ ძალიან ნათლად ჩანს.

თუმცა, როგორც ცნობილია, სააკაშვილს ტვინი ბავშვობიდან-

პარლამენტის ბიბლიოთეკა



ვე აქვს დაზიანებული და მის გაგიჟებაში „ქართული ოცნების“ დადანაშაულება დიდი უსამართლობაა.

ამ ადამიანს რომ სერიოზული ფსიქიატრიული მკურნალობა სჭირდება, მართალია, მაგრამ ტყუილია ის, რომ ამ ავადმყოფობას საქართველოში ვერ მკურნალობენ, თორემ სხვაგან არჩენენ.

საუბედუროდ, ამ ავადმყოფობას ვერც საქართველოში მკურნალობენ და ვერც სხვაგან — ეს ავადმყოფობა არ იკურნება!

● წლებმა ვერ შეცვალა ეს კაცი, ვერ დაადინჯა, ვერ მოაჭკვიანა, ვერ დააბრძენა. იმიტომ, რომ იმ ავადმყოფობას, რომელიც ამ კაცს ჭირს, წლები ვერ კურნავს.

შეგვეშალა, საქართველოვ, ძალიან შეგვეშალა — 2004 წელს შეურაცხადი ადამიანი აირჩიე პრეზიდენტად და ეს შეცდომა დიდ უბედურებად მოგიტრიალდა უკან.

ერთხელ კი არა, ორჯერ შეგეშალა, ახლა მესამედაც უნდათ, რომ შეგეშალოს და ღმერთმა ნუ ქნას და ეს რომ მოხდეს, მაშინ უკვე ნამდვილად ვერ გადარჩები და, კაცმა რომ თქვას, არც იქნები გადარჩენის ღირსი.

**№2 2022.**

♦ ♦ ♦

საქართველოს მტერი და მოღალატეა, ყველა, ვინც დღეს ჩვენს ქვეყანას რუსეთთან დაპირისპირებისკენ უბიძგებს და ამ მიზნით ათასნაირ პროვოკაციებს უწყობს საკუთარ ქვეყანას.

ამ მავნებლობისა და უმსგავსობის მთავარი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი „ნაცმოძრაობაა“, რომელსაც ბოლო ხანებში ომის პარტიასაც უწოდებენ, თუმცა, სინამდვილეში, „ნაცმოძრაობა“ ომის პარტია კი არა, მოღალატეების, ლაჩრების, ფარისევლების, თვალთმაქცების პარტიაა, რომელსაც არც



ქართველების ბედი ანაღვლებთ და არც უკრაინელების — მათ მხოლოდ ხელისუფლებაში დაბრუნების მანიაკალური სურვილი ამოძრავებთ და მზად არიან ამ სურვილის ასასრულებლად საქართველოც კი შესწირონ მსხვერპლად.

● ისინი მტრობენ ყველას, ვისაც საქართველო გულწრფელად უყვარს და ერთგულად ემსახურება.

თუმცა ტყუილად ფაფხურობენ, ეს სალახანები, ქართველი ხალხი ერთი მუჭა პროვოკატორების, მოღალატეების, უცხო ქვეყნის აგენტურის შიშით თავის პატრიოტ შვილებს არავის დაუთმობს და არავის დააჩაგვრინებს.

საქართველოში ომი რომ დაიწყოს, ჩვენ, ქართველები, დავკარგავთ ქართულ სახელმწიფოს, მაგრამ ნატოც, ევროკავშირიც, ამერიკაც, ზოგადად, დასავლეთიც, დაკარგავს საქართველოს, ანუ მის ერთადერთ საყრდენს რეგიონში, რადგან დასავლეთი ვერ დაგვიცავს აგრესორისგან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს აგრესორი კარგა ხანია უკვე აქ არის და თუ მოინდომა, ერთ დღეში დაამყარებს სრულ კონტროლს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ: საქართველოსაც, ნატოსაც, ევროკავშირსაც, ამერიკასაც ერთი საერთო მიზანი უნდა ჰქონდეთ — შევინარჩუნოთ მშვიდობა და სტაბილურობა საქართველოში და ამით შევინარჩუნოთ ქართული სახელმწიფო.

**№8. 2022**

♦ ♦ ♦

ორად გაყოფილი „ნაცმოძრაობა“, ერთი უკრაინაში გადაპორტირებული, მეორე აქაური, ორი ფრონტიდან უტევს საქართველოს, ანუ საკუთარ სამშობლოს.

თუმცა, როგორც ჩანს, საქართველო არ არის „ნაცმოძრაობის“ სამშობლო.

„ნაცმოძრაობას“ საერთოდ არ აქვს სამშობლო.

„ნაცმოძრაობა“ საერთოდ არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია.

„ნაცმოძრაობა“ „ნაიომნკიების“ დესანტია, რომელსაც, სიტუაციის მიხედვით, ხან იქით გადაისვრიან მისი დამქირავებლები, ხან აქეთ გადმოისვრიან.

ეს რომ ასეა, თუნდაც მთავარი ნაციონალის, სააკაშვილის ტრაგიკომიკური თავგადასავლებიდანაც ჩანს, რომელიც არაჟნებთან ერთად გამოგვიგზავნეს ამ რამდენიმე თვის უკან მისმა პატრონებმა, რომელიც, როგორც გარემოება მოითხოვს, იმის მიხედვით ხან ქართველია, ხან — უკრაინელი, ხვალ-ზეგ შეიძლება ამერიკელი გახდეს, ან სირიელი, ან კიდევ ერაყელი. გააჩნია „მივლინების“ ადგილს.

●„ნაცმოძრაობაზე“ ხშირად ამბობენ, სექტააო.

სწორია ეს შეფასება, თუმცა „ნაცმოძრაობა“ ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული სექტა კი არ არის, არამედ დიდი საერთაშორისო მასშტაბების სექტის ნაწილია, მისი ფილიალია, მისი დესანტია.

ამ სექტას არ ჰყავს ღმერთი, ამ სექტას არ აქვს რელიგია, ამ სექტას არ აქვს სამშობლო და სწორედ ეს არის ის ახალი „მოძღვრება“, რაც აერთიანებს და ერთ მტკიცე ორგანიზაციად კრავს ადამიანთა მრავალრიცხოვან მასებს.

ამ სექტის ნაწილია „ნაცმოძრაობა“, რომელსაც მეტსახელად პოლიტიკური ორგანიზაცია ჰქვია და ამ იარლიყს ამოფარებული ოცი წელია, ანგრევს საქართველოს — ანგრევს მატერიალურად, ანგრევს სულიერად და, როგორც თავის დროზე ამ სექტის თავკაცმა განაცხადა, თავგამოდებული ცდილობს, თავის სატანურ ლაბორატორიაში გამოიყვანოს ადამიანის ახალი ჯიში — ახალი ქართველი.

●„ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილ უამრავ დანაშაულთა შორის ეს ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და საზიფათო დანაშაულია, თუნდაც იმიტომ, რომ ამ დანაშაულის გამო ვერავის ვერ გაასამართლებ, კანონის ვერც ერთ მუხლს ვერ მიუყენებ.

მხოლოდ თავისი ქვეყნის პატრიოტი, განათლებული და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე საზოგადოებაა ის ძალა, რომელსაც შეუძლია, წინ აღუდგეს და შეაჩეროს ადამიანთა სულების დამანგრეველი ეს ბოროტება.

**№10. 2022**

♦ ♦ ♦

რა სინდისით ვთხოვთ ოკუპირებულ და ალყაში მოქცეულ ქვეყანას ისეთ ომში ჩაებას, რომელიც ქართული სახელმწიფოს დაშლით და დანგრევით დამთავრდება?

● საქართველო ნახევარი უკრაინის ხელა ხომ არ არის, ერთი მტკაველის დადება ქვეყანაა, სადაც ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები საქართველოსთვის სრული კატასტროფით, სრული გაპარტახებით და განადგურებით დამთავრდება.

ვთქვათ პირდაპირ და ღიად — ეს იქნება ქართული სახელმწიფოებრიობის დასასრული.

ამიტომაც აბსოლუტურად სწორია საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პოზიცია, არ შეუერთდეს სანქციებს, არ მისცეს რუსეთს საბაბი, კვლავ განაახლოს გასული საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული და ჯერაც დაუმთავრებელი ომი საქართველოს წინააღდეგ.

ჯერ საქართველოს დრო არ დამდგარა, მაგრამ ეს დროც აუცილებლად მოვა, ოღონდ იმ დრომდე როგორმე ცოცხლებმა უნდა მივაღწიოთ.

**№10.2022**

♦ ♦ ♦

ჩვენ დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო ვართ და ქართველი ხალხი, მის მიერ არჩეულ ხელისუფლებასთან ერთად, თვითონ გადაწყვეტს, როდის იომოს, ვის ეომოს და ვის დაუზავდეს.

● ომი ისეთი მანქანაა, რომელსაც ორი ფუნქცია, ორი „განყოფილება“ აქვს — ერთი ხორცსაკეპი, მეორე — ფულის საჭრელი, ამ ორ „განყოფილებას“ შორის კი პირდაპირი კავშირია — თუ ხორცსაკეპს ნედლეული გაუთავდება, მეორე „განყოფილება“ ავტომატურად ჩერდება.

აი, ამ მეორე „განყოფილებასაა“, რომ ვერ ელევიან ომში მილიარდების კეთებაში დაოსტატებული სვავები, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ადამიანების ხორცითა და სისხლით რომ ვერ გაძღნენ და პლანეტა ლამის არის, ერთ დიდ სასაკლაოდ აქციონ.

ასეა თუ ისე, ცხადია, რომ რუსეთ-უკრაინის ომის გაგრძელებით ბევრი ვინმეა დაინტერესებული, მათ შორის არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოდან, რომელსაც, ალბათ, ყველაზე მეტად არ უნდა, ეს ომი მალე დასრულდეს და თანაც დასრულდეს ისე, რომ მხარეებს შორის ისეთი შეთანხმება იქნას მიღწეული, რომელიც დიდი ხნით გამორიცხავს ამ კონფლიქტის ხელახლა გაღვივების შესაძლებლობას.

„ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტები ცდას არ აკლებენ, რომ ჩვენი ქვეყანაც ამ კოშმარულ ომში იქნას ჩათრეული, რომ რუსეთის წინააღმდეგ საქართველოდან მეორე ფრონტი გაიხსნას.

„ნაცმოძრაობას“ სულ არ ანაღვლებს ის ამბავი, რომ ამ მეორე ფრონტის გახსნას, შეიძლება, ქართული სახელმწიფო შეეწიროს და აქ იმაზე უარესი ტრაგედია დატრიალდეს, რაც უკრაინაში ხდება.

„ნაცმოძრაობისთვის“ საქართველო არასოდეს ყოფილა სამშობლო, რომელიც სულით ხორცამდე უნდა გიყვარდეს და თავდადებით უნდა ემსახურო.

● ნაციონალები ძალიან ჰგვანან ფაშისტებს და თითქმის იგივე პიარტექნოლოგიებს იყენებენ მასების გასაბითურებლად, რასაც ისინი იყენებდნენ, ხოლო ის „სეპარატისტული ავტონომია“, რომელშიც „ნაცმოძრაობის“ სექტა ქართველი საზოგადოებისთან განცალკევებულად ცხოვრობს, ქართული „ჩრდილოეთი კორეაა“, სიმაღლეში გაზრდილი ბელადით — ქართველი კიმ ჩენ ინით — სააკაშვილით.

● ომის კი არ გვეშინია ჩვენ, წინასწარ წაგებისთვის განწირულ ომში არ გვინდა ვიღაც-ვიღაცების საზარბაზნე ხორცად გამოგვიყენონ და რუსულ ბომონს ზვარაკივით მსხვერპლად შევეწიროთ.

**№12. 2022**

♦ ♦ ♦

საქართველოც ერთი დიდი სოფელი გახდა თითქოს, სადაც ერთ მხარეს უკრაინული დროშებით „შეიარაღებული“ ქართველები დგანან, უკრაინის ჰიმნს აგუგუნებენ და სადაც სისტემატურად ისმის გულმხურვალე მოწოდებები — სასწრაფოდ შევუერთდეთ სანქციებს და გავხსნათ მეორე ფრონტი რუსეთის წინააღმდეგ.

მეორე მხარეს უდროშო ქართველები დგანან, რომლებსაც ასევე ძალიან უყვართ უკრაინელები, ძალიან შესტკივათ გული მათზე, მაგრამ, ამასთან ერთად, ძალიან უყვართ საკუთარი სამშობლო, საქართველო და, პირველ რიგში, იმაზე ფიქრობენ, ჩვენ რომ აქ სანქციები გამოვუცხადოთ რუსებს და მეორე ფრონტიც რომ გავუხსნათ, ეს სასატიკი და დაუნდობელი რუსები ერთ დღეში მიწასთან გაასწორებენ მთელ ქვეყანას.

● საქართველო ურთიერთპარტნიორობისა და თანამშრომლობის იმ ვალდებულებით არის ხელ-ფეხშეკრული, რომელიც დასავლეთმა ამ ორ სახელმწიფოს სავალდებულო ნორმად დაუწესა — უკრაინას და საქართველოს ერთი მტერი ჰყავს — რუსეთი, ამიტომ ჩვენ აუცილებლად ერთად უნდა ვიყოთ.

ამ „განაჩენიდან“, ამ „ულტიდან“ თავის დაღწევა რომ სცადოს, საქართველოს მყისვე მიეკერება მოღალატის და რუსეთის მოკავშირის იარლიყი.

სწორედ ამით სარგებლობს უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლება და საქართველოს ხელისუფლებას აშანტაჟებს, შეურაცხყოფას შეურაცხყოფაზე აყენებს, რითაც ოპოზიციაში მყოფი რადიკალური ოპოზიციის, „ნაცმოძრაობის“ პირდაპირ მო-

4 გვ. →

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 გვ.

კავშირედ და პარტნიორად გვევლინება.

● რა უნდათ, რას გვემართლებიან?

რა უნდათ და მეორე ფრონტი უნდა გავხსნათ თურმე, რომ, როგორც უშიშროების საბჭოს მდივანმა, დანილოვმა, ბრძანა, რუსებს უკრაინელების ხოცვის გარდა, სხვა საქმეც გამოუჩნდეთ და უკრაინისთვის გამოყოფილი ბომბების მარაგის ნაწილი ჩვენ დავიყარრთ თავზე.

უფრო დიდი ცინიზმი არ მსმენია.

● ვიცი, სულ ტყუილად დავხარჯე დრო და ენერგია — დასავლეთი არც რუსეთს დაელაპარაკება და არც უკრაინას მისცემს საშუალებას, რუსეთთან რაიმეზე შეთანხმდეს.

წინ დონბასისა და დონეცკის სასაკლაო გველოდება და ყველანი გამალებულნი ემზადებიან იმისთვის, რომ ამ სასაკლაოზე რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი დაიხოცოს, თითქოს ადამიანები კი არა პირუტყვები იყვნენ.

დაბოლოს, იქნებ, ვინმეს მოეჩვენოს, რომ ამ წერილით რუსეთს ვესარჩლები. არა, ნამდვილად არა, რუსეთს კი არა, უბედურებაში ჩავარდნილ უკრაინას და, რაც მთავარია, ჩემ სამშობლოს, საქართველოს ვესარჩლები, რომელსაც იგივე ხაფანგში უპირებენ შეტყუებას, სადაც უკრაინა შეიტყუეს...

**№13.2022**

♦ ♦ ♦

რაც დღეს საქართველოში ხდება, ეს ის ბედნიერი შემთხვევაა, როცა ხელისუფლებისა და მოსახლეობის დიდი უმრავლესობის პოზიცია აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთს.

ხელისუფლება მტკიცედ და პრინციპულად იცავს ქართული სახელმწიფოს ეროვნულ, სახელმწიფო ინტერესებს და მიუხედავად სხვადასხვა ძალების მუდმივი ზეწოლისა და წნეხისა, მას ერთი წუთით არ გადაუხვევია ერთხელ არჩეული გზიდან და რაიმე სახის კომპრომისზე არ წასულა.

ამ უაღრესად რთულ და არეულ სიტუაციაში, როცა მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო ლამის ნახევარი მსოფლიო ერთი საერთო პლატფორმის გარშემო ერთიანდება, უაღრესად ძნელი და სარისკოა, შენი სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესებიდან გამომდინარე, მიილო განსხვავებული გადაწყვეტილება და მერე ეს გადაწყვეტილება უშიშრად დაიცვა, დაიცვა და არ შეგეშინდეს იმის, რომ ამას შეიძლება შენი პოლიტიკური კარიერა შეეწიროს.

● ხელისუფლებამ უნდა დაიცვას თავისი ხალხი, მაგრამ ასევე ხალხმაც უნდა დაიცვას თავისი ხელისუფლება და ათასნაირი ჯურის ვიგინდარებს და ავაზაკებს მისი უსამართლოდ ლანძღვა-გინების, მისი დევნის და შევიწროების უფლება არ უნდა მისცეს!

საქართველო გზაჯვარედინია, გზაჯვარედინს კი ორი ფუნქცია აქვს — ერთი გზათა გაყრისა და განშტოებისა, მეორე გზათა შეკრებისა.

საქართველო ცივილიზაციათა და კულტურათა შემკრები და გამაერთიანებელი გზაჯვარედინია.

ჯვარი — ჩვენი ბედისწერა, ჩვენს გეოპოლიტიკურ მდებარეობაშიც თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ინარჩუნებს თითქოს.

ჩვენ გეოპოლიტიკურ ჯვარზე გაკრული ქვეყანა ვართ, ჯვარი ჩვენი ბედისწერაა.

საქართველო არა მარტო გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური, არამედ გეოკულტურული გზაჯვარედინია, სადაც ოდითგანვე ხდებოდა სხვადასხვა კულტურათა ერთად შეყრა და ურთიერთზემოქმედება, რასაც არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ქართველი ერის ხასიათზე და კულტურაზე.

● ჩვენ კულტურათა და ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე დაბადებული და ამ გზაჯვარედინზე გაზრდილი ერი ვართ, რომელმაც ბევრი რამ შევითვისეთ, ბევრი რამ შევისისხლხორცეთ სხვებისგანაც ისე, რომ არ დაგვიკარგავს ჩვენი სახე, ჩვენი თავისთავადობა, ჩვენი განსხვავებულობა.

სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით საკუთარი თავის შესახებ, იმ უძველესი ფესვების და ისტორიული ნიადაგის შესახებ, საიდანაც მოვდივართ, თორემ, უფრო მეტი პატივისცემით და სიამაყით განვეწყობოდით საკუთარი თავის მიმართ, რადგან ჩვენ ერთ-ერთი უძველესი და, ამავე დროს, ბევრი რამით უნიკალური ერი ვართ მთელ მსოფლიოში.

● ალბათ, ძალიან ცოტა სახელმწიფომ თუ იცის მსოფლიოში, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც მისი არსებობის მანძილზე არავინ არასოდეს არ უდევნიათ და არ შეუვიწროებიათ ეროვნული წარმომავლობის თუ რელიგიური მრწამსის გამო?!

ეს ხდებოდა მაშინ, როცა დემოკრატიის აკვანი, ამერიკა, არ არსებობდა, არც გაერო, არც ევროკავშირი, არც ადამიანის უფლებათა დეკლარაცია იყო დაწერილი, ხოლო ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოში, რომელიც დღეს ჰუმანიზმის გაკვეთილებს გვიკითხავს, ადამიანებს ცოცხლად წვავდნენ კოცონზე.

ევროპაში მხოლოდ მე-20 საუკუნის ათიან წლებში შეძლეს ქალებმა დიდი ბრძოლისა და ძალისხმევის შედეგად მიეღწიათ იმისთვის, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეღოთ, საქართველოში კი ცხრა საუკუნის წინათ ითქვა ეს გენიალური ფრაზა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

მხოლოდ საქართველოში თუ გაიგონებთ ამ საოცარ სიტყვებს: დედაკაცი, დედაბოძი, დედამიწა, დედაენა და ა. შ.

სახელმწიფოში, სადაც დედაა მიჩნეული ქვეყნის ეპიცენტრად და დედაბოძად, ცხადია, მეტი სიყვარულია, მეტი მიმტევებლობაა, მეტი ადამიანურობაა.

**ამიტომაც მიდიან საქართველოდან ქართველი კაცის გულწრფელი კეთილგანწყობით, ადამიანთმოყვარეობით სასიამოვნოდ გაოცებული და გაკვირვებული უცხოელები, მიდიან და ისევ დაბრუნება უნდათ, როგორც ოდესღაც მიტოვებულ და დავიწყებულ მშობლიურ სახლში.**



● საქართველოს მტრებო, ტყუილად გაქვთ ამის იმედი — საქართველო „პლანაქეშების“, ავანტურისტების, პროვოკატორების, უცხო სახელმწიფოთა ჯაშუშების და აგენტების, ჩვეულებრივი გიჟებისა და ფსიქოპათების ჭკუაზე არ გაივლის.

**საქართველოში ომი არ იქნება არც ახლა და არც მომავალში!**

**№14. 2022**

♦ ♦ ♦

**„ნაცმოძრაობა“, ანუ მოღალატეთა პარტია, თავისას არ იშლის და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველოში როგორმე მეორე ფრონტი გაიხსნას რუსეთის წინააღმდეგ.**

იგივეს ითხოვენ ზელენსკი, არახამია, არესტოვიჩი, კულება და უკრაინის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

მათი მესმის და ისიც გასაგებია, რა სარგებელს გამოელიან საქართველოში გახსნილი მეორე ფრონტიდან ნაცების უკრაინელი კოლეგები, მაგრამ ამათ, ამ მოღალატეთა პარტიას რა ხეირი თუ საქართველო ცეცხლის ალში გაეხვევა, გადაიბუგება, დაინგრევა და დაილეწება?

ღმერთმა ნუ ქნას და თუ ასე მოხდა, რუსული ბომბები მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ და მის მხარდამჭერებს დააზიანებს, მაგრამ ნაცებს, მათი სექტის წევრებს ნარნარად აუვლის გვერდს?

ნაცებს რაციონალური აზროვნება ცოტა კი უჭირთ, მაგრამ იმდენი ნამდვილად იციან, რომ ბომბებს და რაკეტებს პოლიტიკური ნიშნით არც ადამიანების გარჩევა და დახარისხება შეუძლიათ და არც იმის გამოცნობის უნარი აქვთ, ვის ეკუთვნის ესა თუ ის სახლი თუ სასახლე?

ბომბები თუ რაკეტები ერთნაირი სისასტიკით ანადგურებენ და ანგრევენ ყველაფერს, ხოლო გასანადგურებელი და დასანგრევი თუ ვინმეს აქვს, სწორედ თქვენ გაქვთ, ნაცებო — სასტუმროები, რესტორნები, მარკეტები, სუპერმარკეტები, კლინიკები, პოლიკლინიკები, უმაღლესი სასწავლებლები, ტელევიზიები და კიდევ ათასი სხვა „ხარახურა“, რომლებიც თქვენი მმართველობის დროს ხელს გამოაყოლეთ და ხაზვივით შეირჩინეთ.

დასანგრევი თქვენ გაქვთ, ნაცებო, თორემ მე ერთი მოფახფახებული ქოხი მიდგას ჯალირაში და, არა მგონია, მის დასანგრევად რუსებმა ბომბი გაიმეტონ.

● დაბოლოს, ნაციონალებო, თქვე ავაზაკებო, ძალიან კარგად ვიცით, როგორ არწმუნებთ ვილაც-ვილაცებს, რომ თქვენ ხართ ის ერთადერთი ძალა, რომელიც უკომპრომისოდ და დაუნანებლად შეაჯახებს საქართველოს რუსულ მონსტრს, რასაც აუცილებლად მოჰყვება ქართული სახელმწიფოს დაღუპვა, თქვენ კი საქართველოს ნანგრევებზე და ქართველების ცხედრებზე იცეკვებთ, როგორც ეს ერთხელ უკვე გააკეთეთ 2008 წელს.

ამიტომ უნდა გავხსნათ აქ მეორე ფრონტი, რომ თქვენი ავადმყოფური ამბიციები, ძალაუფლებისადმი თქვენი პარანოიკულ-მანიაკალური სწრაფვა და ჟინი დააკმაყოფილოთ, თუნდაც ამას საქართველო და ქართველი ხალხი შეეწიროს?

კი, მაგრამ, ქართველ ხალხს არ უკვირს, რატომ, სურს თუ არა მას კიგინდარების, მკვლელების, ავაზაკებს იმ პარტიის ხელისუფლებაში დაბრუნებას ემსხვერპლოს, რომელმაც ცხრა წლის განმავლობაში ამდენი ტანჯვა, ტკივილი, დამცირება და შეურაცხყოფა მიაყენა?

ფრთხილად იყავით თქვენ, დამშვიდდით, დაოკდით და ძალიან ნუ ეთამაშებით ქართველი ხალხის ნერვებს, თორემ, შეიძლება, ისეთი რისხვის გრიგალი დაგატყდეთ თავს, მეორე ფრონტი კი არა, საკუთარი გვარ-სახელიც დაგავიწყდეთ.

**თქვენც და თქვენმა პატრონებმა და დამქაშებლებმაც უნდა იცოდნენ, რომ: „საქართველო უარს ამბობს პრობლემების ომის გზით მოგვარებაზე, ახლაც და მომავალშიც!**

**საქართველოში არანაირი მეორე თუ მესამე ფრონტი არ გაიხსნება, არც ახლა და არც მომავალში!“**

**№15. 2022**

♦ ♦ ♦

ხანდახან ეჭვი მღრღნის: ვილაცებს ძალიან ხომ არ შეუყვარდათ გული ამ ტურფა ქვეყანაზე და თავისთვის ხომ არ უნდათ საქართველო, ოღონდ საქართველო ქართველების გარეშე, რომლებიც დროს „ჩამორჩნენ“ და XXI საუკუნეშიც „მამული, ენა, სარწმუნოება“-ო, გაიძახიან და „ახალი რელიგიის“ მქადაგებლებს პრაიდის ჩატარების უფლებასაც კი არ აძლევენ.

ასეთი „ჩამორჩენილი“ და „ველური“ ერის არსებობა, რა თქმა უნდა, ხელს უშლის „პროგრესული“ იდეების განვითარებას და განხორციელებას, ამიტომ, ხომ არ ჯობია, ეს ჯიუტი და თავნება ერი იმდენად დასუსტდეს და შეთხელდეს, რომ წინააღმდეგობის უნარი დაკარგოს.

ამ მიზნის მისაღწევად კი ყველაზე უებარი საშუალება სწორედ რომ ომია.

● ბევრი მტერი ჰყავს საქართველოს, რომლებიც, ერთი ფეხი თუ დაგვიცდა, ისე დაგლეჯენ და დაინაწილებენ ამ ქვეყანას, მისგან არაფერი დარჩება.

რუსეთის მთავარმა იდეოლოგმა, დუგინმა, რამდენიმე წლის წინათ ასეთი რამ თქვა: საქართველო პატარა იმპერიაა. ჩვენ უკვე გავათავისუფლეთ აფხაზები და ოსები ქართველთა ბატონობისგან, მაგრამ კიდევ ბევრი დარჩა გასათავისუფლებელი ქართველების დიქტატისგან, მაგალითად, მეგრელები, სვანები, აჭარლები, პანკისელები, რომლებიც არ არიან ქართველები. რუსეთი მთელ საქართველოზე კონტროლს თუ დააწესებს, არავინ იფიქროს, რომ მხოლოდ ჩვენ დავეპატრონებით საქართველოს, ამ ქვეყანაზე ბევრ მის მეზობელს აქვს ტერიტორიული პრეტენზიები და ჩვენ ამ პრეტენზიებს აუცილებლად გავითვალისწინებთ“.

ყოველივე ამის შემდეგ ვინც ომისკენ მოუწოდებს საქართველოს, ის, გააზრებულად თუ გაუაზრებლად, ქართული სახელმწიფოს დაშლასა და დაქუქმაცებაზე აწერს ხელს.

ამიტომაც საქართველოს, მოცემულ სიტუაციაში, გადარჩენის ერთადერთი გზა აქვს: როგორმე შევინარჩუნოთ მშვიდობა და ამით შევინარჩუნოთ საქართველო.

**აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღა-**

**რიბაშვილს, საქართველოს მთავრობას, ყველა იმ ადამიანს, რომლებიც გმირობისა და თავდადების ფასად, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ საქართველომ ამ ბეწვის ხიდზე მშვიდობიანად გადაიაროს.**

**№16. 2022**

♦ ♦ ♦

საქართველოს სიყვარული, ქართული სახელმწიფოს ინტერესებისადმი ერთგულება დღესაც საშიშია საქართველოში, განსაკუთრებით იმ ქართველებისთვის, რომლებიც ხელისუფლებაში არიან.

საკმარისია, ვინმემ მკვეთრად ეროვნული ხასიათის განცხადება გააკეთოს, ან ისეთი ნაბიჯი გადადგას, რომელიც არ ჯდება სადღაც ვილაცის მიერ დადგენილ ტრაფარეტში, მყისვე განგაშის სიგნალი ჩაირთვება და საზოგადოებას შიში იპყრობს — ეს საქართველოს გამოსარჩლებული კაცი საქართველოს გამოსარჩლების გამო თანამდებობიდან არ გაათავისუფლონ, ან რაღაც სხვა ფორმით არ დასაჯონო.

განსაკუთრებით ხშირად ხდება ასეთი ამბავი ირაკლი ღარიბაშვილთან დაკავშირებით, რომელიც თხემით ტერფამდე ქართველი კაცია და არც არასდროს დაუმალავს, რომ მისი უპირველესი და უმთავრესი მოვალეობაა, ემსახუროს საქართველოს და ქართველ ხალხს.

ყველას კარგად ახსოვს მისი განცხადება — ჩემი უფროსი რომელიმე ევროპარლამენტარი კი არა, ქართველი ხალხია!

მსგავსი რამ ასე ნათლად და ასე ღიად, საქართველოს დამოუკიდებლობის ამ ოცდაათწლიან პერიოდში არავის უთქვამს.

● **ადრე ნათქვამს გავიმეორებ: „დამოუკიდებლობა არ არის ერთჯერადი აქტი, ერთხელ რომ მოიპოვებ და მერე სულ დამოუკიდებელი ხარ. დამოუკიდებლობა მარადიული, უწყვეტი პროცესია, რომლისთვისაც ყოველდღე უნდა იბრძოლო და რომელიც ყოველდღე უნდა მოიპოვო“.**

**№18. 2022**

♦ ♦ ♦

სულ ტყუილად მოუწოდებენ მსოფლიოს ლიდერები ვლადიმირ პუტინს, შეაჩეროს ომი და უკრაინიდან ჯარები გაიყვანოს.

ძალიანაც რომ უნდოდეს, პუტინს ამის გაკეთება არ შეუძლია (ამით დამთავრდება მისი ტრიუმფალური კარიერა).

დიახ, ერთადერთი კაცი, ვისაც ყველა ბერკეტი აქვს იმისთვის, რომ ეს აპოკალიფსური ომი დაამუხრუჭოს და მსოფლიო მოსალოდნელი კატასტროფისგან იხსნას, ეს არის ჯო ბაიდენი, რითაც ის კაცობრიობის ისტორიაში შევა, როგორც გმირი, როგორც კაცობრიობის მხსნელი და გადამრჩენელი.

რა გზას აირჩევს ბაიდენი? გახდება XXI საუკუნის გმირი თუ პუტინთან ერთად იმ პასუხისმგებლობას გაიზიარებს, რაც ომის გაგრძელების შემთხვევაში მასაც აუცილებლად დაეკისრება...

**№19. 2022**

♦ ♦ ♦

**ზარბაზნები არ ხოცავენ ადამიანებს, ადამიანები ხოცავენ ერთმანეთს. ტანკები, ავტომატები, თვითმფრინავები, რაკეტები და ბომბები კი არ ანადგურებენ მიწასთან ქალაქებსა და სოფლებს, არამედ ადამიანები აჩანაგებენ და მუსრავენ ყველაფერს.**

**ბოროტების სათავე თავად ადამიანია, მაგრამ თავის დანაშაულს და ბოროტებას ეშმაკსა და სატანას აბრალებს და ღმერთს შეწყალებას სთხოვს.**

ნეტავ, ამდენ პატიებულ და შეწყალებულ-შებრალებულ მკვლელს როგორ იტევს ზეცა და როცა ამდენი მკვლელის თვალი იყურება ცისკენ, მშვიდობას, ძმობას და თანაგრძნობას ვინ დაამყარებს დედამიწაზე?!

ჩინგიზ ხანები, ჰიტლერები, პინოჩეტები, თემურ ლენგები, ბოკასები, პოლპოტები მიდიან და მოდიან, რომ მათმა არმიებმა ადამიანები გაჟლიტონ.

ესენი დიდი, გრანდიოზული მასშტაბის მკვლელობის ხელმძღვანელობის მეთაურები და ორგანიზატორები არიან, რომლებიც ისეთი ნეტარებით აღიქვამენ ნანახ სურათს, თითქოს სადღესასწაულო პარადს უყურებდნენ.

მსოფლიოს შეშლილები, გიჟები, მანიაკები მართავდნენ ყოველთვის და ახლაც ასეა, მაგრამ კაცობრიობა მანამ ვერ მოისვენებს, ვიდრე მას შეშლილების კასტა არ ამოშლის სამყაროს სიიდან.

**№20. 2022**

♦ ♦ ♦

მოდით, პირდაპირ და ღიად დავსვათ კითხვა: რას ერჩის ევროპარლამენტი საქართველოს, ქართველ ხალხს და მის ხელისუფლებას?!

● საქართველოში თურმე ადამიანის უფლებები დაუცველია, საქართველოში თურმე დამოუკიდებელ მედიას, სიტყვის თავისუფლებას, ჟურნალისტებს ებრძვიან (ზოგს კლავენ კიდეც), საქართველოში უდანაშაულო ადამიანებს იჭერენ და ციხეებში ამწყვდევენ. საქართველოში პოლიტპატიმრები ჰყავთ.

საქართველოს ხელისუფლება იმდენად სასტიკი და ულმობელია თურმე, რომ ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურებების მქონე კაცს, სააკაშვილს, რომელიც მძიმედ არის ავად, ციხიდან არ უშვებს სამკურნალოდ, არც სასჯელის გადავადებას უკეთებს და ამით ნელ-ნელა, მიზანმიმართულად კლავს.

აი, ასეთი ბრალდებებია ჩამოთვლილი ამ რეზოლუციაში და თუ ეს მართალია, ასეთი დანაშაულების ჩამდენი ქვეყანა ევროკავშირში კი არა, მებილიარდეთა კავშირში არ შეიშვება.

თუმცა გამაოგნებელი ის არის, რომ რეზოლუციაში ჩამოთვლილი ყველა ბრალდება სრული ფალსიფიკაციაა, სრული სიცრუეა, სრული საიყალბე და დემაგოგიაა.

● ღმერთის წინააღმდეგ, ადამიანის წინააღმდეგ მიმართული ეს ბრძოლა იმდენად სატანისტური მეთოდებით მიმდინარეობს, იმდენად შეფარული და შენიღბულია ვითომ სიკეთით, ვითომ ჰუმანურობით, ვითომ თანაგრძნობით, ვითომ ტოლერანტობით, რომ ძნელი შესამჩნევია, როგორ ხდება ადამიანის ფრაგმენტიზაცია, მისი დახლეჩვა და დანაწილება, მისი არსებობის სრული რევიზია.

აი, ამ ძალამ შეუგდო კაცობრიობას, მათ შორის ევროპასაც, ლგბტ თემა.

ძვირფასო ევროპელებო, თქვენ ვერ ხვდებით, რა სახიფათო ბომბზე შეგსვეს და რა მოგელით მომავალში, თუ ამ ბომბიდან დროულად არ ჩამოხვალთ ძირს. ბომბზე ზიხართ და ჩვენც ბომბზე გვეპატიჟებით?

● სააკაშვილი — ის მამაცი და უშიშარი „გმირი“ კი არ არის, ერთი ავანტურისტი მთხლეა, რომელიც ყველაფერს იკადრებს, ყველაფერს შეასრულებს, რასაც უბრძანებენ და თავის ქვეყანას უყოყმანოდ გაწირავს და დაუნანებლად მოისვრის უფსკრულში, რადგან მას არც თავისი ქვეყანა უყვარს, არც ქართველი ხალხი და, საერთოდ, არავინ და არაფერი უყვარს, გარდა საკუთარი თავისა და ძალაუფლებისა.

ეს კაცი დაბადებიდანვე ფსიქიკურად ავად არის, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს იმ ძალებისთვის, რომლებსაც ჯიუტად სურთ, საქართველოში ომი დაიწყოს, ომის დამწყებად კი სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ ნამდვილად ივარგებს!

● მადლიერების განცდა თუ არსებობს ამ ქვეყანაზე, საქართველო, იმ საქმეების სანაცვლოდ, რაც მას გაუკეთებია მისი საერთაშორისო პარტნიორების სასარგებლოდ, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი კი არა, ევროკავშირის წევრიც უნდა იყოს და ნატოს წევრიც.

**№21. 2022**

♦ ♦ ♦

პოლიტიკურ პარტიად წოდებულ ორგანიზაციას, რომელიც გარკვეულ სამართლებრივ ნორმებსა და ჩარჩოებში უნდა ჯდებოდეს, ასეთი ღია, უტიფარი, თავხედური ანტისახელმწიფოებრივი „მოღვაწეობა“, ყველგან, ყველა ქვეყანაში უმძიმეს დანაშაულად ჩაეთვლებოდა და აუცილებლად აეკრძალებოდა პოლიტიკურ ასპარეზზე საქმიანობა, მაგრამ საქართველოში ამის მიღწევა ვერა და ვერ მოხერხდა, თუმცა საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა დაჟინებით ითხოვდა და დღემდე ითხოვს „ნაცმოძრაობის“ გასამართლებას.

**№24. 2022**

♦ ♦ ♦

ხშირად გაიგონებთ, საქართველო დამოუკიდებელი არ არის, საქართველო კოლონიააო.

ვთქვათ, საქართველო კოლონიაა, მაგრამ, საინტერესოა, ვისი კოლონიაა ის.

● საქმე ისაა, რომ ჩვენ, სინამდვილეში, არავითარი კოლონია არ ვართ, ჩვენ გახლავართ ნამდვილად დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც ჯერ კიდევ იბრძვის დამოუკიდებლობისთვის, იმის მიუხედავად, რომ ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო გვქვია.

● თავმოყვარე პოზიციამ, დამოუკიდებლობის შეუდრეკელმა დაცვამ, იმის განცხადებამ, რომ ვერავინ გვიკარნახებს მოქმედებების გეგმას და მოდი, სიმართლე ვთქვათ, დღევანდელი მთავრობის თავდადებამ და თავგანწირვამ,



გადაარჩინა საქართველო იმ ძალიან დიდ უბედურებას, რომლისკენაც გვიბიძგებდნენ, დაგვიფარა სისხლისმღვრელი ომისგან, რომლისგანაც საქართველოში ქვა ქვაზე არ დარჩებოდა.

დიახ, ამ კრიტიკულ ვითარებაში კონკრეტული და ვაჟკაცური ნაბიჯები გადადგა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა. მასთან ერთად მისმა გუნდმა და ჩვენმა სახელმწიფომ მრავალი მხრიდან მომდინარე უდიდეს წნეხსა და ზეწოლას, განსაცდელსა და შემოტევას გაუძლო: ჩვენ გვიტევდა ევროპა, როგორც ირკვევა, სტრატეგიული პარტნიორი აშშ და გვაიძულებდნენ, რომ ჩავრთულიყავით რუსეთის წინააღმდეგ ომში.

ჯერჯერობით ჩვენ გადავრჩით და ქართველი ხალხი კარგად ხედავს ამას, იმის მიუხედავად, რომ ჩვენს დიდებულ ქართველ ხალხში ვილაცა ვერ ხედავს ქართველ ხალხს, ვილაც ვერ ამჩნევს, ვინც არის და რასაც წარმოადგენს იგი.

● დღეს 31 აგვისტოა. დგება 2022 წლის შემოდგომა და ჩვენს ე.წ. მეგობრებს, როგორც ჩანს, კვლავ არ გადაუფიქრებიათ, ჩაგვითრიონ რუსეთ-უკრაინის დაუსრულებელ კონფრონტაციაში, რომელმაც თვით უკრაინას დიდი უბედურება მოუტანა.

ამ ომში ჩართვის მცდელობის გაგრძელება იქნება შემოდგომაზე მოსალოდნელი პროცესები — გამოყრიან ქუჩებში ე.წ. სამოქალაქო აქტივისტებს, ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც ილაპარაკებენ ქართველი ხალხის სახელით, რომ ქართველ ხალხს უნდა ევროპაში და საქართველოს ხელისუფლება აბრკოლებს მათ.

● ამერიკა-ევროპამ ჩვენთან მიმართებაში აირჩია აშკარად არასწორი, არამეგობრული ურთიერთობების ფორმები და ბოლოს და ბოლოს გაირკვა, რომ ამ პატარა ქვეყნისგან „ვეშაპებს“ არაფერი აინტერესებთ, გარდა იმისა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, საზარბაზნე ხორცად გამოგვიყენონ.

ამისთვის ვჭირდებოდით მაშინაც, როცა მეგობრობას გვეფიცებოდნენ, ამისთვის ვჭირდებოდით ევროინტეგრაციას რომ გვთავაზობდნენ, ამისთვის ვჭირდებოდით ნატოს კარი ღიააო, რომ გვაქეზებდნენ.

განა შეიძლება ქვეყნის მეგობარი იყო და ცდილობდე, „ნაცმოძრაობა“ დააბრუნო ხელისუფლებაში. „ნაცმოძრაობა“ — კრიმინალური, დამნაშავე ელემენტების ორგანიზაცია, რომელთაც უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი საქართველოში...

● ახლა ამ მტრებთან ბრძოლის გადამწყვეტი დღე დგება. ახლა ქართველი ხალხის და საზოგადოების გმირობის დროა, რადგან ერთობლივი, კონსოლიდირებული მოქმედებით ავიცილებთ თავიდან იმ ხიფათს, რომელსაც გვიმზადებენ ბოროტი ძალები.

ჩვენ უნდა შევძლოთ თვითმობილიზება. ვინ ვისი მომხრეა, რომელი პოლიტიკური ძალის მხარდამჭერი ან მოყვარული, ამას არ აქვს მნიშვნელობა, ვინც საქართველოს მომხრეა, ქვეყნის უსაფრთხოების მომხრე და ქვეყნის გადარჩენის მომხრე, ერთად უნდა დავდგეთ და საქართველო კიდევ ერთხელ გადავარჩინოთ.

არაერთხელ მითქვამს, და კიდევ ვიტყვი: **დროა, საქართველო გამოცხადდეს მშვიდობის სახლად. ჩვენი იდეოლოგიური კონცეფცია არის მშვიდობა და ვინც საქართველოში მშვიდობას ემუქრება, ის საქართველოს ემუქრება განადგურებით. ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას ქვეყანაში და ჩვენ უნდა გადავრჩეთ, ეს ჩვენი ვალია და ეს ვალი თანამედროვე ქართულმა საზოგადოებამ აუცილებლად უნდა მოიხადოს.**

**№28. 2022**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბიძინა ივანიშვილის ფენომენი

ყველაფერს სჭირდება თავისი ნამდვილი სახელის დარქმევა.

ზოგჯერ არ ამართლებს მოსაზრება, რომ მთავარია საქმე გაკეთდეს, ხოლო აუცილებელი არ არის ამ საქმის გარშემო ილაპარაკო და ხალხს განუმარტო, რატომ, რა მიზნით გააკეთე ეს საქმე – ისედაც დაინახავენ და სწორად შეაფასებენ ყველაფერს.

სამწუხაროდ, ადამიანებს უჭირთ თავიანთ თანამედროვეთა ღვაწლის მნიშვნელობის გაგება და აღქმა, რადგან, რაც ძალიან ახლოს არის, იმის დანახვა ძნელია.

● ბიძინა ივანიშვილი, ცხადია, დიდი ქველმოქმედია, რომლის დიაპაზონის მეცენატი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ძალიან ცოტაა, თუმცა თუ მის საქმიანობას თვალს



გავადევნებთ, ერთ აღმოჩენამდე მივალთ — ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედება არ არის მხოლოდ ქველმოქმედება, იმ ფორმით და იმ შინაარსით, როგორც ჩვენ ის გვესმის.

ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედება თითქოს გარკვეულ კონცეფციურ ხაზს მისდევს და მთლიანობაში რაღაც დიდი, გრანდიოზული გეგმის განხორციელებას ემსახურება.

**დიახ, ეს არ არის მხოლოდ ქველმოქმედება ეს გეგმაა და ამ გეგმას თამამად შეიძლება ვუწოდოთ ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობისა და განვითარების გეგმა.**

● ბევრჯერ დაისვა ეს კითხვა და კიდევ გავიმეოროთ: რა დარჩება საქართველოსგან, თუ მას ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულ საქმეებს გამოვაკლებთ?

გამოაკელით და ნახავთ, რა სავალალო სურათს მივიღებთ…

გაივლის დრო და არავის ემახსოვრება, რას ბლუყუნებენ დღეს ივანიშვილზე სააკაშვილები და ბოკერიები, სანიკიძეები და გვარამიები, უგულავები და სამადაშვილები, სხვანი და სხვანი, სამაგიეროდ საუკუნეებს გადაეცემა ბიძინა ივანიშვილის მიერ თავისი ქვეყნისთვის გაკეთებული უამრავი კეთილი საქმე.

ეს ისეთი რეალობაა, რომელსაც ვერავინ ვერ შეცვლის, ვერავინ გააფერმკრთალებს, ვერავინ დამალავს.

რა თქმა უნდა, დღეს ნათქვამი მადლობაც მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი მაინც მადლიერი თაობების მიერ მომავლიდან, საუკუნეების შემდეგ შემოთვლილი მადლობაა…

**პ.ს. №6. 2022**

არსებობს თუ არა მსოფლიოში მეორე ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც იგივე საქმეები აქვს გაკეთებული, რაც ბიძინა ივანიშვილს?

არა, მეორე ასეთი ივანიშვილი არ არსებობს.

● ბიძინა ივანიშვილი იმიტომ კი არ ხარჯავდა ამ მილიონებს, რომ რაიმე პოლიტიკური ინტერესები და ამბიციები ჰქონდა, არამედ იმიტომ, რომ ეს თავის მოქალაქეობრივ ვალად მიაჩნდა.

ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან რომ დაიწყო, მას შემდეგ ოცდაათი წელია ივანიშვილს ეს საოცარი მასშტაბების ქველმოქმედება არ შეუწყვეტია.

ქართული ჯარი, ქართული პოლიცია, განათლების სფერო, სპორტი, კულტურა და ხელოვნება, სოციალური პროექტები, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, ეკლესია, ერის კულტურული მემკვიდრეობა — ეკლესია-მონასტრების რესტავრაცია და მოვლა-პატრონობა — მოკლედ რომ ვთქვათ, არ დარჩენილა დარგი, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი არ წაშველებია და ეს ყველაფერი კეთდებოდა ჩუმად, უხმაუროდ, ისე, რომ ადამიანი, რომელიც ამას აკეთებდა, ფაქტობრივად, არ ჩანდა.

ძალიან მაინტერესებს, იცის თუ არა ეს ამერიკამ და ევროპამ, იცის თუ არა, სინამდვილეში, ვინ არის ბიძინა ივანიშვილი, თუ მისი ცოდნა ამ პიროვნების მოღვაწეობის შესახებ „ნაცმოძრაობის“ მიერ მიწოდებულ ყალბ ინფორმაციებს ეყრდნობა?

● კი, მაგრამ, სად გინახავთ თქვენ მეორე ასეთი „ოლიგარქი“, მთელი სახელმწიფოს პატრონობის ვალდებულება ნებაყოფლობით აელოს თავის თავზე და თავისი შემოსავლების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ამ ვალდებულების ფინანსური უზრუნველყოფისკენ მიემართოს.

ვერ დამისახელებთ მეორე ასეთ პრეცედენტს, იმიტომ, რომ მეორე ასეთი პრეცედენტი, უბრალოდ, არ არსებობს.

● დრო გავა და გადაივლის სიძულვილის, ნგრევის, ანგარიშსწორების ეს შემზარავი ქარიშხალი, დღეს რომ მთელ მსოფლიოს წალეკვით ემუქრება.

ადრე თუ გვიან, ადამიანებს რისხვისგან დაბინდული გონება დაეწმინდებათ და მიხვდებიან, რაც მტრობამ დაანგრია, ისევ სიყვარულმა უნდა აშენოს.

ბიძინა ივანიშვილის მთელი ცხოვრება, მთელი მისი მოღვაწეობა სიკეთით, სიყვარულით, თანაგრძნობით, თანადგომით არის გამსჭვალული და განათებული.

ამიტომ არა მარტო ქართველები, არამედ სხვებიც, განსაკუთრებით უნდა გაუფრთხილდნენ მას და სიყვარულის წილ სიყვარული უნდა დაუბრუნონ.

**პ.ს. №27. 2022**

# შეეშვით სხვის შვილებს!!!



იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„უღირსი საქციელის ჩამდენსაც ღირსეულად უნდა მოექცე.

ამიტომ ჩემს მცირეწლოვან შვილებზე ამორალური სიტყვიერი თავდასხმების პასუხად რადიკალური ოპოზიციის წევრების შვილებს ვუსურვებ ყველაფერ საუკეთესოს და მშვიდობას ყველა სხვა ბავშვთან ერთად.

არასოდეს გარიოთ ბავშვები პოლიტიკაში, ეს ფსკერის ფსკერია და სამარცხვინოა!“



ბექა მჭედლიშვილი სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„ირაკლი ღარიბაშვილის უფროსმა შვილმა ჩააბარა პენსილვანიის უნივერსიტეტში. მთელი დღეა წევენ თემას და თან ვერ წევენ ბინძური პოლიტიკოსები და მათი სპიკერები, როგორ თუ ეს მოხდა. დარწმუნებული ვარ არ მოეშვებიან და გააგრძელებენ. საქართველოს პრემიერ-მინისტრის კი არა, ჩინეთის იმპერატორის შვილი რომ იყო ამ უნივერსიტეტში ვერ ჩააბარებ თუ არ გაქვს საკმარისი განათლება და სიყოჩაღე. სააკაშვილი თავის შვილებს ბიუჯეტის ხარჯზე რომ ასწავლიდა, ზემოთ ხსენებულ ხალხს ამასთან დაკავშირებით პრობლემა არ ქონია რომ იცოდეთ და ახლა გამოდიან ზოგი ვითომ ჟურნალისტი და ზოგი ვითომ ძაან შეწუხებული პოლიტიკოსი და ამ თემასთან დაკავშირებით მოძღვრავენ ხალხს, თითქოს რაიმე საშინელება მოხდა. შეგახსენებთ მაინც რომ ირაკლი ღარიბაშვილი თავის შვილების სწავლას ბიუჯეტის ფულით არ აფინანსებს. წარმატებული მამის წარმატებულმა შვილმა ჩააბარა ძალიან კარგ უნივერსიტეტში. წარმატებებს ვუსურვებ ნიკოს, დარწმუნებული ვარ, იმ ცოდნას, რასაც შეიძენს, საკუთარ ქვეყანას მოახმარს.

P.S. სხვათა შორის, განათლების საერთაშორისო ცენტრი ირაკლი ღარიბაშვილმა შექმნა, რომელმაც პოლიტიკური გემოვნების მიუხედავად, 1000-ზე მეტ ახალგაზრდას დაუფინანსა სწავლა უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში“.



საზოგადოება სრულიად გაბოროტებულ-შეშლილია, ფეხი რომ დაგრჩეს ღია კართან, მიგიხურავენ და მიგაჭყლიტავენ. თქვე კაი ხალხო, ვიღაც სიკინჭილაშვილის შვილები სწავლობენ სორბონებში, კემბრიჯებში და, რა ვიცი, სად აღარ და პრემიერის 16 წლის შვილის წარმატებამ გადაგრიათ? სააკაშვილივით სახელმწიფო ფონდიდან ხომ არ ფინანსდება მისი სწავლა, პრემიერმა რამდენი გაჭირვებულის ოჯახი გადაარჩინა, იცით? მისმა შექმნილმა სოლიდარობის ფონდმა უამრავ ბავშვს სიცოცხლე აჩუქა, უამრავ ახალგაზრდას საზღვარგარეთ სწავლა დაუფინანსა, რამდენ უანგარო სიკეთეს და ქველმოქმედებას ეწევა მისი ოჯახი, სამხედრო სავალდებულო სამსახურშიც გაუშვებს შვილებს, როცა ამის დრო მოვა. არ უწევს ჯერ ასაკით, 16 წლისაა. დაწყნარდით, დაოკდით და შურმა ნუ დაგაბრმავათ. ღმერთმა გვიმრავლოს ისეთი ახალგაზრდები, როგორიც ნიკოლოზია. ვისაც სწავლა უნდა, დღეს ყველასთვისაა ამის საშუალება. ნიჭი არსად იკარგება და ყველას გისურვებთ წარმატებას!

ნინო ჯღარკავა

# ოცდამეერთე საუკუნეში მსოფლიო კალენდართან კონფლიქტში აღმოჩნდა

## დასავლური რიტორიკის ნიღაბს ამოფარებული ქართული მედია, ანუ ვინ მიგვაქანებს დესტაბილიზაციისკენ?



*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის განხილვა გახდა. რას იტყვით, გავრცელებულ კადრებზე, რაც, ოპოზიციის აზრით, უკანონოა?**

— როცა უკანონობაზე ვსაუბრობთ, მოდი, ციხის კადრების გამოქვეყნება გავიხსენოთ. ეს კადრები უკანონო იყო თუ არა?! პიროვნების ღირსების ხელყოფას ჰქონდა ადგილი?! საქმე ისაა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება პიროვნების ღირსებას ბევრად უარესი ფორმებით ხელყოფდა! თუ ციხის კადრები პოლიტიკურად გამართლებული იყო, მაშინ ესეც გამართლებულია. დავაკვირდეთ, რა პროპაგანდა მიდიოდა ამ კადრების გავრცელებამდე: მიშას კლავენ, წამლავენ, სასწრაფოდ უნდა გადავარჩინოთო. ეს ერთ მიზანს ემსახურებოდა. — დასავლეთსაც დაეჯერებინა, რომ მიშას ჩაგრავენ, კლავენ, ღირსებას ულახავენ და ა.შ. შედეგად, მიშას რეაბილიტაცია მოხდებოდა და ნაცების ხელისუფლებაში დაბრუნების შანსიც გაიზრდებოდა. სამარცხვინოა, როცა სააკაშვილის წამებაზე საუბრობენ. მაშინ რა ვუწოდოთ იმას, რაც თეთრაძეს, მოლაშვილს და სხვებს მიშას რეჟიმმა დამართა?! ამ ადამიანების მიმართ სასტიკი მოპყრობა თურმე არაფერი ყოფილა და სააკაშვილს ცივ ნიავს რომ არ აკარებენ, ეს წამებაა. ხალხს, იცით, რით ურეცხავენ ტვინებს? — სააკაშვილს რამე რომ დაემართოს, ევროპა კანდიდატის სტატუსს არ მოგვცემს, მეტიც, ველურებად გამოგვაცხადებსო. და ვინ ისარგებლებს ამ ყველაფრით? — რა თქმა უნდა, ოპოზიცია, რომელიც ხალხს ქუჩაში შემდეგი მოტივით გამოიყვანს:— ხელისუფლებამ პრეზიდენტი მოკლა, ამიტომ კანდიდატის სტატუსიც დავკარგეთო და გადატრიალების, ქვეყნის ნგრევის სცენარიც მზად არის. ასე რომ, ხელისუფლების შეცვლის რევოლუციური გეგმა ოპოზიციაში კვლავ აქტუალურია.

**— წამებულის გარდა, მიშა „პუტინის პატიმარიცაა...“...**

— ეს ტვინების გამორეცხვის მექანიზმია — მიშას პუტინთან მებრძოლ მთავარსარდლად მოიხსენიებენ. სინამდვილეში, მიშა გახლავთ მთავარსარდალი, რომელიც აგვისტოს ომის შემდგომ რუსეთიდან ჩამოსულ ტურისტებს აეროპორტში თავად ხვდებოდა. მან რუსეთიდან შემოსულ მოქალაქეებზე შეზღუდვა მოხსნა. სწორედ პუტინთან მებრძოლმა მთავარსარდალმა მიჰყიდა ქართული სტრატეგიული ობიექტების 90% რუსებს! მან გეგმა შეასრულა — ის გააკეთა, რაც რუსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებისთვის სჭირდებოდა, თავად, დასავლეთიდან 4 მილიარდი დოლარი მიიღო დახმარების სახით, დანარჩენი ობიექტები და სამხედრო ტექნიკა რუსეთს გადასცა. ბრძოლის გაგრძელება რაღაში სჭირდებოდა?! კიდეც დაამთავრა ხუთ დღეში. აი, ეს გახლავთ პუტინთან მებრძოლი სააკაშვილი!

**— ევროპა ამ „მებრძოლ“ მთავარსარდალზე გვეუბნება: პოლიტპატიმარია და გაათავისუფლეთო. ივანიშვილს კი ოლიგარქს უწოდებენ — ქვეყანა მძევლად აიყვანაო და მისთვის სანქციების დაწესებას ითხოვენ. ამ მოვლენას როგორ შეაფასებთ?**

— საქმე ისაა, რომ რამდენიმე ევროპა არსებობს. მაგალითად, ევროპა, რომელმაც ყატარს ჩემპიონატის ჩატარების უფლება მიჰყიდა და ახლა ევროპარლამენტის ვიცე-სპიკერის სასამართლო პროცესი მიდის. ვინც ქრთამის ფასად ეს ნაბიჯი გადადგა, ხომ ევროპელია?! ასევე, ცნობილია, რომ გერმანიის ყოფილი კანცლერი რუსეთში საკმაოდ ხელსაყრელ თანამდებობაზე დაინიშნა. დასავლეთის ბევრ ქვეყანაში რუსეთის ლობირება გავრცელებული მოვლენაა! აი, ასეთი ევროპაც არსებობს. ამიტომ მას რა უნდა, რთული სათქმელია. ამავე დროს, არსებობს ევროპა, რომელიც დღეს რუსეთს იძულებით ებრძვის (ფაქტობრივად, ევროპა ამ ბრძოლის ველზე ამერიკამ შეაგდო, თორემ ის რუსეთთან ბრძოლას არ აპირებდა). ამერიკა რუსეთსა და ევროპას შორის დაპირისპირებას ამწვავებს. მან დაინახა, როგორ მიიწევდა ევროპა ნელ-ნელა რუსეთისკენ. ამერიკას სურს, რუსეთს ევროპა მოწყვიტოს და ის თავის თავზე დამოკიდებული გახადოს. ეს რუსეთთან დაპირისპირებული და ამერიკის ამყოლი ევროპა გახლავთ. ასე რომ, ევროპაში რუსეთის გავლენის მატარებლებიც არიან და ამერიკისაც. ჩვენ ორივე შემთხვევაში გარკვეული ფუნქციები გვიჩნდება, განსაკუთრებით იმ ევროპასთან მიმართებით, რომელიც ამერიკის გავლენის ქვეშაა. ევროპის შეტევა საქართველოს მიმართ, პრაქტიკულად, რუსეთის ინტერესების გატარებას ან მისი პოლიტიკისადმი დამორჩილებას ჰგავს. ორბანზე მუდმივად იძახიან: რუსეთის პოლიტიკას ატარებსო. ამ დროს ვნახეთ, მან როგორ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, სადაც ენერგომატარებლები რუსეთის გზის აცილებით გაივლის. ასე რომ, არსებობს ევროპა, რომელიც სტრატეგიულად აზროვნებს და ამერიკას უჭერს მხარს, ხოლო მეორე მხრივ გვაქვს ევროპა, რომელიც ფიქრობს: ოღონდ, ნუ იქნება ბუნტი და რუსეთს უჭერს მხარს. აქვე გეტყვით, რომ ევროპა, რომელიც კანდიდატის სტატუსის არმონიჭებით გვემუქრება, ის რუსეთის მხარდამჭერია.

**— ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე რას იტყვით?**

— ტალიავინის დასკვნაში ფიგურირებს ფრაზა, რომ საქართველო პროვოკაციას აჰყვა. თუკი ჰააგის სასამართლოს პოზიცია იმით არის მოტივირებული, რომ რუსეთს მკაცრი პასუხი მოეთხოვოს, ამ შემთხვევაში მათ მოსაზრებას მხარს ვუჭერ. ნუ ავაწყობთ საუბარს იმ რომანტიული დამოკიდებულებით, თითქოს უცხოეთის სასამართლოები პოლიტიკას ყურადღებას არ აქცევენ და მხოლოდ სამართლით, კანონის მუხლებით ხელმძღვანელობენ.

ისმის კითხვა: უნდა აგოს თუ არა პასუხი სააკაშვილმა 2008 წლის მოვლენებზე? ჰიტლერის თანამებრძოლებმა პასუხი აგეს მას მერე, რაც დამარცხდნენ. მიშა არჩევნებში დამარცხდა, მაგრამ რუსეთიც უნდა დამარცხდეს. იმიტომ, რომ როცა სააკაშვილის დანაშაულზე ვსაუბრობთ, ეს ნიშნავს, რომ ანალოგიური ეხება რუსეთსაც, რადგან მიშამ სწორედ მისი საქმე გააკეთა.

**— ახალ წელს „ნაცმოძრაობაში“ ვადამდელი არჩევნებით ვიწყებთ. იქამდე ბოიკოტს, მწვავე საპროტესტო აქციებს აანონსებენ, მიშას დასახსნელად შიმშილობაც დაიწყეს. იგივე წრეზე წასვლა რა შედეგს მოიტანს?**

— „ნაცმოძრაობას“ უნარი არ აქვს, პარლამენტში შევიდეს და შესაბამის საკანონმდებლო დოკუმენტებზე იმუშაოს, ხარვეზი გამოავლინოს, ალტერნატიული პროექტები წარადგინოს და ა.შ. საპარლამენტო ბრძოლის წესები ბევრ შრომას მოითხოვს. შიმშილობა კი ინტელექტუალურ ძალისხმევას არ საჭიროებს. ამიტომ ეს მათთვის ყველაზე ხელსაყრელი ფორმაა, თუმცა უშედეგო. სამწუხაროდ, ნაცებით საზოგადოების გარკვეული ნაწილი აღფრთოვანებულია. საზოგადოების პრობლემა ის არის, რომ ჯერ კიდევ არსებობს ადამიანების არცთუ მცირე რიცხვი, ვისთვისაც ადამიანის მოკვლა, ღირსების გათელვა, ქონების წართმევა არავითარ პროტესტს არ იწვევს. მათ მიაჩნიათ, რომ მიშა მაინც მაგარია. ვინც დღესაც მიშას ხელისუფლებას ნატრულობს, მას მორალის არასწორი გაგება აქვს. თურმე მიშას სტრესი აქვს და უნდა გათავისუფლდეს. საწოლიდან ძალით გადმოვარდნის და დამხმარე მოწყობილობით ხიარულის სცენა აშკარა სიმულაციაა და მისი ციხიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლების შთაბეჭდილებას არ ტოვებს. მიშას გათავისუფლებით „ქართული ოცნება“ ამომრჩეველთა დიდ ნაწილს დაკარგავს. ეს ამომრჩეველი სახლში წავა და შედეგად ნაცები სახელისუფლებო საჭეს მიუახლოვდებიან.

**— ბატონო რამაზ, შეაფასეთ, როგორი იყო, პოლიტიკური თვალსაზრისით, გასული 2022 წელი?**

— 2022 წელს ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მოვლენა, მთელი მსოფლიოსთვის, რუსეთ-უკრაინის ომი იყო, რაც ჩვენს ქვეყანასაც შეეხო. კერძოდ, უკრაინა დაუფარავად ითხოვს აქ მეორე ფრონტის გახსნას. ასევე დაუფარავად აგრძელებს აპელირებას თემაზე — საქართველოში კარგი ხალხია, მაგრამ ხელისუფლება არ ვარგაო. ფაქტობრივად, უკრაინა ამით ქართველი ხალხის არჩევანის მიმართ უპატივცემულობას ღიად გამოხატავს. ხელისუფლებაში ნაცების ხილვა რომ სურთ, ბუნებრივია, რადგან ამ პარტიის დიდი ჯგუფი თავად

10 გვ. →



ირაკლი ღარიბაშვილი: „ნაყოფიერი საუბარი მქონდა რუმინეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლაე-ლონელ ჩუკასთან. შეხვედრაზე ყურადღება გავამახვილეთ რეგიონალური პროექტების მნიშვნელობაზე და შავი ზღვის მზარდ როლზე. რუმინეთის მადლობელი ვარ საქართველოს ევროპული მისწრაფებების მხარდაჭერისთვის და დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო-რუმინეთის პარტნიორობა საერთო ინტერესების მქონე მრავალი მიმართულებით გაღრმავდება“.

ვიქტორ ორბანი: „გამიჯვნის საპირისპიროდ, დაკავშირებადობა ენერგო კრიზისიდან გამოსავალია. დღეს ხელი მოეწერა ძალიან დიდ შეთანხმებას აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ილჰამ ალიევთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ირაკლი ღარიბაშვილთან, რუმინეთის პრეზიდენტთან კლაუს იოჰანისთან და ევროკომისიის პრეზიდენტთან ურსულა ფონ დერ ლეიენთან მსოფლიოში ყველაზე გრძელი წყალქვეშა ელექტრო გადამცემი ხაზის მშენებლობის შესახებ, რითიც ხდება უნგრეთის, რუმინეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის დაკავშირება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპაში პოლიტიკოსები აღარ არიან, მხოლოდ საშუალო დონის ჩინოვნიკები დარჩნენ

## 2022 წლის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენები



მშფოთვარედ დაიწყო 2022 წელი. იანვრის პირველივე რიცხვებში საგანგაშო ცნობები გავრცელდა შუა აზიიდან — რეგიონის ერთ-ერთ დიდ ქვეყანაში, ყაზახეთში მასობრივი არეულობების აგორების შესახებ. ვითარება ყოველ წუთს მწვავდებოდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ყაზახეთის ყოფილ დედაქალაქ ალმა-ათაში შეიქმნა. ამბოხებულები სახელმწიფო ორგანიზაციებს, სამხედრო ნაწილებს, სამართალდამცველებს უტევდნენ, გადაწვეს პრეზიდენტის ყოფილი რეზიდენცია... გაიძარცვა მაღაზიები, ბანკები. ჯერაც დაუზუსტებელი ინფორმაციით, დაიღუპა 250-მდე მოქალაქე. მოკლეს 18 სამართალდამცველი, სამ მათგანს თავები მოაჭრეს.

ტოკაევი იძულებული გახდა, თანამეგობრობის კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციისთვის (რომლის წევრიც არის ყაზახეთი) ეთხოვა დახმარება.

სამშვიდობო ძალების ოპერატიულად ჩასვლის შემდეგ ყაზახეთში ვითარება დარეგულირდა, დაწყნარდა. წარმატებული მისიით უკმაყოფილოები დარჩნენ დასავლეთის ქვეყნები. ევროკავშირის პირველი დიპლომატის ჟოზეპ ბარელის შეფასებით, ყაზახეთში სამშვიდობო ძალების შეყვანა ნაჩქარევი იყო (?!).

ზუსტად ერთი წლის წინათ, შარშან დეკემბერში რუსეთმა პრეტენზიები, უფრო ზუსტად, ულტიმატუმი წაუყენა ნატოს და ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას, სადაც ალიანსის არგაფართოებას და ევროპის 14 ქვეყნიდან სარაკეტო დანადგარების გატანას ითხოვდა. აღნიშნული საკითხების განსახილველად რამდენიმე შეხვედრაც გაიმართა, მაგრამ უშედეგოდ. რუსეთის მხარემ შვეიცარიაში გამართული სამიტის შემდეგ განაცხადა: „... უშედეგო, მაგრამ კონსტრუქციული დიალოგი გვქონდა... ჩვენ პირდაპირ ვუთხარით, რომ ნატოს გაფართოება საფრთხეს შეუქმნის ევროპის უსაფრთხოებას“. ალიანსის გენერალურმა მდივანმა ბრიფინგზე თქვა: „... ჩვენ არ წავალთ კომპრომისზე, თუ რომელიმე ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე დაემუქრება. ვერ შევუზღუდავთ ქვეყნებს არჩევანის საშუალებას, რომელ ორგანიზაციაში გაწევრიანდნენ თავიანთი უსაფრთხოებისთვის“.

აშშ-სა და ნატოში განსაკუთრებით აშფოთებდათ რუსეთის ჯარების უკრაინის საზღვრებთან ყოფნა (თურმე არა უსაფუძვლოდ). საქართველოს ტერიტორიაზე 14 წელია, რუსეთის ჯარი იმყოფება, მაგრამ ნატო-რუსეთის სამიტზე ამ საკითხზე არაფერი უთქვამთ. აფხაზეთი და სამაჩაბლო ჩვენს მოკავშირეებს საქართველოს ტერიტორიებად აღარ მიაჩნიათ?

მნიშვნელოვან მოვლენად შეაფასეს მსოფლიოს პოლიტოლოგებმა ირანის პრეზიდენტის იბრაჰიმ რაისის რუსეთში ჩასვლა. თანამდებობაზე იგი შარშან ზაფხულში აირჩიეს, მაგრამ პირველი ოფიციალური ვიზიტი რუსეთში განახორციელა. მოსკოვში გამგზავრებამდე რაისმა მოსახლეობას მიმართა: „...მოსკოვში ჩემი ვიზიტი და პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრა ჩვენს ქვეყანას ახალ პოლიტიკურ არეალზე გადაიყვანს“. სტუმარს რუსეთში მართლაც ღირსეულად დახვდნენ და ყველანაირი პირობები შეუქმნეს. რაისმა კრემლში ნამაზის ლოცვაც აღავლინა. შეხვედრისას რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ხაზგასმით აღნიშნა ორი ქვეყნის ნაყოფიერი თანამშრომლობა: „...ჩვენ შეგვიძლია, კიდევ უფრო გავაღრმავოთ ორმხრივი თანამშრომლობა... აგერ უკვე ორმოცი წელია, ვუპირისპირდებით აშშ-ს, მაგრამ ვერანაირი სანქციები ვერ შეაჩერებს ჩვენი ქვეყნის განვითარებას“, — უპასუხა რაისმა.

მსოფლიოში არსებული მწვავე ვითარების განეიტრალება ვერ შეძლო ჩინეთში გამართულმა ზამთრის 24-ე ოლიმპიურმა თამაშებმა. პლანეტის ერთ-ერთმა მთავარმა სპორტულმა ზეიმმა პოლიტიკური ელფერი მას შემდეგ შეიძინა, რაც რამდენიმე ქვეყანამ პოლიტიკური ბოიკოტი გამოუცხადეს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა თომას ბახმა გულდაწყვეტილმა აღნიშნა: „...სამწუხაროდ, ოლიმპიადის ბოიკოტირების მახინჯმა გადმონაშთმა კვლავ იჩინა თავი, რაც სპორტში დაუშვებელია“. თუმცა, ცალკეული ქვეყნების მეთაურთა დემარშს სპორტულ შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია. ჩინეთის დედაქალაქი მსოფლიოს სპორტის ისტორიაში პირველია, რომელმაც უმასპინძლა როგორც ზაფხულის (2008) ისე ზამთრის ოლიმპიადას.



ჯერ კიდევ შარშან მიიწვია ჩინეთის მმართველმა სი ძინპინმა პუტინი ოლიმპიადის გახსნაზე, რაზეც თანხმობა მიიღო. ოლიმპიადის დაწყებამდე ორი ქვეყნის მეთაური შეხვდა ერთმანეთს ოფიციალური ვიზიტის ეგიდით, რომელიც 3 საათზე მეტხანს გაგრძელდა. „... ჩინეთი და რუსეთი დაიცავენ თავიანთ ფუნდამენტურ ინტერესებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში“, — განაცხადა სი ძინპინმა. ვაშინგტონი შეაშფოთა პუტინის ვიზიტმა, რის გამოც ჩინეთს სანქციებით დაემუქრნენ.

თებერვლის შუა რიცხვებში მოსკოვში ვიზიტით ჩავიდა. გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი. პუტინთან მისი შეხვედრა 4 საათზე მეტხანს გაგრძელდა. შოლცი ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ ნატო რუსეთისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. მანვე დაადასტურა, რომ უკრაინის კრიზისის მოგვარება მინსკის ხელშეკრულების პირობების შესრულებით იყო შესაძლებელი, რისი პირობაც უკრაინის პრეზიდენტის, ვლადიმერ ზელენსკისგან პირადად მიიღო, მაგრამ მისი ვიზიტის შემდეგ უკრაინის ჯარებმა დონბასის რეგიონის ქალაქებს შეუტიეს.

უკრაინის სახელმწიფოებრიობის მომავალი დღემდე ბუნდოვანია. მიზეზი იქაური ხელისუფლების არათანმიმდევრული მოქმედებაა. ნებისმიერი ომი ჩვენთვის მიუღებელია. როდესაც შესაძლებელია შეიარაღებული კონფლიქტის თავიდან აცილება და ამას ხელისუფლება არ აკეთებს, სწორედ ეს არის შეცდომა, დანაშაული. სწორედ ასე მოიქცა უკრაინის მთავრობა. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ რუსეთი აბსოლუტურად მართალია, მაგრამ ზელენსკიმ უარი თქვა ყოველგვარ მოლაპარაკებაზე, რაიმე შემხვედრი ნაბიჯის გადადგმაზე. სწორედ მისმა გამონათქვამებმა მისცეს რუსეთს საფუძველი, დაეწყოთ საბრძოლო მოქმედებები უკრაინაში. ზელენსკი არაერთხელ გააფრთხილესმ რომ რუსეთი ქვეყანაში შეჭრას გეგმავდა, მაგრამ მან უყურადღებოდ დატოვა ინფორმაცია, ან მოკავშირეების დახმარების იმედი ჰქონდა, რაც ფუჭი აღმოჩნდა.

საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე პუტინმა აღიარა დონბასის და ლუგანსკის ოლქების დამოუკიდებლობა. მოსახლეობისადმი მიმართვისას მან ისტორია გაიხსენა. მისი თქმით, უკრაინის ტერიტორიების დიდი ნაწილი მათ ბოლშევიკებმა, კერძოდ, ლენინმა უბოძა. „...ეს გახლავთ ვლადიმირ ილიჩ ლენინის სახელობის უკრაინა. თუმცა, აცხადებენ, დეკომუნიზაციას ვახორციელებთო. ძალიან კარგი, ჩვენ გვაწყობს დეკომუნიზაცია. მოდი, შუა გზაზე ნუ გავჩერდებით, ვაჩვენოთ რეალური დეკომუნიზაცია“, — თქვა პუტინმა მოსახლეობისადმი მიმართვაში. „...ქვეყნები, რომლებიც ნებისმიერი სახით ჩაერთვებიან ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში, მიიღებენ ისეთ პასუხს, როგორიც არ ყოფილა მათ ისტორიაში. ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ“, — განაცხადა პუტინმა.

ნატოსა და აშშ-ში დღემდე ღიად აცხადებენ, რომ არ ჩაერთვებიან რუსეთთან ომში, რადგან რუსეთთან დაპირისპირება შესაძლოა, ბირთვულ ომში გადაიზარდოს. უკრაინას კი მოუწოდებდნენ (დღესაც იგივე გვესმის) იბრძოლონ ბოლო უკრაინელამდე. ამასთან, ჩვენც მოგვიწოდებენ, ჩვერთოთ რუსეთთან ომში, რომ დაგვეჯერებინა და შეგვეტია, რა დარჩებოდა ჩვენი ქვეყნისგან, ახლა უკვე ძნელი გამოსაცნობი არ არის. თუმცა, შედეგი არ აინტერესებთ საქართველოს შინაურ და გარეშე მტრებს. უარით განაწყენებულმა ზელენსკიმ საქართველოდან ელჩი გაიწვია, ეს მაშინ, როდესაც მოსკოვში უკრაინის საელჩო მუშაობდა. თურმე არ ყოფილა ზელენსკისთვის რუსეთი მტერი.

ბრძოლები უკრაინაში გრძელდება. დაღუპული ასობით ათასი ადამიანი. ომის შედეგებს გამოცდილ-გამობრძმედილი პოლიტოლოგებიც ვერ პროგნოზირებენ.

„ეპოქის დასასრულად“ შეაფასეს ბრიტანეთში დედოფალ ელიზაბეტ II-ის გარდაცვალება. 96 წლის მონარქი გაერთიანებულ სამეფოს 70 წელი მართავდა. დედოფლის ადგილი მისმა ვაჟმა, ჩარლზმა დაიკავა, რომელსაც ახლა მეფე კარლ III უწოდეს სახელად. პრინცი ჩარლზი 50 (!) წელი ელოდებოდა ტახტზე ასვლას...

დედოფალ ელიზაბეტ II-ის მიერ დანიშნული ბოლო პრემიერ-მინისტრი ლიზ ტრასი იყო, რომელმაც თანამდებობაზე 44 დღე დაჰყო, რითიც რეკორდი თუ ანკირეკორდი დაამყარა. იგი წარმოშობით ინდოელმა რიში სუნაკმა შეცვალა.

ივლისის დასაწყისში ვერაგულად მოკლეს იაპონიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი სინძო აბე. თანამედროვე პოლიტიკოსებს შორის აბე გამორჩეული ფიგურა იყო, როგორც იაპონიაში, ასევე მსოფლიოში.

„ევროპელი ლიდერების რეპუტაცია შეირყა“, — წერდა ამერიკული პრესა. ევროპელი პოლიტოლოგების შეფასებით: „... ევროპაში პოლიტიკოსები აღარ არიან, მხოლოდ საშუალო დონის ჩინოვნიკები დარჩნენ, რომლებიც ნებისმიერ თანამდებობაზე იმუშავებენ“.

ძნელია თქმა, როგორი იქნება მსოფლიოსთვის პოლიტიკურად ახალი 2023 წელი. ჩვენ კი მშვიდობას, ჯანმრთელობას და ბედნიერებას გისურვებთ, მეგობრებო!

გია ბურდული
551 71 27 07



# ახალი წელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში

### იმერეთი

იმერეთში მეკვლის ან სასურველი სტუმრის მოსვლამდე ოჯახის უფროსი გამთენიისას ხორაგით სავსე ხონჩით ხელში სახლს სამგზის წალმა შემოუვლიდა და უფალს ოჯახის გამრავლებას, ჯანმრთელობას, ხვავსა და ბარაქას შესთხოვდა. ხონჩაზე ეწყო: ღორის თავი, მოხარშული დედალი, ხაჭაპური, ლობიანი, ღერღილის პური და ტკბილი კვერები. სახლ-კარის შემოვლის შემდეგ ოჯახის უფროსი კერიაში შედიოდა, სადაც ეგდო მოგიზგიზე ხმელი ჯირკი, ახალი წლის დილას ოჯახის ყველაზე ხნიერი წევრი საკეცეს, ხის ნაპობს ან ჯოხს რამდენჯერმე დაჰკრავდა ამ ჯირკს და აშლილ ნაპერწკლებს ლოცვას დააყოლებდა: ამდენი ოქრო ჩვენს ოჯახში, ამდენი პური და ღვინო, ამდენი მარილი, ამდენი ძროხა, ამდენი ქათამიო.

### სვანეთი

სვანეთში ახალი წლის წინა დღეებში ოჯახებში განსაკუთრებულ სისუფთავეს იცავდნენ, ერიდებოდნენ სტუმრად სიარულს, კლავდნენ მთელი წლის განმავლობაში საგანგებოდ ნასუქ ღორს, რომელსაც მეისარაი ერქვა. აცხობდნენ პურებს ჯვრების გამოსახულებით და ტკბილ კვერებს. მოფეხეს, ანუ მეკვლეს ღამე გარეთ უნდა გაეთია, რათა ოჯახში განწმენდილი შესულიყო და „კარგი ფეხი“ შეეტანა. ოჯახის უფროსი ალიონზე დგებოდა, საქონელს მიხედავდა — წყალს დაალევინებდა, მერე კი სანთლებით ხელში ოჯახს დალოცავდა.

### სამეგრელო

სამეგრელოში საახალწლოდ თხილის ხისგან ამზადებდნენ ჩიჩილაკს, რთავდნენ მას ბამბითა და სათამაშოებით, ქვეშ უწყობდნენ ხილს, ტკბილეულს, ხაჭაპურს, ნიგვზით მორთულ ფელამუშს, იქვე დგამდნენ ღვინით სავსე ხელადას და ჭიქას. მეკვლეს მეგრულად მეკუჩხურს, ოჯახი წინასწარ ირჩევდა და საგულდაგულოდ ემზადებოდა მის დასახვედრად.

### ქართლ-კახეთი

ქართლ-კახეთში ახალი წლის წინ ოჯახში მოჰქონდათ უძრახი წყაროს წყალი და ეზოში მოასხამდნენ. როგორც კი თორმეტი საათი შესრულდებოდა, ოჯახის უფროსი ან მოწვეული მეკვლე სახლში ხონჩით ხელდამშვენებული შემოდიოდა. ხონჩაზე აუცილებლად ელაგა: „დედას პურები“, ყველი, ხორცი, ხელადით ღვინო, გოზინაყი, ხილი, ჩირი, ჩურჩხელა და მარცვლეული. მეორე ხელში მეკვლეს ცოცხალი ქათამი ეჭირა, ზღურბლზე სიმინდის ან ქერის მარცვალს მოაბნევდა, წელი ხვავიანი რომ ყოფილიყო, ქათამს გაუშვებდა და თან ლოცვას დააყოლებდა: შემოვდგი ფეხი, გწყალობდეს ღმერთი. ფეხი ჩემი — კვალი ანგელოზისა! წელი სიკეთე-სათნოებისა, მშვიდობისა, ბარაქისა, სიყვარულისა, გამრავლებისა! ღმერთმა დაგლოცოთ კაც-დიაცით, თქვენი შვილებით, აკვნების სიმრავლით, პურ-ღვინის დაძველებით, ზვარ-ყანების სიდიდით, ცხვარ-ძროხის სიმრავლით, კარგი სტუმრითა და ყველა მოკეთით! მრავალ ახალ წელს!

### გურია

გურიაში შობა-ახალ წელს კალანდობას უწოდებდნენ. დღესასწაული ყველა ოჯახში დეკემბრის ბოლოს ღორის დაკვლით იწყებოდა, აცხობდნენ ნაზუქებს, კვერებს კვერცხითა და ყველით, ხაჭაპურებს, წვავდნენ კუპატს, ამზადებდნენ ინდაურის საცივს და რთავდნენ ჩიჩილაკს. ოჯახის უფროსი ჯერ მარანს და საბძელს დალოცავდა, მერე სახლში შემოვიდოდა და წითელი ღვინით მშვიდობას უსურვებდა ქვეყანას და ოჯახს. ახალი წლის ღამეს სოფელში მეალილოები კარდაკარ დადიოდნენ და მღეროდნენ, თან აგროვებდნენ ტკბილეულს, ჩირს, ვერცხლის ფულსა და ხილს.

### რაჭა

რაჭაში საახალწლოდ სუფრას ამშვენებდა ლობიანი პურები, ღვინო, ლორი, თაფლი, კაკალი, ტყლაპი, ჩირი და ვაშლი. ფეხბედნიერი მეკვლე მეფეხეს ოჯახი წინასწარ სამი წლით ირჩევდა. ის ოჯახში დოქი ღვინით, მოხარშული ლორით, შემწვარი წიწილით, ვაშლში ჩარჭობილი ხურდა ფულით, ჩიჩილაკითა და სანთლით მიდიოდა. მეფეხე დალოცავდა ოჯახს, საბძელს, ნალიას და თან დააყოლებდა: გფარავდეთ მრავალძალის წმინდა გიორგი! შეგეწიოთ ყოვლადწმინდა ხოტევი და ნიკორწმინდა! აგარა და უღეში!

### ლეჩხუმი

ლეჩხუმურ ოჯახში ოჯახის უფროსი გობით ხელში თორმეტი საათის შესრულებას ელოდებოდა. გობზე ელაგა შემწვარი გოჭის ბარკალი, ლობიანი პურები დანთებული სანთლებით, ღვინის ჭიქა, ვაშლი, მსხალი, ყურძენი და ჩირი. შემდეგ ღვინით სავსე დოქით ხელში ოჯახის უფროსი წევრი უმცროს ვაჟთან ერთად ვენახში გადიოდა, სადაც ჯერ თვითონ დალოცავდა ვენახს, შემდეგ კი პატარას დაალოცვინებდა, მოაპკურებდნენ ღვინოს, მივიდოდნენ ბეღელთან, ნალიასთან და ბოლოს ჭურ-მარანთან. ამის შემდეგ შედიოდნენ სახლში და გვარს დალოცავდნენ.

### აჭარა

აჭარაში ახალი წლის ღამეს სადღესასწაულო სუფრასთან მთელი ოჯახი ერთად იკრიბებოდა, უფროსი მამაკაცი ნებას რთავდა ყველაზე უმცროს წევრს პირველი ლოცვა ეთქვა და ოჯახიც დაელოცა. თუ კი ახალდაბადებული პირუტყვი ჰყავდათ დიასახლისი მას კერიაზე შემოატარებდა და გამრავლებას უსურვებდა. შემდეგ შემოჰქონდათ ახალი ანკარა წყალი, მოაპკურებდნენ ზღურბლზე და შემოიყვანდნენ მამალს, მასაც შემოატარებდნენ კერიაზე და საკენკს დაუყრიდნენ. შემდეგ გახსნიდნენ წინასწარ გამზადებულ ყაურმას, ხაჭაპურს, ჰალვას, ხარჩოსა და ბურმეს. აუცილებელი იყო ღვინო, თხილი და სანთლის არაყი. ქალებს უნდა სცმოდათ სადღესასწაულო წითელი კაბა მოსახვევითა და ყაბალახით და გულზე ჰქონოდათ ბებიის — „დიდი ნენეს“ ნაქონი ჯვარი. დაილოცებოდნენ და გაისვრიდნენ თოფს, რაც მაუწყებელი იყო იმისა, რომ ოჯახი ხარობს და სიცოცხლე გრძელდება.

### ხევი და მთიულეთი

ხევსა და მთიულეთში ახალი წლის დილჯს, მთავარდიდმოწამის ხევისბერი წინ გაუძღვებოდა დასტურ-ხევისბერებს და წმინდა გიორგის ხატში დროშას ააბრძანებდა. როგორც კი ზარები დარეკდა, ხევისბერები გამოვიდოდნენ, ჯერ ერთმანეთს მიულოცავდნენ ახალი წლის დადგომას, თემს მშვიდობას და ბარაქას უსურვებდნენ, სოფელს დალოცავდნენ, შემდეგ კი ერთმანეთის პირისპირ ჩადგებოდნენ და სასმელ-საჭმელით უმასპინძლდებოდნენ ირგვლივ მყოფთ. ხევისბერს ხალხიც სიმღერითა და დანთებული სანთლებით მიჰყვებოდა, ორი სალოცავის — წმ. გიორგისა და მთავარდიდმოწამის — სახელის სადიდებლად იკვლებოდა საკლავი და შემდეგ იწყებოდა ზეიმი, შაირობა და ცეკვა-თამაში.

### თუშეთი

თუშეთში ახალი წლისთვის თუში ქალები საგანგებოდ ასუფთავებდნენ სადგომს, აუცილებლად იბრუნებდნენ განათხოვრებულ ნივთებს, იმარაგებდნენ ტკბილეულს და აცხობდნენ სამეკვლეო კვერს, რომელსაც „ხარის გოგას“ ეძახდნენ. ოჯახის თითოეული წევრის სახელზე ცხვებოდა სათავნო და ბედის კვერები სხვადასხვა გამოსახულებით. მეკვლედ ისეთ კაცს იწვევდნენ, რომელსაც კეთილი გული, „კარგი ფეხი“ და ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდა. ზუსტად თორმეტ საათზე მეკვლეს გამოეგებებოდა ოჯახის უფროსი და მიართმევდა სამეკვლეო კვერს. მეკვლე „ხარის გოგას“ — კერიასთან შეაგორებდა და ცდილობდა კვერი წალმა დამდგარიყო, რათა ამ ოჯახში ბედი წალმა წასულიყო. თუ მეკვლე არ ჰყავდათ, მაშინ ძაღლს ირჩევდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ ძაღლსაც კარგი კვალი ჰქონდა. უთენია კი ოჯახის უფროსი გარეთ გადიოდა, მუჭით თოვლს აიღებდა, შემოიტანდა და სახლში მიმოაბნევდა, ოჯახის ყველა წევრს ახალ წელს მიულოცავდა და დალოცავდა: ასეთი თეთრი წვერით დამიბერდიო, თან დააყოლებდა: შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი — კვალი ანგელოზისა, დიდი გიმატებიათ — დიდი გიმატოთ, გამრავლოთ კაცით, საქონლით, ნაყონლივ-ნაქონლით, მრავალ ახალ წელს დაგასწროთ მშვიდობით, სიხარულითა და ბედნიერებით.



### ფშავ-ხევსურეთი

ფშავ-ხევსურეთის ხატიონში და ჯვარიონში ახალი წლის ღამეს ხევისბერები და დასტურები სალოცავში წაიღებდნენ ქადებს, ერბოიან პურებს და სანთლებს, წაიყვანდნენ სოფლის ყმაწვილებს და წინ წაიმძღვარებდნენ საკლავს. შევიდოდნენ სიპი ქვით გადახურულ ხატში და მთელ ღამეს ლოცვაში ათევდნენ. ახალი წლის დამდეგს ხევისბერი გაჭრიდა ქადებს, დაანთებდა სანთელს და დალოცავდა დასტურებს, მლოცველებს, კუთხეს, გვარებს და ოჯახებს, გარიჟრაჟზე გამოვიდოდა ჯვარიდან და შეუკვლევდა ხატს, საკლავად გამზადებული იყო ცხვარი, მას დაკლავდნენ ხევისბერები. თოვლის გუნდებს საკლავის სისხლში ამოავლებდნენ და ხატიონის კედელს ესროდნენ, რაც ეშმაკისა და ბოროტისგან განწმენდას ნიშნავდა. დასტურთა თხოვნით ახალგაზრდები ქუდებს მოიხდიდნენ, ერთად მოაქუჩებდნენ და ზედ ნაბადს გადააფარებდნენ, ხევისბერი აურევდა ქუდებს და ერთ-ერთ ახალგაზრდას სთხოვდა ბრმად გამოეღო რომელიმე ქუდი. სწორედ მის პატრონს ერგებოდა წილად მთელი სოფლის მეკვლეობა. დალოცვის შემდეგ სოფელში იწყებოდა დიდი დღესასწაული, იხარშებოდა ლუდი, კეთდებოდა ხინკალი და ისმებოდა ჟიპიტაური (ერთნახადი არაყი). საახალწლო სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო პური, ერბო, ხორცი, დამწნილებული სატაცური და ტკბილი ქადები.

მოამზადა
თამარ შველიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ელიზბარ ჯაველიძე, მწერალი, აკადემიკოსი:** ახალი წლის დადგომისას ყოველთვის ჩვენი დიდი წინაპრის, გამორჩეული უდიდესი ქართველის — ილია ჭავჭავაძის საახალწლო მილოცვა მახსენდება, რომელიც ასე იწყება: „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“. იმდროინდელ საქართველოს საკმაოდ მძიმე პერიოდი ედგა. სამწუხაროდ, დღესაც, არამარტო ჩვენი ქვეყანა, არამედ მთელი მსოფლიო რთულ მდგომარეობაშია. ლამის მესამე მსოფლიო ომი დაიწყოს. თუმცა მთავარი, რაც გულს მტკენს, ის გახლავთ, რომ ჭეშმარიტი — პრესის ჟურნალისტიკა მივიწყების გზას ადგას, რადგან ტელეეთერებმა ეს დარგი წალეკეს. სამწუხარო ისაა, რომ ახალგაზრდობამ კითხვა დაივიწყა და ტელევიზორს, კომპიუტერს, მობილურს ჩაჰკირკიტებენ. თუმცა გაზეთები მაინც არსებობს და მათ შორის იყო, არის და იქნება ჩვენი უდიდესი ჟურნალისტის, პუბლიცისტის, შესანიშნავი რედაქტორის ვახტანგ ხარჩილავას გაზეთი. სამწუხაროდ, ვახტანგი ამ ქვეყნიდან უდროოდ წავიდა, მაგრამ მისი გაზეთი დარჩა. „საერთო გაზეთი“ გახლავთ ეროვნული სულის გამომხატველი. ის, რაც ეროვნულ სულს სტკიოდა და ყველა ჭეშმარიტ ქართველს აწუხებდა, „საერთო გაზეთში“ მუდმივად ქვეყნდებოდა. იმედი მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდი კაცი აღარ გვყავს, მისი უმშვენიერესი წერილები გარკვეულ გავლენას იქონიებს და გაზეთი ამ კურსს გააგრძელებს. „საერთო გაზეთმა“ გამოხატვის, აზროვნების სწორი გზა აირჩია და ვიცი, ამას არასდროს გადაუხვევს. დიახ, **გაზეთმა აირჩია სწორედ ის გზა, რასაც ქართველი ხალხის გადარჩენა ჰქვია**. ქართველ მკითხველს და „საერთო გაზეთს“ დამდეგ ახალ წელს ვულოცავ. ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელიც მშვიდობას იცავს. ვიღაცებს მშვიდობა არ მოსწონთ, მაგრამ ჩვენ ამით უდიდეს წარმატებას მივაღწევთ. მშვიდობა თავის გადასარჩენად უპირველესი საშუალებაა. ვიღაცებს ჩვენი ომში ჩაბმა სურთ. საკმარისია, ერთი ნაბიჯი შეგვეშალოს და საქართველო აღარ იქნება. ვისაც ეს სურს, არაფერი გამოუვა. გილოცავ, ჩემო თაკო, როგორც ერთ-ერთ გამორჩეულ ჟურნალისტს, რომელიც ერთგულად ედექი გვერდით ბატონ ვახტანგს და დღესაც ამ გაზეთში მის გზას აგრძელებ. ყოველთვის მაქვს იმედი, რომ იმ სიმართლეს გააშუქებ, რის სადარაჯოზეც იდგა ვახტანგი და მთელი კოლექტივი. მთავარი და ერთადერთი მიზანი ქართველი ერის, საქართველოს გადარჩენაა, რასაც ემსახურებოდა და მოემსახურება „საერთო გაზეთი“. ჩვენს სამშობლოს ღმერთი, სიყვარული გადაარჩენს.



**რამაზ საყვარელიძე ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი:** ვულოცავ ჩვენს ქვეყანას დამდეგ შობა-ახალ წელს. ვუსურვებ, ის რთული პერიოდი, რაც მსოფლიოს და საქართველოს უდგას, ჩვენმა ქვეყანამ უფრო უმტკივნეულოდ გაიაროს. შესაძლოა ძალიან მძიმე კრიზისი შეიქმნას. ასეთი კრიზისები 90-იან წლებში გვახსოვს. დაე, ჩვენმა ქვეყანამ შექმნილ ვითარებაში საერთაშორისო მდგომარეობა გაიუმჯობესოს. ქვეყანას ამ გზაზე პოლიტიკურ და ეკონომიკურ გამარჯვებებს ვუსურვებ. რაც შეეხება „საერთო გაზეთს“, ვუსურვებ, ამ გამარჯვებების ერთ-ერთი მედროშე, მოამბე ყოფილიყოს, რაც ადამიანებს სიამოვნებას მიანიჭებს, „საერთო გაზეთის“ სიყვარულს კიდევ უფრო გაუასკეცებს და მათ დადებით ემოციებს აღუძრავს. დაე, „საერთო გაზეთი“ ყოველთვის დადებითი ემოციების აღმძვრელი ყოფილიყოს და საქართველოს მისთვის ამის საფუძველი მიეცეს.

**დიმიტრი ლორთქიფანიძე, დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი:** მიმაჩნია, რომ „საერთო გაზეთი“ ქართული დამოუკიდებელი, თავისუფალი, დაბალანსებული პრესის ფლაგმანია. იგი საყვარელი გაზეთია იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ყვითელ პრესას გაურბიან და მაქსიმალურად ცდილობენ, ინფორმაცია ობიექტური გაზეთის ფურცლებიდან მიიღონ. დღეს, სამწუხაროდ, ასეთი ფუფუნება პრესის ფურცლებიდან იშვიათად გვეძლევა. ობიექტური ინფორმაციის მისაღებად ერთ-ერთი ნათელი სარკმელი სწორედ „საერთო გაზეთი“ გახლავთ, რასაც საფუძველი ჩაუყარა ჩვენმა სასიქადულო მგოსანმა, პოეტმა, უდიდესმა საზოგადო მოღვაწემ, აწ გარდაცვლილმა, აწ შესვენებულმა ბატონმა ვახტანგ ხარჩილავამ. მინდა, კიდევ ერთხელ მივაგოთ „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან პატივი მის ხსოვნას. გაზეთს ვუსურვებ, ღირსეულად გაეგრძელებინოს ბატონ ვახტანგ ხარჩილავას მიერ გაკვალული გზა. მჯერა, ის სულისკვეთება, პატრიოტიზმი, ობიექტუ-



← 7 გვ.



საკვანძო თანამდებობებზე ჰყავთ შეფარებული. ეს მოწმობს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბრუნება მათთვის კომფორტული იქნება. თანაც უკრაინა აცხადებს: გამარჯვების მერე რუსების დამარცხებაში სხვა ქვეყნებს დავეხმარებით, მათ შორის, საქართველოსო. ეს, პირველ რიგში, სამხედრო ჩარევას ნიშნავს. უკრაინა ამბობს, რომ „ქართული ოცნება“ რუსული გავლენის მატარებელი პოლიტიკური ძალაა, „ნაცმოძრაობა“ კი რუსეთს ებრძვის. რა გამოდის? — უკრაინა სამხედრო ძალით საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევას და პოლიტიკაში „ნაცმოძრაობის“ მოყვანას ეცდება. აი, ასეთი მძიმე სურათი შეიქმნა უკრაინასთან ურთიერთობაში.

# ოცდამეერთე საუკუნეში მსოფლიო კალენდართან კონფლიქტში აღმოჩნდა



**— დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის განმავლობაში საქართველოში მუდმივი რყევებია. რატომ ვერ დავლაგდით? გარეთ 21-ე საუკუნეა, ჩვენ კი კალენდართან კონფლიქტში აღმოვჩნდით?**

— კალენდართან კონფლიქტში ვიქნებოდით, თავად კალენდარი რომ გვქონდეს. განცდა მაქვს, რომ ჩვენ კალენდარი არ გვაქვს. არავის ახსენდება, რომელი საუკუნეა და რას ნიშნავს ყოველივე. აღსანიშნავია, რომ კალენდართან კონფლიქტში მხოლოდ საქართველო კი არა, მთელი მსოფლიოა. დიახ, **კალენდართან, ეპოქასთან კონფლიქტშია თავად პუტინიც, რომელმაც შუა საუკუნეების სტილში დაიწყო მოქმედება და ომი გააჩაღა. ასევე, კალენდრის თვალსაზრისით, გაუგებარი მდგომარეობაა იგივე ამერიკაში, სადაც დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება თითქოს დიდი ხნის მოპოვებულია და მაინც, ეს მონაპოვარი არც ისე მყარია.** „დემოკრატები“ და „რესპუბლიკელები“ ერთმანეთს ლამის ფიზიკურად ებრძვიან. ტრამპს პრეზიდენტობის დროს საინფორმაციო საშუალებები ჩაუკეტეს, რითაც გაიმარჯვეს. ასე რომ, მთელმა მსოფლიომ უკან სვლა დაიწყო. სამწუხაროდ, გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. მსოფლიო შუა საუკუნეებისკენ მიიწევს, ჩვენც ინერციით მივყვებით. თუმცა, ვფიქრობ, ჩვენი მდგომარეობა ბევრად ოპტიმისტურია, ვიდრე მსოფლიოში არსებული. აქ დაძაბულობა, დაპირისპირება სუსტდება, რადგან ოპოზიციური ჯგუფები ძალიან ოდიოზურნი ხდებიან. ანუ, ისე არ წვიმს, როგორც ქუხს. შეიძლება ითქვას, რომ ეს დაპირისპირება მედიაში ქუხს. რეალურად, ოპოზიცია ქუჩაში ხალხის გამოყვანასაც კი ვერ ახერხებს. ასე რომ, თუ ტელევიზორს გამოვრთავთ, შევამჩნევთ — დაპირისპირება ნელ-ნელა იკლებს. მედიისთვის მშვიდობიანი ლანდშაფტის აღწერა მომგებიანი არ არის. ასე მაყურებელს ვერ მოიზიდავს. მან სკანდალები უნდა დაახვავოს. მედიისთვის კრიზისი პურია. ამიტომ კრიზისს აძლიერებს. რეალურად, ვართ კი ისეთ კრიზისში, რაც მედიით ჩანს? — არა, ხომ. მედიის, პოლიტიკოსების ხელშეწყობით შეიქმნა საზოგადოებრივი აზრი, თითქოს საშინელ ქვეყანაში ვცხოვრობთ. მაგალითად მოჰყავთ ის, რომ ადამიანები ქვეყნიდან გარბიან. არადა, მთელი აღმოსავლეთი დაძრულია ევროპისკენ. ანუ, კრიზისი ყველა ქვეყანაშია. ჩვენ, რატომღაც, კატასტროფულ დასკვნას ვაკეთებთ, თითქოს უფსკრულის პირას ვდგავართ. ამას დაემატა მედიის მიერ ამოწეული თემა, ხელისუფლება რუსეთისკენ მიგვაქანებსო. სად ჩანს, რომ რუსეთისკენ მივდივართ, ამას ვერავინ ასაბუთებს. გაიძახიან: ივანიშვილს რუსეთში აქვს ფული ნაშოვნი და ჩვენც იქეთკენ გვიბიძგებსო, სხვა არგუმენტი არ ჩანს. გაუგებარია, რა ლოგიკით მიაკერეს საქართველოს ასეთი იარლიყი?

**— ანუ, არსებობს რეალური და მედია-საქართველო?**

— მედიას, ოპოზიციას ერთი საქართველო აერთიანებს. მეორე, სადაც ხალხი ცხოვრობს, რეალური საქართველოა. თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ხალხი ტელესაქართველოთიც ცხოვრობს. ასე რომ, ამ საქართველოს რეალური ცხოვრებისგან გამოყოფა ძნელია. მედია-საქართველო ისეთ სურათს ხატავს, როგორიც მის დამკვეთებს აწყობთ. ავიღოთ თუნდაც ევროპისკენ ენერგიული სვლა, რომლის მსგავსი ნაცების ხელისუფლებაში ყოფნის დროს არ ყოფილა. მიშა დასავლურ კურსზე კი ლაპარაკობდა, მაგრამ რეალურად რუსეთის სასარგებლოდ მოქმედებდა. ნაცხელისუფლებამ მთელი საკვანძო ობიექტები რუსეთს გადასცა და ომიც მის საამებლად წამოიწყო — რუსეთს ტერიტორიები აჩუქა. ამ დროს რიტორიკით დასავლური კურსის მხარდამჭერი იყო. „ნაცმოძრაობას“ რიტორიკულ ნიღაბს თუ ჩამოვხსნით, რა გვრჩება? — სწორედ ნაცები იყვნენ რუსული პოლიტიკის მატარებელნი, რომელთა პოლიტიკა დღევანდელი ხელისუფლებისგან ცასა და დედამიწასავით განსხვავდება. **დღევანდელ ხელისუფლებას რუსეთთან არანაირი ურთიერთობა არ აქვს. მეტიც, მან რუსეთის არცერთი წინადადება, მათ შორის, ფრენების აღდგენასთან დაკავშირებით, არ მიიღო. მკაფიოდ ითქვა: ჯერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს უფლებები აღდგეს და ნებისმიერ თემაზე ლაპარაკი მერე დავიწყოთო.** ასე რომ, ჩვენი კურსი, რა თქმა უნდა, დასავლურია. ამის დადასტურებაა ისიც, რომ ახლახან ხელი მოეწერა ოთხმხრივ მთავრობათაშორის შეთანხმებას, რომელიც უზრუნველყოფს წყალქვეშა კაბელის პროექტის რეალიზაციას რუმინეთსა და აზერბაიჯანს შორის საქართველოსა და შავი ზღვის გავლით განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერგიის ტრანსპორტირებისთვის. საქართველოში დესტაბილიზაცია ერთადერთ ქვეყანას — რუსეთს აწყობს. ვინ დგამს ნაბიჯებს დესტაბილიზაციისკენ? — ქართული ოპოზიცია, ხომ. ე.ი. ვისზე მუშაობს ქართული ოპოზიცია? — რუსეთზე, ხომ. „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც სწორედ რუსეთზე მუშაობდა. მგონი, ყველაფერი დღესავით ნათელია.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა დაგვიტოვა 2022 წელიწადმა, უსამართლობის განცდა და შერჩევითი სამართალი?!



მიილია 2022 წელი და დატოვა ბევრი რამ — კარგიც და მძიმეც!

უმძიმესი დანაკლისი იყო ბატონი ვახტანგის წასვლა, უმძიმესი! ბატონი ვახტანგი ჩემთვის მამაც იყო, ძმაც.... მეტს ვერაფერს ვიტყვი — ეს იყო კაცი, რომელიც დამაკლდა მე...

პატარა გოგო ვიყავი, როდესაც ეს დიდი კაცი გავიცანი და მან მასწავლა, როგორ უნდა დამეკავებინა კალამი სწორად... თუ თქვენ ჩემში ოდნავ მაინც დაინახავთ (მკითხველმა მითხრა) ვახტანგ ხარჩილავას, ეს მე ვარ, მისი განსხეულებული სული....

ბატონ ვახტანგს მე ვერ შევაქებ, ძნელია — თქვენ მიაგეთ პატივი გულში, მე კი მოკრძალებუით ვიტყვი: ღმერთმა გაანათლოს!

კაცი, რომელიც ყველაფერს გააკეთებდა, თუ გაგიჭირდებოდა...

საგაზეთოდ ვერ გამოვიტან იმდენ რამეს, რაც ამ ადამიანმა მადლი მომმადლა...

ეს წელი უმძიმესი იყო გაზეთისთვის, ქალბატონი თამარისთვის, გვანცასა და დავითისთვის — ყველასთვის, მაგრამ გაზეთმა განაგრძო სვლა იმ გზით, რა გზაც ჩემმა (ჩვენმა) ვახტანგმა დასახა — გზა სიმართლისკენ!

„საერთო გაზეთი" იყო და იქნება იმ მკითხველის გული, მოაზროვნე მკითხველი რომ ჰქვია...

ჩვენი გაზეთის ამ წლის ბოლო გამოცემა, ნაღვლიანია, მაგრამ, როგორც ყოველთვის, მართალი. გემშვიდობებით ჩემო მკითხველო მცირე ხნით, მაგრამ სიტყვა სიტყვად დავტოვოთ მაინც!

„საერთოდ, სოციალური ქსელის კომენტარები ადამიანების პირდაპირი ლუსტრაციაა. როგორც ალსარებაში ჩანს, თუ რა ღირებულებისაა ადამიანი, ასევეა კომენტარებშიც. კითხულობ კომენტარს და იგებ, ვინ არის მისი ავტორი.

არსებობს ასეთი რამ — თვითგანადგურების იმპულსი, ანუ, როცა ირიბად ხდება საკუთარი თავის განადგურება, თვითუარყოფა, ანუ როცა იწუნებ შენს ქართულ ენას, ქართულ ზღაპარს, ქართულ ხალხურ სიმღერას... ეს არ გიშლის ხელს, რომ მოგწონდეს „ლედ ზეპელინი" ან სნუპ დოგი და ტიმბერლეიკი. მე არ ვამბობ, რომ ისენი არ უნდა მოგწონდეს, მაგრამ, როცა ადამიანი საკუთარ თავს გაურბის და თავს ირწმუნებს, რომ არ უნდა მოსწონდეს არაფერი ქართული, ეს სწორედ თვითგანადგურების იმპულსითაა ნაკარნახევი".

ნანა ჩაჩუა.

რა მოგვცა განვლილმა 2022-მა წელმა? — არაფერი!

დიახ, არაფერი!

ქართულის ლანძღვის გარდა — არაფერი!

ისევ უსამართლობის განცდა; ისევ შერჩევითი სამართალი; ისევ ის, რაც იყო..... მოკლედ რომ ვთქვათ, ტარი ხელში გვიჭირავს და მჭრელი პირი არ გვაქვს....

მე ასაკოვანი ქალი გახლავართ და, შესაბამისად, ბევრ მთავრობას მოსწრებული — მსგავსი განუკითხაობა არ მახსოვს, თვით იმ ე.წ. „უძრაობის ხანაში", იმ „პერესტროიკასა" და თვით „მიჰას ხანაში".

როდემდე უნდა გვატორტმანონ?

ამ, სახელად ქვეყანას, ჩემთვის სამშობლოს, პატრონი არ ჰყავს?

ჩვენ ქალები ვართ, რა ვქნათ?

ასე არ გამოვა, ბატონებო!

კაცი დაილია ამ ჩემს საქართველოში, თუ როგორ არის, მხოლოდ შარვალჩაცმული კაცისებრები არიან? ხმლის ამღესი კაცი აღარ დაგვრჩა?

ის, რაც ახლა ხდება საქართველოში, ამაზრზენია!

რა ევროპა და დედამიწა, ნორმალურად ხართ, ხალხო?

ეს ჩემი სიტყვები არ არის, ეს თქვენი ამოძახილია და გამგებმა უნდა გაიგოს!

მე ის ქართვლის დედა ვარ, ვინც მყარად დგას და ხმალს ვერ გააგდებინებ ხელიდან, თუ არ მოკალი!

ამბად არის — ერთმა დედოფალმა ფიალა დაუდო ქმარს და უთხრა: ვითმენ ყველაფერს (ავხორცობა იგულისხმებოდა), მაგრამ დაიხსომე, წვეთი თუ გადმოვარდა, შენ აღარ იქნებიო. ვინ მოუსმინა? გადმოვარდა წვეთი და დაემხო მისი იმპერია!

სხვა ენაზე როგორ ვთქვა?

ქალი ის ძალაა, რომელსაც ბევრი რამ შეუძლია. იმ ფიალის მფლობელია, რაც ქართვლის დედას უკავია ხელში!

ნუ სცდით, ბატონებო, ქართვლის დედის მოთმინების ფიალას!

„საერთო გაზეთი" წერდა ყველაფერზე, რაც ერს სტკიოდა, აწუხებდა, ეტირებოდა... — გაიგონა ვინმემ?

„ძალიან კარგად მესმის ახალი ხელისუფლების — მართლაც ძნელია, საერთაშორისო თანამეგობრობას პირდაპირ უთხრა: თქვენგან ნაქები და ხოტბაშესხმული გოგო-ბიჭები, თქვენს მიერ დემოკრატებად და რეფორმატორებად შერაცხულნი, თქვენი მფარველობით და გაზულუქებულ-გათავხედებულნი, დემოკრატები კი არა, ჩვეულებრივი კრიმინალები და ბანდიტები არიან, რომელთაც უამრავი შემზარავი დანაშაული აქვთ ჩადენილი.

არა მხოლოდ ძნელია ამის თქმა, არამედ სარისკოც არის, მაგრამ ამათთან კოპაბიტაცია განა ნაკლებად სარისკო და სახიფათოა?

არ არის გამორიცხული, ამ კრიმინალურ-ფაშისტური რეჟიმის შემოქმედებთან კოჰაბიტაციონსნისტობის თამაშში ახალ ხელისუფლებას იმიჯის შელახვად, ნდობისა და სიყვარულის დაკარგვად დაუჯდეს...

ქართველ ხალხს ჯერ კიდევ აქვს იმის რწმენა, რომ სამართალი იზეიმებს — დამნაშავეები დაისჯებიან; უდანაშაულოდ დასჯილნი გამართლდებიან; შეურაცხყოფილნი, დამცირებულნი და დაჩაგრულნი ღირსებას აღიდგენენ...

დღეს ჩვენ მოლოდინის რეჟიმში ვცხოვრობთ, მაგრამ არ შეიძლება, ეს მოლოდინი უსასრულოდ გაგრძელდეს!

არ შეიძლება, სამართლიანობის აღდგენის პროცესმა ტრაგიკომიკური სახე მიიღოს და უმნიშვნელო თანხების სანაცვლოდ, მძიმე დანასაულში ბრალდებულნი გირაოთი თავისუფლდებოდნენ!

ქართველი ხალხი პურს კი არა, სამართალს ითხოვს და ამ მოთხოვნის მიფუჩეჩება დიდი უსამართლობაა!

დაუსჯელობის სინდრომმა, რომელიც პირველივე დღეებიდანვე აჩრდილივით აედევნა დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ საქართველოს, საძირკველი შეურყია ქართულ სახემლმწიფოს, გარყვნა და დააბეჩავა ადამიანები, — თქვა ვახტანგმა და ასეა!

უარესი!!!

„მე, პირადად, როგორც ერთ რიგით ქართველს, მგონია, თუ ახალი ხელისუფლება პრინციპულ პოზიციას დაიჭერს, ქართველ ხალხს გვერდზე ამოიყენებს და მკაცრ, მაგრამ სამართლიან, დასაბუთებულ პოლიტიკურ და სამართლებრივ შეფასებას მისცემს წინა ხელისუფლების ქმედებებს, საერთაშირისო თანამეგობრობა, უნდა ეს მას თუ არ უნდა, არ შეიძლება, სამართლის მხარეს არ დადგეს! თქვა ვახტანგმა და არ არის ასე? — ასეა!

შეურაცხყოფილნი, დამცირებულნი და დასანახავად უზნეურნი", — თქვა ვახტანგმა და ასეა.

**ბოლოს და ბოლოს, ქართველი ხალხი სულელი ხომ არ არის, რომ ვერ ხვდებოდეს, როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ, მეთოდურად ანადგურებენ და ავიწროებენ მას!" როგორ დევნიან საკუთარი მიწა-წყლიდან, როგორ უნგრევენ სახელმწიფოს!**

2013. №04 (280)

*ჩემი დიდი კაცის სიტყვები მე კი მიმყვება საგზლად, მაგრამ, აბა, წაიკითხეთ....*

*რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!*

ნინო დაუშვილი

რობა და პროფესიონალიზმი, რომელიც ჩადებული ჰქონდა ბატონ ვახტანგს, ღირსეულად გაგრძელდება. დარწმუნებული ვარ, თანამშრომლების პროფესიონალიზმიდან გამომდინარე, ეს ასეც იქნება. ასევე მინდა, ბატონი ვახტანგის ოჯახის წევრებს მივულოცო დამდეგი ახალი წელი, ვუსურვო ჯანმრთელობა, წარმატება, განვითარება. გაზეთის მკითხველს კი, რაც შეიძლება მეტი ობიექტური, ოპტიმიზმით აღსავსე წერილი. მინდა, სწორედ „საერთო გაზეთის" ფურცლებიდან მოწოდებული ინფორმაციები გახდეს მალე ქვეყნის ზეიმის საბაბი. ღრმად ვარ დარწმუნებული, თუკი ქვეყანა მშვიდობიან, სტაბილურ განვითარებას შეინარჩუნებს, აუცილებლად დადგება ის ნანატრი დღე, როცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ვიზეიმებთ.



**ნანა პაპაბაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" თავმჯდომარე:** გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, „საერთო გაზეთს" ვუსურვებ, შეინარჩუნოს ის თვითმყოფადობა, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, რაც აქამდე ჰქონდა ბატონი ვახტანგის მფარველობით. გისურვებთ იმ მიმართულებით განვითარებას, რითაც გაზეთი დაარსების დღიდან მოღვაწეობს. ყველა თანამშრომელს დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ. ვულოცავ სრულიად საქართველოს და გამთლიანებას, გამრავლებას, გაძლიერებას ვუსურვებ. როგორც თავად პატრიარქი ამბობს: „საქართველო გაბრწყინდება". დაე, ასეთი გაბრწყინებული საქართველო მალე გვენახოს.



**დემურ გიორხელიძე, ანალიტიკოსი:** პირველ რიგში, „საერთო გაზეთს" ბედნიერ ახალ წელს, გაძლიერებას, პროფესიულ წარმატებებს ვუსურვებ. იმისთვის, რომ ადამიანმა პროფესიულ წარმატებას მიაღწიოს, პირად ცხოვრებაში, ოჯახში ბედნიერი უნდა იყოს, რათა მუშაობისთვის უზარმაზარი სტიმული ჰქონდეს. ამიტომ მთელ კოლექტივს ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ. თავისთავად ცხადია, იზოლირებულად ბედნიერები ვერ ვიქნებით. ამიტომ საქართველოს წინსვლას, ყველა პრობლემის მოგვარებას და განსაკუთრებით ამ 30-წლიანი სიშლეგის დაძლევას ვუსურვებ.



**ედიშერ გვენეტაძე, ისტორიის დოქტორი, პროფესორი:** „საერთო გაზეთს" ვუსურვებ წარმატებებს, წარმატებებს და კიდევ წარმატებებს. ასევე იმ სიმართლისთვის ბრძოლას, რასაც ის დაარსების დღიდანვე ეწევა საქართველოს საკეთილდღეოდ. თქვენს მკითხველს ვულოცავ ახალ წელს, უპირველესად, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და საქართველოს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას.



**სოსო მანჯავიძე, პოლიტოლოგი, ისტორიკოსი:** „საერთო გაზეთის" პირველ გვერდზე წერია, რომ ეს არის გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის. აბსოლუტურად ვეთანხმები. ვულოცავ თქვენი გაზეთის გონიერ მკითხველს ახალ წელს და ვუსურვებ წარმატებებს. დაე, ბატონი ვახტანგის მიერ დაწყებული ეს დიდებული საქმე, რაც გონიერების დამკვიდრებას ემსახურებოდა, ჩვენს ქვეყანაში გაგრძელდეს.



**შოთა გლურჯიძე, მხატვარი:** პირველ რიგში, მოგილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და გისურვებთ გაძლიერებას. ქვეყანას კი ვუსურვებ, საქართველოში „საერთო გაზეთისნაირი" გამორჩეული კიდევ ბევრი მედიასაშუალება გაჩნდეს. იმიტომ, რომ თქვენ, განსხვავებით სხვა მედიასაშუალებებისგან, ჩვენი მოსახლეობის იმ 83%-ის აზრს გამოხატავთ, რომელიც ფიქრობს, რომ ქართული ტრადიცია და საქართველო მარადიული უნდა იყოს. ეს უმთავრესია. დანარჩენი მედიასაშუალებები ყველანი დარჩენილი 17%-ის აზრს და წადილს გამოხატავენ. ამიტომ გილოცავთ ამ წარმატებულ საქმიანობას, კიდევ უფრო გაიზარდეთ, გაშშვენდით და ბევრად მეტი სივრცე დაიკავეთ მედიაში, ვიდრე დღეს გაქვთ. ეს არის ჩემი სურვილიც და მილოცვაც. მინდა, თქვენს გაზეთს ყოველგვარი სიკეთე ვუსურვო. „საერთო გაზეთი" ისეთი კაცის დაფუძნებული და შექმნილია, რომ სხვანაირი ვერც იქნება. გაზეთს იმ ტრადიციის გაგრძელებას ვუსურვებ, რაც ბატონმა ვახტანგმა დაგიტოვათ. ძალიან მიყვარხარ შენ და „საერთო გაზეთის" ყველა თანამშრომელიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**პეტრე მამრაძე, მეცნიერი, პოლიტიკოსი:** გილოცავთ და, უპირველესად, „საერთო გაზეთის“ თანამშრომლებს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას გისურვებთ. რაც მთავარია, გაზეთმა მომავალ წელს აუცილებლად უნდა იარსებოს, განაგრძოს იმ პუბლიცისტური, ანალიტიკური წერილებისა და ინტერვიუების ბეჭდვა, რასაც „საერთო გაზეთი“ წლებია ემსახურება და რითაც ყველასგან გამორჩეულია. გისურვებთ, მომავალ წელს რაც შეიძლება ბევრი წერილი დაგებეჭდოთ საქართველოში არსებულ სასიკეთო მოვლენებზე, რეგიონში და მთელ მსოფლიოში კი მშვიდობას დაესადგურებინოს.



**გოგა ხაინდრავა, კინორეჟისორი:** პირველ რიგში, მინდა, მთელ საქართველოს ბედნიერი ახალი წელი ვუსურვო. „საერთო გაზეთს“ ვუსურვებ, ბევრი კარგი ამბავი ჰქონოდეს მკითხველისთვის მისაწოდებელი. დარწმუნებული ვარ, სწორედ ასეთი წელი იქნება. იმიტომ, რომ ამ 30 წლის მანძილზე საქართველომ, მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე, პირველად წარმოაჩინა საკუთარი თავი როგორც სუვერენულმა, დამოუკიდებელმა ქვეყანამ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. დარწმუნებული ვარ, ქართული საზოგადოება კიდევ უფრო მეტს გაიღებს იმისთვის, რომ ეს მიღწევა მეტად გაძლიერდეს, გაფართოვდეს და ჩვენი კუთვნილი ადგილი დავიკავოთ როგორც ევროპაში, ისე მსოფლიოში. ხშირად საუბრობენ იმაზე, შეგვიშვებენ თუ არა ევროპაში. ჩვენ არსად შესაშვები არაფერი გვჭირს, რადგან ევროპული კულტურის დამფუძნებლები ვართ. სწორედ როგორც ამ დამფუძნებლების მემკვიდრეებს, მინდა, ისე მივულოცო ქართველ ხალხს ახალი წელი, ბედნიერება, სიკეთე, სიხარული, გამარჯვება და მშვიდობა ვუსურვო. წარმატებები „საერთო გაზეთს“ და ბევრი, ბევრი მკითხველის შემომატება ახალ 2023 წელს.



**ნიკუშა შენგელაია, მხატვარი:** „საერთო გაზეთს“ ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ. მთავარია, მუშაობა ჩვეულ სტილში განაგრძოთ, კვლავ ჩაწეროთ მნიშვნელოვან ხალხთან საინტერესო ინტერვიუები, რათა მკითხველს ჰქონდეს წვდომა იმაზე, გაიგოს, რას ფიქრობენ საზოგადო მოღვაწეები საკუთარი ქვეყნისა თუ მსოფლიო გამოწვევებზე. ასე რომ, ბევრ წარმატებას გისურვებთ, პირველ რიგში, ჯანმრთელობას, ქვეყანაში მშვიდობასა და განვითარებას. ვულოცავ სრულიად საქართველოს, „საერთო გაზეთის“ რედაქციას დამდეგ ახალ წელს, სიკეთეს და ამ რთულ ბრძოლაში გამარჯვებებს ვუსურვებ.



**იგორ კვესელავა, ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:** თქვენი ნებართვით, ცოტა შორიდან დავიწყებ: მე მქონდა ბედნიერება, წლების განმავლობაში „საერთო გაზეთის“ უნიჭიერეს რედაქტორთან, ვახტანგ ხარჩილავასთან მეთანამშრომლა. გაზეთის გაძღოლა მარტივი არ გახლავთ. ვახტანგმა ისეთი საინტერესო გაზეთი გააკეთა, რომელსაც ადამიანები სულ ეძებენ. ოთხშაბათ დღეს ბევრი ადამიანი მოუთმენლად ელოდება. ამის მომსწრე თავად ვარ როგორც რაიონებში, ისე თბილისშიც. ეს უზარმაზარი საქმეა. საზოგადოების ყველა წევრის ინტერესის დაკმაყოფილება ადვილი არ გახლავთ, რასაც ვახტანგი შესანიშნავად ახერხებდა. მისი პუბლიცისტიკა ქვეყნისთვის, ხელისუფლებისთვის დიდ საქმეს აკეთებდა. ამიტომ ეს წელი განსაკუთრებული იყო ქართული საზოგადოებისა და ხელისუფლებისთვის. ვახტანგს შეეძლო, თავისი საქმე ჩუმად ეკეთებინა. მინდა, გაზეთს დამდეგი 2023 წელი მივულოცო და ვახტანგ ხარჩილავას გზის ღირსეულად გაგრძელება ვუსურვო, რასაც ის უკვე შესანიშნავად ართმევს თავს. ვახტანგ ხარჩილავას უცაბედი წასვლა ტრაგედიაა. თუმცა, ის ამ გაზეთში კვლავ განაგრძობს ცხოვრებას, მის მიერ დაწყებულ საქმეს მისი ოჯახი და ჟურნალისტები ღირსეულად აგრძელებთ. ვახტანგმა გაზეთის რეიტინგი წინ წასწია და, დარწმუნებული ვარ, გაგრძელებაც ასეთი იქნება. ვახტანგმა ნიადაგი მოამზადა, რათა გაზეთისთვის მომავალი და შემდგომი წლებიც ყველა მიმართულებით ბედნიერი იყოს. ასე რომ, დიდი სიყვარულით ვულოცავ ახალგაზრდა, მაგრამ დაბრძენებულ „საერთო გაზეთს“ ახალ წელს, რომელმაც ქართული საზოგადოების წინაშე საკუთარი შესაძლებლობები შესანიშნავად გამოავლინა. დიახ, „საერთო გაზეთი“ მართლაც რომ საერთო გახდა ქართული საზოგადოებისთვის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის ხალხის, ერის გაზეთია. ამაზე დიდი გამარჯვება რაღა უნდა იყოს. ამიტომ ვულოცავ გაზეთს იმ გზის გაგრძელებას, რასაც ვახტანგ ხარჩილავამ ჩაუყარა საფუძველი. ვიმედოვნებ,

# ნეტა, ის ღამაზი

ჩემო ტკბილო და ერთგულო მკითხველო, გილოცავ დამდეგ 2023 წელს! მინდა ტკბილად დაგემშვიდობოთ!

ცოტას გაგართობთ, ჩემო თაფლაკვერებო!

მერე რა, რომ ცუდი ზურა ვარ, ზოგჯერ თქვენი ტკბილიც ხომ ვარ!

ერთი ამხანაგი მყავს იმაში, ფბ რომ ჰქვიან, კარგი ქომეხი ბიჭი უნდა იყოს მითამ, იტყვილება და კიდევ მიორე, ის კიდევ ქალი უნდა იყვეს, „ზემლიას“ ვუძახი, ისე „რადნაია“ ჰქვიან. მესამეცა მყავს, ის ანტირაღაც არის, ათეისტი. ფინთები არრა, კარგი ვინმეები არიან. მიოთხე მე ვარ და ვართ ასე — ვმსჯელობთ ზოგადსაკაცობრიოებსა და საჭირბოროტოებზე. აი, ეხლა საქმე გვაქვს; რა სჭირს სურენას, ანუ არტურას კი არადა, მიჰას?

ამ გახსენებაზე, ახალი წელი მოდის და მომილოცნია, ჩემგან რა მიდის, რო? გაჩანია მოლოცვას. ეგრეა, რაააა, მამილოცნია! სულ კარგებში და სულ კეთილებში მყოლოდეთ!

ჰოდა, იმას ვამბობდით, პურსა სჭამენ და ღვინოს სმენ, სიმღერას არ იტყვიანო — ეგრეა ამათი საქმე. რათ არა სჭამენ? ამბობენ — მიშა გვიყვარს! გიყვარდეს, ტოოო! მაგას შიმშილი რათ უნდა, პირიქით, მაგრად უნდა ჭამო, რომ ჯანზე იყვე! მა როგო გინდა? ხუდოი გიჟი და ხუდოი „ბალელშიკები“ რა პონტია? აგე, ვართანა ამბობდა, მე იქ ქალის ფეხები დავინახე, სულ გავგიჟდი, მშიერ კაცს ქალის ფეხები რათ უნდაო? — არადა, იყო! მაგას კიდე არა უშავს, მასიმო დ'ანჯელო ვინ არის? ეგ დგას და ცალკე ტირის, მიჰა მშიერია! ვაჭმევთ, არ უნდა, არ ვაჭმევთ — უნდა. ვერაა ეგა! მშიერი ჩემი იხვია!

არა ნუ, ვერ გაიგებ, სად დადიოდა ეს აყლაყუდა, სდიე, აბა...

ეხლა დარია, მაგრამ თუ გინდა ავდარი იყოს, მიჰა მაგარია!

ჩემი ცოლის დაქალები იყვნენ მოსულები სასოწარკვეთილ დიასახლისებთან ერთად, იმდენი იტირეს, მდიდრებიც ატირდნენ... ეგრეც არ შეიძლება, ლამის დიპლომი ოხრად დამრჩა... სანაცვლოდ, „უდიპლომო სასიძოები“ იყვნენ მოსულები, სულ თავზე ვისხამდით ცივ წყალს, რაც გვენახა, ველარ ვნახეთ... მანოლო ვინღაა? ეს „ბამბოლეიო“ გავი

ამ მდიდრებმა რა სხვანაირი ტირილი იციან, თავი დაკარგულ სამოთხეში მეგონა.

ამდენი ტირილიც არ ვარგა, ცოტა უნდა ჭამო, თორემ აგე, „კაგებეშნიკი“ ლიაკა რომ აშიმშილდა, კინაღამ წერილი წაიღო „პლედთან“ ერთად გაღმა. ამბობენ, ის „პლედი“ ლურჯი იყო და არ გაატანესო. აბა, წითელი ყოფილიყო, ხომ უკვე იქ იქნებოდა „კლეჩატად“. ჰოდა, რო ამბობდნენ, „ჩვენ ერთი გუნდი ვართო“, გუნდურად რათ არ შიმშილობენ?

ისე, ორასიათას „სჩემტა“ რაღაცა მოშიმშილე კარგი იქნება, პირველადი მოხმარების პროდუქტები გაიაფდება, მაგალითად,: პური, კვერცხი... ვა, კვერცხიც? ქათმებმა რომ გაიგონ, საყოველთაო შიმშილობაა, ხომ გაიბუტებიან და მა კვერცხი? — ვინ დადებს? ქათმების იმედზე დადგომა არ გამოვა, ძროხებს მივაწვეთ...

ძროხაც არ გამოდის სანდო, მეგი რო აბუნტებს, გავიჭედებით; არც ღორი გამოდგება „სახალადეცე ღორის თავი“ გაგვჭედავს; ჭიან ვაშლსაც დავემშვიდობოთ „წარბებგადაბმული მატლი“ რას დაგვაცდის („ნათლია“ რეზო ამაშუკელი), მოგვიხაზავს....

მაიტა, ნუ იშიმშილებენ, ჩვენ რა დავაშავეთ, ვისაც მიჰას შიმშილი დიდად გვახატია კედელზე?

ერთი საინტერესო ნახატი მქონდა, მე დავხატე ბრეჟნევის დროს, გემრიელი ღიპი რომ მქონდა — მაძღარი კაცი ჭამდა. გავიხედე, აღარ არის. ცოლს ვკითხე, სად წავიდა-მეთქი? ჩემმა დაქალებმა წაიღეს, სიმღერა უნდოდათო. მაშასადამე, რა ხდება — ამ ჩემი ცოლის დაქალები დგანან „ვივამედთან“ და ჩემს ნახატზე მღერიან? რავი, ის კი ჭამს და ამათ რა ამღერებთ?

მეზობელი მეკითხება, ერთი დამპალი „ქოცია“, ზურაჯან, რა გაყაყანებს? მეთქი, შემეშვი, ფინთათ ვარ. რათაო? იიიი, აბა, ეს აზრზეა სამყაროსი და რამე?

ავათა ვარ, ავათა და ჩემ-



# მუსიკალური ინსტრუმენტები –

*„საერთო გაზეთი“ აგრძელებს საუბარს აკადემიკოს რამაზ გახოკიძესთან:*

### საყვირი რადიკულიტისგან განგკურნავთ

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე ათასწლეულში მუსიკის საშუალებით სიცოცხლის გახანგრძლივებას და დაბერების პროცესის შენელებას ცდილობდნენ. მაგალითად, ჩინეთში მუსიკა მედიცინაზე უკეთეს სამკურნალო საშუალებად ითვლებოდა. ჩინელების აზრით, მუსიკა ყველა დაავადებას კურნავდა, რაც ექიმებს არ ხელეწიფებოდათ. ძველ ეგვიპტეში სიმღერით უძილობას მკურნალობდნენ, ხოლო ძველ საბერძნეთში საყვირის ბგერებით რადიკულიტს და ნერვული სისტემის დარღვევებს კურნავდნენ.

პითაგორა, არისტოტელე, პლატონი ამტკიცებდნენ, რომ მუსიკა ამყარებს წესრიგს, ჰარმონიას სამყაროში, მათ შორის, ადამიანის სხეულში ავადმყოფობით დარღვეულ ჰარმონიას. პიტაგორას შეიძლება „პირველი მუსიკოთერაპევტი“ ეწოდოს, რომელმაც შემოიღო ცნება „მუსიკალური მედიცინა“.

### საეკლესიო ზარები ინფექციის გამომწვევ მიკრობებს სპობს

როცა შუა საუკუნეებში შავი ჭირის ეპიდემია ვრცელდებოდა, მის საწინააღმდეგოდ შეუჩერებლად ზარები რეკდნენ. შემდგომ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ განსაზღვრული ტონალობისა და სხვადასხვა პერიოდულობით აჟღერებულ ბგერებს შეუძლია ტიფის ჩხირების, ინფექციის გამომწვევი მიკრობების დახოცვა. ადამიანის ორგანიზმში მიკრობთა აქტიურობა 40%-ით ეცემა, თუ იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში უსმენდა საეკლესიო მუსიკას და ზარების რეკვას.

### გამელოტდით? – მოუსმინეთ მუსიკას

გასული საუკუნის 60-იან წლებში დიდ ბრიტანეთში მუსიკოთერაპიის პირველი კურსი გაჩნდა. გამოკვლევებმა აჩვენა: მუსიკა კუნთების მოდუნებით ხელს უწყობს სიმსუქნის მკურნალობას; მუსიკის მოსმენა სპორტული შეჯიბრების დროს 20%-ით ზრდის შედეგიანობას, თუმცა არასწორად შერჩეული მუსიკის რითმი შეიძლება საშიში აღმოჩნდეს და გამოიწვიოს მუცლის და თავის ტკივილი. თანამედროვე მუსიკოთერაპიის კურსები შექმნილია აშშ-ში, გერმანიაში, შვეიცარიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხები ვისი იყო?

თან არავინ მოდის სანახავათა! ჩიხანიე მაქვს!

ეს კაცისებრი რას შვრება, „ერცახე ცერეცოა" თუ ცაზეს ცინობერი?

პირველი მაშინ ავიცერი, როანა გავიცანი. მითხრეს, პარლამენტში „მაიმუნის ყვავილია"— რა „მაიმუნის ყვავილი", ამ გამხდარ გოგოზე უთქვამთ. ისე, რატომაა ასეთი გამხდარი, სახლშიც არ აჭმევენ? ზოგი რა ბედდამწვარი დაიბადება — არც სახლში აჭმევენ, არც პარლამენტში — პარლამენტში ვიყო და იქაც არა ვჭამო? შვილო, მაშ პარლამენტში რა გინდა, მშიერი სახლშიც ხომ იყავი? — მანდ საჭმელად დადიან... ეგრეა! გაიხედავ, გამხდარია, გამოიხედავ — გასუქებულა — ბოინია?

მიპას ჭამაზე ვდარდობდი და დამავიწყდა ლამის — ის ფეხები ვისი იყო? რა ვიცი, კაცი ვარ და მაინტერესებს, საინტერესო ფეხები იყო... (მამაძია ვ შოკე!).

ზოგადად, როცა რომ ურიკინებ, თავ-ფეხებიც გინდა და მენჯბარძყიც, მაგრამ უნდა დაალაგო, მასე ვერ გამოდის, მიშაჯან!

ეს აბდულა ცალკე მაგიჟებს — ბიჯო, ჭამე, უქმად სცდები! სანამ ნოვრუზ ბაირამი დაიწყება, ვირი ხეზე ავა და ჩამოვა, დარჩები მშიერი! ისე, აზერი კაცი სომეხზე შიმშილობდეს, ცოტა გაუგებარია... მე ბაქოში „ალეაში" ვიყავი, გული დამეწვა, მა შენა?

ე, დამიჯერა! შეწყვიტა — მოსწყინდა! მა რაა, რა სომეხი, აზერი ხარ! ალიევმა ყურში მითხრა, ამას „ქუნემ" ვუთხრა თუ „სანე"-ო-მეთქი, აერევა, გაუშვი სომხურად, გაიგებს... რატომაც ვერა — თბილისი ხომ სომხური ქალაქი ყოფილა, იქაც ქურთული, რუსული და, რა ვიცი, — ყივჩაღური, ეგ უფრო ნაღდია...

ეს კირკიტაძე ხო „კაპოტზე" შერჩა, ველარც ჩამოდის და იქაა. ვეუო, ჩამო, ველისციხის ჰაერმა არ დაგცადოს... თელავიდან მოკითხვა შეუთვალეს (მაინც „ნაცების ქალაქია"), მაგრამ ესმის? — შეჯდა ვირზე და წითლიძეს ეკირკიტება. შვილო, ჩამოით, ტყაპანი არ მოადინოთ უცბად! მე დამირიგებიხართ და... — იგეთი ამოკვრა იცის ვირმა კი არადა, ჯორმა...

პაპაჩემსა ჰყავდა შავი ჯორი, მუსტაფა ერქვა, თეთრ ცხენს — ფაშა. იმ მუსტაფამ ერთი რომ აგვკრა, სულ გაგვამრავლა...

აი, ეს აბდულა ვილა ჩემის ისმაილოვია, სად ეტენება?

დაიცა, სანამ დავწერდი უკვე ჭამს? იმ გოგოს მიმიხედეთ, ისედაც ძვალი და ტყავია, ხიფათი არ შეემთხვეს!@

ამბობენ, კიდევ მეოთხეა ვილაც მოშიმშილე — მე იმას ვერ მივაგენი, მაგრამ ეგეც მაგ შუშურიკებიდან არის და რა საძებარია...

„ზემლია" მეუბნება, მაიცა, დახოცონ ერთმანეთიო. მეთქი, „ვინებმა?" ჩვენებმა და თქვენებმაო — ვზივარ და ველოდები, „სემიჩკა" მაქვს!

ათეისტი გვეუბნება, ღმერთი არა გწამთო? ესეც ვერაა, რა ღმერთი, იქა ვართ!

ამ „სედოი" მცოცავმა მიშამ, რა შაგვალონა, ტოო!

ამ „ზემლიამ" ტვინი წაიღო, ამბობს, მედვედევი ბოდავს. ჩავხედე, მართლა ბოდავს: „რუსეთი უზარმაზარი და მდიდარი ქვეყანაა. ჩვენ არ გვჭირდება უცხო ტერიტორიები, ყველაფერი უხვად გვაქვს. ჩვენი მიწა ჩვენთვის წმინდაა, რომელზეც ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ და რომელზეც დღეს ჩვენი ხალხი ცხოვრობს და რომელსაც ჩვენ არავის მივცემთ. ჩვენ ვიცავთ ჩვენს ხალხს! ჩვენ ვიბრძვით ჩვენი მიწისთვის, ისტორიისთვის.

გვაქვს შესაძლებლობა ყველა მტერი ცეცხლოვან გეენიაში გავაგზავნოთ, მაგრამ ეს ჩვენი ამოცანა არ არის. ჩვენ გულში ვუსმენთ შემოქმედის სიტყვებს და ვემორჩილებით. ეს სიტყვებს წმინდა მიზნისკენ მივყავართ. მიზანია ჯოჯოხეთის უზენაესი მმართველის შეჩერება, არ აქვს მნიშვნელობა, რა სახელს გამოიყენებს სატანა — ლუციფერს თუ იბლისს. მისი მიზანი სიკვდილია — ჩვენი მიზანი სიცოცხლეა! მისი იარაღი ჩახლართული ტყუილია, ჩვენი იარაღი სიმართლეა, ამიტომ არის ჩვენი საქმე მართალი. ამიტომ ჩვენ გავიმარჯვებთ!" — მართლა ამბობს.

ავადა ვარ, მახველებს, მაგრამ ამას უფრო ახველებს...

გესმით, სად ვართ?

ისეთ ბასრ დანისპირზე გავდივართ, არასდროს რომ არ გაგვივლია!

ვინ, ვინ არის მომხედი — არავინ!

იყო საქართველო და აღარ არის, ბუამ ჩაყლაპა?

არა, ჯერ არ დაბადებულა იმხელა ბუა, რომ პატარა საქართველო ხახაში ჩაეტიოს! საქართველო ისეთი დიდია, რომ იქით ყლაპავს ცივილიზაციებს!

ამ „ქოცებმა" ხომ ცალკე წაიღეს ტვინი, აუტეხიათ „მშვიდობა", „მშვიდობაო". რა მშვიდობა, ერთი კარგი გემრიელი ომი არ სჯობს? აკაკანებ აქედან, დაგაკაკანებენ ზემოდან...

მოინდომეს აქ მშვიდობა!

ომი კარგია, მშვიდობა მოაქვს!

აბა, მშვიდობა რათ მინდა, ომი მოაქვს და როგორ ვჭამო, ომს მშვიდობა მივაყოლო, ვითომ პური და ყველია?

მეზობელმა მითხრა, ნერვი აღარ მაქვსო; ტელევიზორში მითხრეს, „ტურბულენტობაზე" უნდა გებაასოთო; მეორეზე — არწივიო. ახლა მე რა ვქნა, სამივეზე ერთად ვთქვა, თუ პირდაპირ გრავიტაციაზე გადავიდე?

ვაბშე არ იციან ქართული!

ახლა ამხანაგი მირეკავს, ხომ არ იცი, „ზებლოკირებული მაზი" რომელ აფთიაქშიაო? მთლად სულელს არ უნდა ვგავდე და ყველა მე დამცინის?

გაზეთი რა შუაშია? — თავშია, ამათ ჰგონიათ, „გაზეთმა" ყველაფერი იცის.

არა, გენაცვალეთ, გაზეთმა მხოლოდ ის იცის, რაც ადამიანებს აწუხებთ, რაც სტკივათ სულში — გაზეთი სულის მალამოა...

მიყვარხართ, მომვალ წლამდე გემშვიდობებით!

ზურა ოძხერელი

# ჩვენი ჯანმრთელობის სამსახურში

ბგერითი თერაპიის ინსტიტუტში (აშშ, არიზონას შტატი) მუსიკით თმაც კი ამოჰყავთ. რუსეთში 2003 წელს ჯანმრთელობის სამინისტრომ მკურნალობის ოფიციალურ მეთოდად სცნო მუსიკოთერაპია.

გამოჩენილმა ფიზიოლოგმა ი. თარხნიშვილმა 1893 წელს გამოაქვეყნა სტატია „მუსიკის გავლენა ადამიანის ორგანიზმზე", სადაც ყურადღება მიაქცია იმას რომ მხოლოდ ჰარმონიული, კეთილხმოვანი მუსიკა ახდენს დადებით გავლენას გულსისხლძარღვთა, სუნთქვის, საჭმლის მომნელებელი სისტემების მოქმედებაზე, ანელებს პულსს, არეგულირებს არტერიულ წნევას, ნორმაში მოჰყავს კუჭის წვენის სეკრეცია მაშინ, როცა გამაღიზიანებელი მუსიკა იწვევს საპირისპირო ეფექტს. მისი თქმით, მუსიკის ზეგავლენით ძლიერდება ორგანიზმში მიმდინარე მთელი რიგი სასიცოცხლო პროცესები, ძლიერდება ორგანიზმის ზოგადი ტონუსი და ნივთიერებათა ცვლა, რის გამოც მუსიკა შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ნერვულ, ისე მთელ რიგ შინაგან დაავადებათა სამკურნალოდ. თარხნიშვილმა დაასაბუთა კუნთის დაძაბულობის კავშირი მუსიკასთან. კერძოდ, დამამშვიდებელი კლასიკური მუსიკის ფონზე აღინიშნებოდა კუნთის მოდუნება. მუსიკალური რითმის გაზრდისას ძლიერდებოდა კუნთის შეკუმშვა.

ექსპერიმენტული გამოკვლევებით დადგინდა, რომ მუსიკა მოქმედებს ჰორმონების გამომუშავებაზე. რითმი როგორც მუსიკალური ნაწარმოების საფუძველი, ადამიანზე დიდ გავლენას ახდენს. თითოეულ ადამიანს აქვს თავის განუმეორებელი ინდივიდუალური რითმი, რომელიც იცვლება ფსიქიკური მდგომარეობის მიხედვით. რითმი რომელსაც მუსიკა კარნახობს თავის ტვინს, ხსნის ნერვულ დაძაბულობას.

ყველაზე მრავალმხრივ გავლენას ადამიანზე კლასიკური მუსიკა ახდენს, რომელიც ხშირად სასწაულმოქმედ ეფექტს იძლევა. ამ მხრივ ყველაზე კარგად არის შესწავლილი ვივალდის, მოცარტის, ბეთხოვენის, ჩაიკოვსკის, შუბერტის, გრიგის და შუმანის ქმნილებები. მოცარტის მუსიკა ხელს უწყობს ინფორმაციის სწრაფად ათვისებას და გავლენას ახდენს გონებრივი მუშაობის უნარზე. მოცარტისა და ბეთჰოვენის ნაწარმოებთა მოსმენით სწრაფად მიმდინარეობს კუჭის წყლულის შეხორცება. ჰარმონიული მელოდია ხელს უწყობს ოპერაციის შემ-

14 გვ. →

2023 წელსაც „საერთო გაზეთი" კვლავ იმ ტრადიციებს გააგრძელებს, რაც ქართული საზოგადოებისთვის, სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია. „საერთო გაზეთი" იმ ყვავილს ჰგავს, რომელსაც სულ უნდა ეფერო. კიდევ ვიმეორებ, ინტელექტუალური ელიტა ოთხშაბათ დღეს ელოდება, რადგან „საერთო გაზეთიდან" ისეთ ინფორმაციას იგებს, რომელიც გულს მოაოხებინებს და მალამოდ დაედება. ბევრი გაზეთი ვერ აზერხებს სწორი ინფორმაციის მიწოდებას მკითხველისთვის. თქვენ სულ სხვა ხართ. დიდი მადლობა, რომ „საერთო გაზეთი" ბოლომდე სიმართლის სამსახურში რჩება. გისურვებთ, ეს კურსი 2023 წელსაც განაგრძოთ. ხელისუფლებას ვთხოვ, ამ გაზეთს სათანადო ყურადღება მიაქციოს.



**ბადათერ არაბული, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, პოეტი:** მინდა, მთელ კოლექტივს დამდეგი ახალი წელი მოგილოცოთ, გისურვოთ წარმატებები, გამარჯვებები. „საერთო გაზეთი" უნიჭიერესმა პიროვნებამ, პოეტმა და პუბლიცისტმა ვახტანგ ხარჩილავამ შექმნა. მან დააარსა და ჩამოაყალიბა გაზეთი თავისი შესანიშნავი ჟურნალისტებით, თანამშრომლებით. „საერთო გაზეთი" ერთ-ერთი საუკეთესოა. მინდა ვისურვო, რომ ვახტანგ ხარჩილავას მიერ დაარსებული გაზეთი, რომელსაც დღეს მისი შესანიშნავი ქალიშვილი, მეუღლე ხელმძღვანელობენ, ვახტანგის დაწყებულ საქმეს ღირსეულად გააგრძელებს. ყველას გისურვებთ სიხარულს, წარმატებას, გამარჯვებებს და, რაც მთავარია, იმას, რაზეც ვახტანგ ხარჩილავა ოცნებობდა — ღირსეულ საქართველოში ცხოვრებას. „საერთო გაზეთი" თავისი პრინციპულობით, დამოკიდებულებით, პროფესიონალიზმით დღევანდელ ქართულ მედიაში გამორჩეულია. მინდა, ეს ნიშა გაზეთმა მომავალ წელსაც და სულ შეინარჩუნოს. ვახტანგის მეუღლე, ქალბატონი თამარი შესანიშნავად უძღვება საქმეს და ისეთი შემართებით მიიწევს წინ, ვახტანგ ხარჩილავას რომ გაუხარდებოდა. „საერთო გაზეთის" რედაქციას ულევ წარმატებას და ახალ-ახალი მწვერვალების დაპყრობას ვუსურვებ.



**ზაზა შათირიშვილი, ფილოსოფოსი:** „საერთო გაზეთს" ვულოცავ დამდეგ ახალ წელს, შობას. მიხარია, რომ იგი გამორჩეულად ეროვნულ, პატრიოტულ მოტივებს არ ღალატობს. გისურვებთ ყველაზე მნიშვნელოვანს, რაც ჩვენს დროში განსაკუთრებულია. კერძოდ, ამ დროს ხშირად პოსტსიმართლის ეპოქას უწოდებენ. ამიტომ გისურვებთ, „საერთო გაზეთი" როგორც ადრე, ახლაც და მომავალშიც კვლავ სიმართლის სადარაჯოზე მდგარიყოს. ეს არის ის მთავარი ნიშა, რაც თქვენს გაზეთს აქვს და დაე, ასე გაგრძელებულიყოს მომავალშიც.

**რამაზ გახოკიძე, აკადემიკოსი:** „საერთო გაზეთის" მკითხველებს ბედნიერ ახალ წელს ვუსურვებ. პირველ რიგში, მოუგვარებელი პრობლემების გადაჭრას. დღეს კაცობრიობა თვითგანადგურების ზღურბლზე დგას, რომლის ხსნა მოყვასის სიყვარულსა და მშვიდობისკენ მისწრაფებაშია.



ხშირად, როცა გვგონია, ცხოვრება დასასრულისკენ მიდის და ხსნას არსაიდან .ელი, სწორედ მაშინ გამოჩნდება იმედის ნაპერწკალი. შუა ზამთრში, როცა ყველაზე მკაცრი სუსხი დგება, ყინვისგან თავმობეზრებულ ბუნებაში იმედი იბადება — დღე შეუმჩნევლად იწყებს მატებას. იბადება იმედი სინათლის — სიბნელეზე, სიკეთის — ბოროტებაზე, მეცნიერების — უმეცრებაზე უპირობო გამარჯვებისა... უკუნითი სიბნელე მზის ამოსვლის მაცნეა. ასე რომ, ადამიანებს არაფერი ისე არ ვნებს, როგორც ნიჰილიზმი და უიმედობა. ბედნიერებაა ურყევი რწმენით მოპოვებული გამარჯვება და უბედურებაა ლანგრით მორთმეული ბედნიერება.

„საერთო გაზეთის" თანამშრომლებს ვუსურვებ იმ დიდი ტრადიციების ღირსეულად გაგრძელებას, რასაც საფუძველი ჩაუყარა დიდებულმა მწერალმა, პუბლიცისტმა და ჭეშმარიტმა მამულიშვილმა ვახტანგ ხარჩილავამ, რომლის წვლილი ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში განუზომელია.

**მერაბ შათირიშვილი, მწერალი:** „საერთო გაზეთი" ჩემთვის მხოლოდ გაზეთი არ გახლავთ. იგი



სამართლიან სიტყვასთან, სახელმწიფოებრიობის ინტერესების დაცვასთან და, რაც მთავარია, მის სულისჩამდგმელ — პოეტთან, პუბლიცისტთან, არაჩვეულებრივ ადამიანსა და ჩემს მეგობართან ვახტანგ ხარჩილავასთან ასოცირდება. მინდა, „საერთო გაზეთს" ბევრი წარმატება, მკითხველის მომრავლება და მუდმივად აღორძინებაში ყოფნა ვუსურვო, რაც ჩემთვის ვახტანგ ხარჩილავას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულის გამონათების ტოლფასი იქნება. ბედნიერი ვიქნები, როცა საგაზეთო ჯიხურებსა თუ „სტელაჟებზე“, სადაც პერიოდული პრესა იყიდება, „საერთო გაზეთს“ თვალს მოვკრავ. ამით მე ჩემი მეგობრის, არაჩვეულებრივი პიროვნების სახებას თვალს შევავლებ. დაე, 2023 წელი „საერთო გაზეთის“ აღორძინების წელი ყოფილიყოს და ის ამაგი, ღვაწლი და შრომა გაემართლებინოს, რაც მასში ვახტანგ ხარჩილავამ და მისმა გუნდმა — ჟურნალისტებმა, თანამშრომლებმა ჩადეს, რომელთაც ეს გაზეთი დღემდე მოიტანეთ. „საერთო გაზეთს“ ახლა ვახტანგ ხარჩილავს ქალიშვილი და მეუღლე ღირსეულად უძღვებიან. მინდა, თქვენთან ერთად, მათაც მივულოცო დამდეგი 2023 წელი და ჯანმრთელობა, წინსვლა და ულევი წარმატება ვუსურვო.



**ნინო ჯღარკავა: ჟურნალისტი:** „საერთო გაზეთი“ ჩემთვის ვახტანგ ხარჩილავაა, საოცრად ნიჭიერი მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი. პატარა გოგო ვიყავი, როცა ვახო და მისი მეუღლე თამრიკო გავიცანი. მას მერე ათასმა ქარტეხილმა ჩაიარა და ჩვენ მუდამ ვიყავით მეგობრები, თანამებრძოლები და ერთმანეთის გულშემატკივრები.

დღეს, როდესაც ვახო ფიზიკურად აღარ არის, მისი ოჯახი ღირსეულად აგრძელებს ვახოს გზას. „საერთო გაზეთი“ მუდამ უნდა იყოს, რადგან ვახო სულ ცოცხალი იქნება, სანამ ეს გაზეთი იარსებებს. წარმატებებს ვუსურვებ ამ ახალ წელს ვახოს გზის ღირსეულ გამგრძელებელს, მის ვაჟს, დავით ხარჩილავას და ვუსურვებ ისეთივე აღიარებას და სიყვარულს, რაც ვახომ დატოვა.

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, გულწრფელი სურვილებით!



**ლამარა ანდრონიკაშვილი:** „საერთო გაზეთი“ მართლა, რომ ყველასთვის საერთო, თბილი, მისაღები და სასიამოვნოდ საკითხავი ტექსტებითაა განფენილი. ბატონმა ვახტანგ ხარჩილავამ, ამ გაზეთის რედაქტორმა, პოეტმა, პუბლიცისტმა, უამრავი სტატიის და კრებულის ავტორმა, მთელი სული, გული და ენერგია ჩადო მის განვითარებაში, რათა გაზეთს პრესის ბაზარზე სათანადო ადგილი დაემკვიდრებინა.

„საერთო გაზეთი“ ყოველთვის ერთგული და გემოვნებიანი მკითხველით გამოირჩევა, „საერთო გაზეთთან“ მკითხველი მუდამ პოულობს საერთოს, და ასე გაგრძელდება კვლავაც... ეს მადლიანი გაზეთი ხომ დიდებული მოღვაწის, ბატონი ვახტანგის კალმის ნატერფალია. რაოდენ დასანანია, რომ ახალგაზრდა, ნიჭიერი ადამიანი უკვე იმიერის ბინადარი გახდა. არა და, რა ვუყო იმ მადლიერებას, რასაც ვახტანგ ხარჩილავას მიმართ განვიცდი? - მისი რედაქტორობით გამოცემული „საერთო გაზეთი'' უკვე ათეული წელია, ჩემი მეუღლის, ვლადიმერ (ლადო) ანდრონიკაშვილის ღვაწლსა და დამსახურებას არ ავიწყებს მკითხველს.

უსაზღვროდ მადლიერი ვარ ჩემი ოჯახის მიმართ ბატონი ვახტანგის დამოკიდებულებისა, რასაც ახლა მისი ძვირფასი მეუღლე და შვილი აგრძელებენ. მამაკაცის ღირსება ხომ ოჯახის ავკარგიანობით განისაზღვრება.

დარწმუნებული ვარ, ვახტანგ ხარჩილავას სახელს დრო უკვდავყოფს. ეს მან სიცოცხლეშივე დაიმსახურა - შექმნა ძვირფასი ოჯახი და შვილობილად წოდებული „საერთო გაზეთი“, ორივე ერთად კი მარდაჟამს იქნებიან ბატონი ვახტანგის წმიდათაწმიდა სულის სიცოცხლის უკვდავმყოფები!

მადლობა ხარჩილავების ოჯახს, მადლობა „საერთო გაზეთის“ თითოეულ თანამშრომელს. მკითხველთა და წელთა სიმრავლეს გისურვებთ. ახალი წელი სიახლეებისა და წარმატებების მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის.



**გოჩა ნაჭყებია, „თბილისი 24“-ის რედაქტორი:** 2022 საკმაოდ საინტერესო და მრავლისთქმელი წელი იყო ჩვენი ქვეყნისთვის, ეკონომიკური წინსვლა და საერთაშორისო პოლიტურ არენაზე საქართველომ მსოფლიოს დაანახა თავისი ძირითადი მიზნები ევროპულ ოჯახში გაწევრიანების კუთხით. უდიდესი დანაკლისია საქართველოსთვის დიდი ადამიანის, მართალი კაცის ვახტანგ ხარჩილავას უდროოდ წასვლა საწუთროდან... მჯერა "საერთო გაზეთი" ღირსეულად გააგრძელებს ბატონი ვახტანგის გზას და ყოველთვის იტყვის თავის მართალ სიტყვას რაც ბუმბერაზმა პოეტმა დაანათლა მას...

**ლევან ჭილლაძე ადვოკატი:** რამდენიმე თვეა, რაც „საერთო გაზეთის“ რედაქციის კოლექტივს შევუერთდი და, ვფიქრობ, ის გუნდი ვიპოვე, რომელსაც, პირველ რიგში, ურთიერთობა არ ეშლება და პროფესიონალიზმითაც გამორჩეულია. ვცდილობთ, სამართლიანები ვიყოთ და არ დავთმოთ ის პრინციპები, რომლებსაც აწ გარდაცვლილი ბატონი ვახტანგ ხარჩილავა, მიუხედავად დიდი ზეწოლისა, მედგრად იცავდა.

მინდა, „საერთო გაზეთის“ კოლექტივს წარმატებები და იმ მუხტის შენარჩუნება ვუსურვო, წლების განმავლობაში რომ ხიბლავდა მის მკითხველს!

# მუსიკალური ინსტრუმენტები ჩვენი ჯანმრთელობის სამსახურში

13 გვ.



დგომ გულის მუშაობის აღდგენას. პოზიტიური ემოციის და კარგი განწყობილების გამომწვევი მხიარული მუსიკის მოსმენა რეკომენდებულია გულსისხლძარღვთა დაავადებათა პროფილაქტიკისთვის. მუსიკა აუმჯობესებს სისხლის ცირკულაციას, სისხლის წნევის რეგულაციას. გამოვლინდა კავშირი კლასიკურ მუსიკასა და შაქრიანი დიაბეტის მკურნალობას შორის, ასევე, მუსიკის გავლენა წყლულის და ტუბერკულოზის განკურნებაზე.

ცხოველები და მცენარეები უპირატესობას ჰარმონიულ მუსიკას ანიჭებენ. შვედეთის მუსიკალურ-თერაპიული საზოგადოების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების დროს ზვიგენები და დელფინები ოკეანის ყველა სანაპიროდან მოგროვდნენ ბახის მუსიკის მოსასმენად.

## სასულე ინსტრუმენტები სისხლის მიმოქცევას გაგიუმჯობესებთ

ყველაზე სასიკეთოდ ადამიანის ორგანიზმზე მოქმედებს საფორტეპიანო და სავიოლინო მუსიკა. ფორტეპიანოზე დაკვრა იწვევს ფსიქიკის ჰარმონიზაციას, ასუფთავებს ფარისებრ ჯირკვალს, ნორმაში მოჰყავს შარდსასქესო სისტემა. ორღანოს ბგერები ასტიმულირებს ტვინის და ხერხემლის აქტიურობას. სასულე ინსტრუმენტები ასუფთავებს ბრონქებს და აუმჯობესებს სუნთქვის მუშაობას,



დადებითად მოქმედებს სისხლის მიმოქცევაზე. დასარტყმელი ინსტრუმენტები კურნავს ღვიძლს და სისხლის მიმოქცევის სისტემას.

ნაწარმოების არამარტო ჟანრს, რითმს და ტონალობას აქვს მნიშვნელობა, არამედ იმასაც, თუ რომელ მუსიკალურ ინსტრუმენტზე სრულდება მელოდია. როგორ მოქმედებს ჩვენზე ბგერები? ცალკეული მუსიკალური ინსტრუმენტის ჟღერადობა ზემოქმედებს ადამიანის ორგანიზმის განსაზღვრულ ორგანოზე. მაგალითად, სიმებიანი ინსტრუმენტები (ვიოლინო, ვიოლონჩელო, არფა, გიტარა) გამაჯანსაღებლად მოქმედებს გულსისხლძარღვთა სისტემაზე. გარდა ამისა, ადამიანში აღძრავს მადლიერებასა და თანაგრძნობას. გიტარის ბგერები ყველაზე უფრო გულზე მოქმედებს. ვიოლინო კარგად მოქმედებს მელანქოლიკებზე და ახასიათებს დამამშვიდებელი აქტიურობა; ალტი ეფექტურია ნერვული სისტემის დარღვევის და სისუსტის დროს; კლარნეტი ხელს უწყობს დათრგუნული მდგომარეობიდან გამოყვანას, ნორმაში მოჰყავს 'გულსისხლძარღვთა სისტემა; არფა სასარგებლოა ისტერიის შემთხვევაში, ხოლო ფლეიტა სასიკეთოდ მოქმედებს ღვიძლსა და ბრონქულ სისტემაზე.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ფოლკლორი ხელს უწყობს ბავშვის აღგზნებული მდგომარეობის განმუხტვას, აცხრობს სტრესის რეაქციებს. კლასიკურ მუსიკას შეუძლია კეთილი გავლენა იქონიოს ბავშვის არამარტო ჯანმრთელობასა და გონებრივ შესაძლებლობებზე, არამედ გარეგნულ მონაცემებზეც. ბგერების გავლენა ჯერ კიდევ ემბრიონულ სტადიაზე ხდება. ჩატარდა ექსპერიმენტები და ცხადი გახდა, რომ ნაყოფი მშვიდდება ვივალდის და მოცარტის მუსიკით, ხოლო ბეთჰოვენისა და ბრამსის მუსიკით იწყებს ენერგიულ მოძრაობას.

## უჯრედები მღერიან!

რობერტ დეიმერმა გაზომა ადამიანის უჯრედების რხევების სიხშირე, ინფრაწითელი სპექტრების საშუალებით გაზომა დნმ-ის რხევები, შემდეგ უხილავი ვიბრაციები ბგერით სპექტრებად გარდაქმნა და ... მიიღო მუსიკა. აღმოჩნდა, რომ უჯრედები მღერიან! ჯანმრთელი უჯრედები გამოსცემენ ღვთაებრივი ჰიმნების ხმებს. ავადმყოფი უჯრედები ხიხინებენ, მკვდარი უჯრედები ოდნავ ხმაურობენ. თუ ვიცით უჯრედის ბგერითი რხევები შესაძლებელია გულის რითმის, სისხლის წნევის ნორმალიზება, მეხსიერებისა და ყურადღების გაუმჯობესება.

## ბახისა და ჰაიდნის ნაწარმოებების მოსმენა შურის დაძლევაში დაგეხმარებათ!

— აქვე შემოგთავაზებთ მუსიკოთერაპიის ცენტრებში აპრობირებულ მუსიკალურ რეცეპტებს: უძილობისას მოუსმინეთ ბეთხოვენის „მთავრის სონატას“, ჩაიკოვსკის „შემოდგომის სიმღერას“, შუბერტის „ავე მარიას“. სტრესის დროს: მუსორგსკის საფორტეპიანო სუიტა „სურათები გამოფენიდან“. გადაღლისა და ნერვული გამოფიტვის დროს კარგია: გრიგის „დილა“, ოგინსკის „პოლონეზი“, შტრაუსის „ცისფერი დუნაი“. ქრონიკულ დაღლილობას შველის ბრამსის „სავიოლინო კონცერტი“, „უნგრული ცეკვები“. დეპრესიას განკურნავს: ბეთხოვენის „მთვარის სონატა“, ლისტის „მეორე რაფსოდია“. გაღიზიანებისა და სიბრაზის მოსახსნელად უსმინეთ: ჰაიდნის „სიმფონიას“, ბეთხოვენის „მთვარის სონატას“, ბახის „კანტატას №2“-ს და „იტალიურ კონცერტს“. ბახისა და ჰაიდნის ეს ნაწარმოებები ასევე რეკომენდებულია შურის შესამცირებლად. ადამიანებთან ურთიერთობისას დაძაბულობის მოსახსნელად დაგეხმარებათ ბახის „სავიოლინო კონცერტი რე მინორი“. გახშირებული გულისცემა ნორმაში მოჰყავს მენდელსონის „საქორწინო მარშს“, რაველის ნაწარმოებებს. მღელვარების, შიშის და საკუთარ თავში დაურწმუნებლობის შესამცირებლად სასარგებლოა: შოპენის „მაზურკები“ და „პრელუდიები“. ჰიპერტონიის დაძლევაში დაგეხმარებათ შოპენის „ნოქტიურნი რე მინორი“, ჩაიკოვსკის „სუიტა“ ბალეტიდან „გედის ტბა“. შაკიკის შემთხვევაში მოუსმინეთ: მენდელსონის „საქორწილო მარშს“. თავის ტკივილს სწრაფად ხსნის: მოცარტის „დონ ჟუანი“, ლისტის „უნგრული რაფსოდია №1“. ალკოჰოლიზმსა და ნიკოტინზე დამოკიდებულებას, სხვა საშუალებებთან ერთად, კურნავს შუბერტის „ავე მარია“, ბეთხოვენის „მთვარის სონატა“, სენ-სანსის „გედი“. შემოქმედებით იმპულსს ასტიმულირებს რაველის „ბოლერო“. მუსიკოთერაპია, ბევრ შემთხვევაში, ქიმიოთერაპიის ძლიერი კონკურენტი შეიძლება გახდეს და მისი განმკურნებელი ზემოქმედება უფრო ეფექტიანიც აღმოჩნდეს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასტროლოგები გვირჩევენ

ახალი წელი მნიშვნელოვანი დღესასწაულია, რომელსაც ყველა, პატარა თუ დიდი მოუთმენლად ელის და ახალი იმედებით, სურვილებითა და მიზნებით ეგებება.

დამდეგი 2023 წელი შავი წყლის კურდღლის წელია. ასეთი წელი, სხვათა შორის, მხოლოდ სამოც წელიწადში ერთხელ მოდის. წინა საუკუნეს 1903 და 1963 წლებში სტუმრობდა. რიცხვი "3" თარიღში მიუთითებს ნიშნის თანმხლებ ფერზე - შავი... ასტროლოგების მცირე ნაწილი ვარაუდობს, რომ 2023 წელი საკმაოდ მშვიდი და ჰარმონიული იქნება, რადგან თავად კურდღელი (კატა) არის მოსიყვარულე, ნაზი, ჰარმონიული არსება, რომელიც ზრუნავს თავის შთამომავლობაზე.

თუმცა, თუ პარალელს გავავლებთ 1963 წლის კურდღლის წელიწადთან, მაშინ ვითარება არც ისე ვარდისფრად გამოიყურება, რადგან სამოცი წლის წინათ პლანეტა დედამიწაზე განუწყვეტლივ ხდებოდა მცირე და დიდი კატაკლიზმები. იყო სამხედრო გადატრიალებები და შეიარაღებული აჯანყებები, ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ავიაკატასტროფებმა და სხვა სატრანსპორტო ავარიებმა, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობები განიცდიდა გლობალურ კრიზისს და ვერავინ, თუნდაც ზესახელმწიფოების ლიდერები, ვერ გრძნობდნენ თავს დაცულად - პრეზიდენტი ჯონ ფ. კენედი შეერთებულ შტატებში ნოემბერში მოკლეს. მეორე მხრივ, ადამიანებმა უდავო პროგრესს მიაღწიეს, გააძლიერეს საერთაშორისო კავშირები და განავითარეს კულტურა.

ასტროლოგ ტამარა გლობას გამოთვლით, 2023 წელი ბოლო ათწლეულში ყველაზე რთული წელიწადი იქნება. გლობალური ცვლილებები მტკივნეულად შეეხება ეკონომიკას და ფსიქოლოგიას. სიტუაცია განსაკუთრებით გაზაფხულზე დაიძაბება...

ექსტრასენს მეხდი ვაფას აზრით, მომავალ წელს მკაცრი გამოცდა ელის მსოფლიოს. ევროპაში უმუშევრობა და არეულობა დაისადგურებს. მსოფლიო სამ კოალიციად დაიყოფა, ორი მათგანი ერთმანეთს დაუპირისპირდება, მესამე კი ნეიტრალურ მხარეს დაიკავებს. ასეთი სცენარის განვითარება რთულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ რყევებს გამოიწვევს. ვაფას მტკიცებით, აპრილში, მაისსა და ივნისში მოხდება სერიოზული მოვლენები, რომლებიც გადამწყვეტი იქნება პლანეტის მომავლისათვის.

რაც შეეხება უკრაინას. ვაფას აზრით, კიევი მიხვდება, რომ ევროპას და, მით უმეტეს, ამერიკას, სულაც არ ადარდებთ უკრაინელი ხალხის ბედი... მიუხედავად ყველაფრისა, ვაფა მოგვიწოდებს, ახალ 2023 წელს მშვიდად შევხვდეთ და მხოლოდ ულრუბლო ცასა და ბედნიერებაზე ვიფიქროთ.

წარმომავლობით ყაზახმა ვერა ლიონმა პრაქტიკულად მთელი ცხოვრება ურალში გაატარა. მას ჯერ კიდევ ბავშვობიდან გამოუვლინდა წინასწარმეტყველების ნიჭი. მან წინასწარ განჭვრიტა გორბაჩოვის გადადგომა, საბჭოთა კავშირის დაშლა, 2007 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, უკრაინის ტერიტორიაზე შექმნილი მძიმე ვითარება და ბუნებრივი კატაკლიზმებიც კი.

ვერა 2023 წელს ხედავს, როგორც ახალ რეალობას, რომელიც ერთდროულად მარტივიცაა და რთულიც. "ეს გარდამტეხი პერიოდია", – ამბობს ნათელმხილველი. მისი თქმით, რუსეთი საბოლოოდ იტყვის უარს დოლარზე. დასავლეთი დროთა განმავლობაში მოხსნის გარკვეულ სანქციებს. ასევე, სავარაუდოა, რომ რუსეთის შიგნით გაჩნდეს განხეთქილებები მართლმადიდებლობის ნიადაგზე. არაა გამორიცხული, რომ ეს დაკავშირებული იყოს პატრიარქის გარკვეულ ქმედებებთან.



გაჩნდება აშშ-ის დაშლის წინაპირობები. ამასთან, ის მაინც ძველებურად აქტიურად ჩაერევა მსოფლიოს ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ყაზახეთში შეიძლება არასტაბილური მდგომარეობა შეიქმნას. არ არის გამორიცხული, რომ სახელმწიფო პოლიტიკური ტურბულენტობის პერიოდში აღმოჩნდეს. ვერა ლიონმა შარშან უკრაინაში მძიმე ვითარების დადგომა იწინასწარმეტყველა. მისი ვარაუდით, ქვეყნის დასავლეთი რეგიონის გარკვეული ნაწილების მოხლეჩაა მოსალოდნელი. წინასწარმეტყველის წარმოდგენით, უკრაინა ჰგავს გამხმარ ხეს, რომელიც თანდათან გამოისხამს ახალ ფოთლებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მძიმე ჟამს აუცილებლად ჩაანაცვლებს გამარჯვება და აღორძინება.

ვერა ლიონის თვალთახედვით, 2023 წელს დედამიწაზე გამოჩნდებიან "განსაკუთრებული" შესაძლებლობების მქონე ადამიანები, მასონური ინსტიტუტი კი დაიშლება. დედამიწაზე მოხდება ადამიანთა განშრევება სულიერი პრინციპების, ცხოვრებისეული ღირებულებების მიხედვით. ხალხის ერთი ნაწილი კოსმოსის ათვისებისკენ იქნება მიმართული, მეორე – კი კერპების თაყვანისცემისკენ.

2023 წლის ყველაზე საზარელ პროგნოზად ითვლება ის, რომ მიძინებული იელოუსთოუნის ვულკანი გაიღვიძებს, რაც ამერიკაში გამანადგურებელ სტიქიურ უბედურებებს გამოიწვევს. დედამიწაზე წყლისა და ხმელეთის თანაფარდობა შეიცვლება. დაიტბორება დიდი ტერიტორიები, რასაც ძლიერი წვიმები, ქარიშხლები და ცუნამებიც კი განაპირობებს. ამასთან, თავს იჩენს სასმელ წყალთან დაკავშირებული პრობლემაც.

2023 წლისათვის შეიძლება შეიცვალოს სახელმწიფოების საზღვრებიც. არ არის გამორიცხული, რომ რუკიდან გაქრეს ზოგიერთი ქვეყანა. ვერა ლიონს აქვს ასევე ერთი წინასწარმეტყველება, რომელიც გვინერგავს ოპტიმიზმს და ნათელი მომავლის რწმენას. გრძნეულის თქმით, მესამე მსოფლიო ომი არ მოხდება. იგი გვირჩევს, რომ ძალები და ენერგია ჩვენი სულების შეცნობისკენ მივმართოთ.

წინასწარმეტყველები პროგნოზირებენ პანდემიასაც, რომელიც აფრიკის ბიზნესფორუმზე სიტყვით გამოსვლისას ჯო ბაიდენმაც „იწინასწარმეტყველა". მან განაცხადა, რომ მსოფლიოს კიდევ ერთი გლობალური პანდემია ელოდება. "უკეთ ვართ მომზადებული, რომ ჯანმრთელობის გამოწვევებს გავუმკლავდეთ, მათ შორის, მომდევნო პანდემიას, რომელიც აუცილებლად იქნება. ვმუშაობთ COVID-19-ის დასასრულებლად. ამასთან, ვაგრძელებთ უფრო ძლიერი ჯანდაცვის სისტემებისა და ინსტიტუტების მშენებლობას და ვაჩქარებთ ძალისხმევას საყოველთაო ჯანდაცვის მისაღწევად"...

ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველების თანახმად, 2023 წელი კაცობრიობას ანომალიური სოციალურ-პოლიტიკური და კლიმატური კატაკლიზმებით დაამახსოვრდება. "ორი პრეტენდენტი გაერთიანდება. როდესაც უმეტესობა მარსს შეუერთდება, აფრიკელი ლიდერი შიშს იგრძნობს და ორმაგ ალიანსს ფლოტით გაყოფს", - წერია მის ტექსტებში, რომელსაც მკვლევრები შიფრავენ ხოლმე. ზოგიერთმა მკვლევარმა აღნიშნა, რომ მან აფრიკელ ლიდერში ამერიკელი მილიარდერი, ილონ მასკი დაინახა. სწორედ მას უწოდებს "კოსმოსის დამპყრობელს". აღსანიშნავია, რომ ილონ მასკი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდანაა. მისი შიში კი, შესაძლოა, მსოფლიოში განვითარებული მოვლენების გამო ბირთვული ომის საფრთხეს უკავშირდებოდეს. ნოსტრადამუსი ადამიანებს კოსმოსიდან წამოსული საფრთხეების შესახებ აფრთხილებს. იგი ახსენებს "ცეცხლის დაცემას", რომელიც დედამიწის წონასწორობის დარღვევას გამოიწვევს და ორბიტას მთლიანად შეცვლის. ნათელმხილველი 2023 წელს სტიქიურ უბედურებებსაც პროგნოზირებს: იქნება ბიძგები ოკეანეში, რაც გიგანტურ ცუნამებს და მიწისძვრებს გამოიწვევს. მსოფლიო ოკეანეების დონე მნიშვნელოვნად მოიმატებს. მისივე თქმით, ინგლისი და ამერიკის სამხრეთი სანაპირო ოკეანის წყლით დაიფარება. ბევრ ქვეყანაში სასმელი წყალი გაქრება და საკვების დეფიციტი შეიქმნება.

ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველების გაშიფვრისას ფრანგმა ასტროლოგებმა აღნიშნეს, რომ 2023 წელს მსოფლიოს ძალიან მნიშვნელოვანი სამხედრო შეტაკებები ელის. ისლამური სახელმწიფოები ახალი ტერიტორიების დაპყრობას შეეცდებიან. ნოსტრადამუსის პროგნოზები მიუთითებს, რომ ისლამისტები დიდ ტერიტორიებს თვითნებურად დაიკავებენ, მათი გავლენა კი სწორედ მომავალ წელს განსაკუთრებით გამლიერდება. დიდია არაბული სამყაროსა და თურქეთის დაპირისპირების საფრთხეც. არსებობს მინიშნებები თურქეთის სანაპიროებთან ისლამისტებსა და ქრისტიანებს შორის შეტაკების შესახებაც. ერთ-ერთ ჩანაწერში ნათელმხილველი "შხამებზე" წერს, რასაც ასტროლოგები ქიმიური ან ბაქტერიული იარაღის გამოყენების მინიშნებად მიიჩნევენ. მისივე თქმით, ევროპაში ძალიან დიდი სამხედრო დაპირისპირება მოხდება, უამრავი ადამიანი დაიღუპება და მსოფლიოში ახალი წესრიგი დამყარდება. "ჯარი დადგება დიდი ქალაქის გარშემო," - წერს ნოსტრადამუსი. ამავე წინასწარმეტყველებაში იგი მიუთითებს, რომ დიდი სამხედრო დაპირისპირება 2023 წელს შვიდ თვეს გასტანს.

ნოსტრადამუსი ამერიკის შეერთებულ შტატებზე მიუთითებს, რომ პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, სიღარიბემ და მმართველი რეჟიმის მიმართ მზარდმა უკმაყოფილებამ შეიძლება 2023 წლის დასაწყისში სამოქალაქო ომი გამოიწვიოს. ამერიკის პრეზიდენტს პროგნოზში "იდუმალ ავადმყოფობას" უწინასწარმეტყველებენ. ასტროლოგების თქმით, ჯო ბაიდენის ოჯახსაც ემუქრება საფრთხე. მესამე მსოფლიო ომის დაწყების საფრთხე 2024 წლამდე გაგრძელდება. ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველების თანახმად, 2023 წელს მსოფლიო ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხის წინაშე არ დგას. სამხედრო შეტაკებების სერია, ეკონომიკური ქაოსი და მძიმე კრიზისი მოსახლეობის მნიშვნელოვან მიგრაციას გამოიწვევს. ხალხი სახლებს დატოვებს და მშვიდობიანი ადგილების საძიებლად წავა. თუმცა, ეს საკვებისა და სასმელი წყლის დეფიციტს კიდევ უფრო გაზრდის. ნოსტრადამუსმა ფულის კუპიურების გაუფასურებაც აღწერა. ნათელმხილველი წერს, რომ 2023 წელს ხალხი ბანკნოტებით კოცონს დაანთებს, რადგან ისინი აღარაფერში გამოადგებათ. მსოფლიო მთლიანად ონლაინგადახდებზე გადავა და ნაღდ ანგარიშსწორებაზე უარს იტყვის.

ნოსტრადამუსის თქმით, 2023 წელს ვატიკანშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება და ახალი რომის პაპი ეყოლებათ. მის პროგნოზებში განმარტებულია, რომ კათოლიკური ეკლესიის ახალი მეთაური მორწმუნეებს მშვიდობას კი არ მოუტანს, არამედ პირიქით, საფრთხეს შეუქმნის და მისი წინამორბედი უკანასკნელი "ჭეშმარიტი პაპი" იქნება.

2023 წლის, არცთუ სახარბიელო პროგნოზი დაგვიტოვა ვანგამაც. მისი წინასწარმეტყველებით, დამდეგ წელს შესაძლოა ატომური ელექტროსადგური აფეთქდეს, რაც კატასტროფულ შედეგებს გამოიწვევს. თუმცა ნათელმხილველს არ დაუკონკრეტებია, რომელ ქვეყანაში მოხდება კატასტროფა. ნათელმხილველმა ასევე დაწერა, რომ 2023 წელს ბიოლოგიური იარაღის გამოყენების გამო ათასობით ადამიანი დაიღუპება. იგი ამტკიცებდა, რომ 2023 წელს დედამიწის ორბიტა შეიცვლება, რაც მთელ რიგ დამანგრეველ შედეგებს გამოიწვევს: შეიცვლება კლიმატი, მოიმატებს ზღვის დონე, გაზშირდება ბუნებრივი კატასტროფები და გაიზრდება რადიაციის დონე.

ვანგას თქმით, ორბიტალური ცვილებები შეიძლება იმდენად დიდი აღმოჩნდეს, რომ გამყინვარება გამოიწვიოს, ან კიდევ ღამის ხანგრძლივობა გაზარდოს. ეს კი ეკოსისტემისთვის ძალიან საზიანო იქნება. ვანგას წინასწარმეტყველების მიხედვით, 2023 წელს მსოფლიოს ისეთი მზის ქარიშხალი ელის, როგორიც არასდროს ყოფილა, ეს კი ელექტროენერგიის მასიურ გათიშვასა და კომუნიკაციის გაძნელებას გამოიწვევს.

ვანგას წინასწარმეტყველებაში პოზიტიური ამბებიც წერია. მისი თქმით, 2023 წელს ექიმები ისეთი ვაქცინის შექმნას შეძლებენ, რომელიც ყველა ტიპის კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში ეფექტიანი იქნება. მეცნიერები მნიშვნელოვან აღმოჩენას გააკეთებენ და ხალხი კიბოთი აღარ გარდაიცვლება.

**ქეთევან ზარნაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახდენილი ოცნება: ლეო მესი მსოფლიო ჩემპიონია

მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ჰყავს ფეხბურთში — არგენტინა. ახალიო, კი ვამბობთ, მაგრამ ამ ქვეყნის ნაკრები მესამედ გახდა სამყაროში პირველი გუნდი — 1978, 1986 და ახლა, 2022 წელს. როგორც ვხედავთ, არგენტინა 36 წელი ელოდებოდა ჩემპიონობას. მისი მეტოქე ფინალში საფრანგეთის ნაკრები ორჯერ ფლობდა მსოფლიო თასს 1998 და 2018 წლებში. ინტრიგა ფინალური შეხვედრის წინ დიდი იყო — რომელი გუნდი გახდებოდა მესამედ მსოფლიო ჩემპიონი. თუ ფრანგები მოიგებდნენ შეხვედრას, ბრაზილიის შედეგს გაიმეორებდნენ, ზედიზედ ორ ჩემპიონატში მოიპოვებდნენ მსოფლიო თასს. შეგახსენებთ, ბრაზილიელები 1958 და 1962 წლებში ზედიზედ გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები.



არგენტინელებსაც ჰქონდათ განსაკუთრებული მოტივაცია, დაუფლებოდნენ მსოფლიო თასს. როგორც აღვნიშნეთ, მათ 36 წელი ვერ მიაღწიეს წარმატებას მსოფლიო ჩემპიონატებში. ამასთან, სამყაროს ერთ-ერთი ვარსკვლავის, ლეო მესის კარიერა დასასრულს უახლოვდება, რადგან უკვე 35 წლის გახდა. თეორიულად, გამორიცხული არ არის, ფეხბურთელმა, ასაკის მიუხედავად, გააგრძელოს თამაში. გავიხსენოთ იტალიელი მეკარე დინო ძოფი (პაპა დინო, როგორც მას ეძახდნენ მოფერებით სამშობლოში) 42 წლის იყო, როდესაც იტალიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა (1982 წ.). თუმცა ყველა ადამიანს თავისი გასავლელი გზა აქვს.



ფინალურ შეხვედრაზე დაწვრილებით საუბარი არ ღირს, ყველამ იხილა მართლაც უშელავათო ორთაბრძოლა, დამატებითი დრო, პენალტების სერია... ორივე გუნდი ახლოს იყო ძირითად ან დამატებით დროში გამარჯვებასთან, მაგრამ საქმე „საფეხბურთო ლატარეამდე“ (როგორც უწოდებენ), ანუ პენალტებამდე მივიდა. საერთოდაც, თერთმეტმეტრიანების შესრულებასაც სჭირდება ტექნიკა, მეკარეს თავისი კლასის გამოვლენა, ამიტომ პენალტებით გამარჯვება იოლი არ არის.

არგენტინამ გაიმარჯვა და სამგზის მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ სწორედ ლეო მესი დაასახელეს, რომელმაც ღირსეულად დაიმსახურა ეს ტიტული. დაჯილდოებისას მასპინძლებმა მას ხალათი აჩუქეს, რაც არაბულ ქვეყნებში ძვირფას საჩუქრად მიიჩნევა. მამასთან ერთად გამარჯვებას მესის ორი ვაჟიშვილიც ზეიმობდა, მესამე, სავარაუდოდ, ასაკის გამო არ იმყოფებოდა სტადიონზე. ერთი საგულისხმო მომენტიც: არგენტინელმა გულშემატკივარმა ლეგენდარული დიეგო მარადონას სურათი გამოფინა ტრიბუნებზე, რითიც პატივი მიაგეს თავიანთ კერპს. არგენტინაში საერთო-სახალხო ზეიმი გაიმართა, რაც საოცარი არ გახლავთ, ფეხბურთი ხომ მათ ქვეყანაში თითქმის რელიგიის დონეზეა აყვანილი.

ყატარის 2022 წლის ჩემპიონატის მასპინძლად დასახელების შემდეგ ბევრი (მათ შორის, მეც) ეჭვობდა, რომ ასპარეზობა სათანადო დონეზე არ გაიმართებოდა. მიზეზი ბევრი იყო. ჯერ ერთი, ახლო აღმოსავლეთში არაბულ ქვეყანაში მსგავსი ღონისძიება არ ჩატარებულა. ამას გარდა, ქვეყანაში არ არსებობდა სათანადო სპორტული ინფრასტრუქტურა, სტადიონები. ასევე, კლიმატური პირობები, პირველ რიგში, მაღალი ტემპერატურა. ამიტომაც გადაწყვიტეს, ასპარეზობა ნოემბერ-დეკემბრის თვეებში გაემართათ და არა ზაფხულში. ეჭვები პირველივე თამაშისას გაქარწყლდა — სპორტულ არენებს წუნი არ დაედებოდა. ყველა სტადიონი თავიდან აშენდა, რომლებიც უნიკალური არქიტექტურითაც გამოირჩევიან. საერთო ჯამში, ყატარს 220 მილიარდი ამერიკული დოლარი დაუჯდა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა, რაც რეკორდული თანხაა, რომელიც სპორტული ღონისძიების ჩასატარებლად დაიხარჯა.

საიუბილეო, მე-20 მსოფლიო ჩემპიონატს ყატარმა მართლაც ღირსეულად უმასპინძლა. თუმცა, სამყაროს ერთ-ერთი მთავარი სპორტული ღონისძიება, რომელსაც გულშემატკივრები ოთხი წელი ელოდებიან, ჩაშლის პირას იყო. ერთ-ერთი პირველი მიზეზი ქვეყანაში სექსუმცირესობების უუფლებობა გახდა. ყატარი ტრადიციული არაბული ქვეყანაა, რომელიც შარიათის კანონებით ცხოვრობს, პედერასტობა და ლესბოსელობა დასჯადია. ჩემპიონატის დაწყებამდე მასპინძლები მოკრძალებულად სთხოვდნენ სტუმრებს, პატივი ეცათ მათი ტრადიციებისთვის. თუმცა ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლები დაჟინებით ითხოვდნენ, ჩემპიონატის მსვლელობისას ლგბტ წევრებს ქუჩაში ევლოთ თავიანთი დროშებით და სიმბოლიკით და ტრიბუნებზეც აეფრიალებინათ ცისარტყელას ფერები.

ჩემპიონატზე მიმავალმა გერმანიის ნაკრებმა თვითმფრინავი, რომლითაც მგზავრობდნენ, ლგბტ სიმბოლიკით მორთეს. ამის გამო ყატარმა თვითმფრინავი არ მიიღო, გერმანელებს იემენში მოუხდათ დაჯდომა და სიმბოლოების მოშორება. განაწყენებულმა გერმანელმა ფეხბურთელებმა პროტესტის ნიშნად მოედანზე პირზე ხელებაფარებულებმა გადაიღეს ფოტოები — სიტყვის და ადამიანის უფლებები და თავისუფლება იზღუდებაო. გუნდების კაპიტნებს ასევე დაჟინებით სთხოვდნენ, ლგბტ სიმბოლიკიანი სამკლავურები გაეკეთებინათ. მასპინძლები დაბნეულები და, შეიძლება ითქვას, განაწყენებულები იყვნენ. მშველელად ფიფას პრეზიდენტი ჯანი ინფანტინო მოევლინათ, რომელმაც მკაცრად მოუწოდა ფეხბურთელებს, დაეცვათ სპორტული პრინციპები და სტუმართმასპინძლობის წესები. მისი გამოსვლის შემდეგ ერთგვარად შერბილდა ლგბტ წევრთა აქტიურობა. თუმცა, ყატარელებმაც დაუშვეს გამონაკლისი და ლუდის გაყიდვის ნება დართეს.



ჩემპიონატის ერთ-ერთი მოულოდნელობა გერმანიის ნაკრების ქვეჯგუფში წარუმატებელი ასპარეზობა გახდა. მასპინძლებმა სამშობლოში გასამგზავრებლად მომზადებულ გერმანელებს ერთგვარად სამაგიერო გად[...]ხადეს და პირზე ხელაფარებულები დაემშვიდობნენ გუნდს. სპორტულმა მიმომხილველებმაც არ დაინდეს გერმანელები — ჯობდა, ფეხბურთზე, თამაშზე ეფიქრათ და არა ლგბტ უფლებებზეო. მართლაცდა რა შუაშია ფეხბურთთან ლგბტ?

განსაკუთრებით გააოცა მაყურებელი მაროკოს ნაკრებმა. ჯგუფში მათ ბელგია და კანადა დაამარცხეს, ხორვატიასთან კი ფრედ ითამაშეს. მომდევნო ეტაპზე მათ ესპანეთს სძლიეს, მეოთხედფინალში კი პორტუგალია დაამარცხეს. საბოლოოდ, მეოთხე ადგილზე გავიდნენ. ეს ფეხბურთის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როდესაც აფრიკულმა გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატზე ასეთი მაღალი ადგილი დაიკავა.

დასრულდა მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატი. დახურვის ცერემონიალი უნიკალური იყო. გამოჩნდა, რომ მონდომებას ბევრი შეძლებია. ახლა ფეხბურთის სპეციალისტები გააანალიზებენ უკვე ჩავლილ ჩემპიონატს და დასკვნებს გამოიტანენ. ჩვენ ერთს ვიტყვით: ლეო მესიმ ოცნება აისრულა და მრავალ ტიტულს მსოფლიოს ჩემპიონობაც დაამატა, რასაც მასაც და არგენტინის ყველა გულშემატკივარს ვულოცავთ, რომლებიც საქართველოშიც ბევრნი არიან. ახლა დაველოდოთ მომდევნო, 2026 წლის ჩემპიონატს იმ იმედით, რომ მუნდიალზე უკვე საქართველოს ნაკრებიც წარმატებით იასპარეზებს.

გია ბურდული
551 71 27 07

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

„საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06

ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა 2023 წლის 18 იანვარს

სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოსხერელი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი); ბესიკ ცარციძე (გავრცელების სამსახური 599 58 72 50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალა.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99.